

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

18 მარტი 2011

№6(136)







1516  
2011

გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელი სიყვარული  
ქარდუხის რომანი კრიტიკოსთა თვალით  
ტომას ვულფის ტრაგიკული შარავანდი  
ლუკიანეს ქებათა ქება სამშობლოს  
გიორგი ოქროპირიძის დებიუტი  
ჯულიეტა მილდიანის ლექსები  
დოლამპოსეინ საედის ხანძარი  
ლეგიონერი რომის ქუჩებში  
თემურ ლენგის დამე  
მაკა ჯობაძის ესეი



# „ინტელექტი“ გთავაზობთ

საქართველოს  
კულტურის მინისტრის  
გარეკონი





**შინაარსი**

განთავსებული განთავსება	2	<b>რუსტომ ჩხეიძის გამოსვლა უაქარნოდ</b> (ტომას ვულფის ტრავიკული შარავნადი)
ახალი რომანი	5	ნინო ვახანია <b>ეს თეთრი ქაზი ყველას გვჭირდება</b>
	7	<b>მარინა ტურაბა გამანძილავის გარეშე</b> (ქარდა ქარდუხის „ძაფზე მოფარფავტე სული“)
პანკავ-ინტერვიუ	10	იკა ქადაგიძე <b>ოცნების საპარტიო ქოლოზი</b> (შოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	12	<b>გურამ ქართველიშვილი თემურ ლენგის ღამე</b>
პოეზია	22	<b>ჯულიეტა მილდინი მზე თამაზად და სხვა ლექსები</b>
კლასიკური მემორიალი	25	<b>ლუკიანე სამოსატელი ძებათა ძება სამოპოლოს</b> (წარსული – მომავლისათვის, ანუ მარადიული გრძობა)
უსწავლის სკოლაშიდან	27	<b>ეკა ბუჯიაშვილი „ლაგირნარი რომის ქარაგვი“</b> (იოსიფ ბროდსკის პოეტური და ესეისტური კრებულის წარდგინება)
თავბარბარი სიბავანი	30	<b>მანანა ტურიაშვილი სულთა ვეპანი</b> (მოცარტის „მითრიდატე“ თბილისის ოპერის სცენაზე)
წამიანი და წლავი	32	<b>ვახტანგ ჯავახიძე ციკლიდან – „ისევ გალაკტიონი“</b>
შეგნები პირბარბარისთვის	38	<b>ბორის დარჩია რამდინეში მოგონება გიორგი ლენინიძეა</b>
დღისთვის ფარდავანი	43	<b>საბა სულხანიშვილი ოცნება გილირტინაზე</b>
ქალაქი და ლოგოტი	44	<b>მთა ჯავლიაშვილი მრინოდ რომბის უკანასკნელი სიყვარული</b>
რეპორაჟი	46	<b>ანა ბერძენიშვილი ცანსა და მინას შორის გალაკტიონი ავაგაი</b> (დალილა ბედიანიძის ახალი პოეტური კრებულის წარდგინება)
კრიტიკა	49	<b>სერგი ლომაძე, კახა ბაციკაძე მწერკვალისაკვე</b> (ზეიად კვარაცხელია)
მსოფლიოს თბილისი ღამე	51	<b>რიტა ბაინდურაშვილი სულის ნიშნისაკვი კითხვისა და გორბის შრინი</b>
ახალგაზრდავოდ ან კი თბილისი	52	<b>გიორგი ოქროპირიძე „ისევ სინგრა და მარტოვბა“</b>
პირველი შთაბეჭდილება	56	<b>მაკა ჯოსხაძე ამ ლექსებში, ამ ქალაქში...</b> (გიორგი ოქროპირიძის პოეტური დებიუტი)
უსწავლის ნიშნად	57	<b>ლელამოსეინ საედი ხანძარი</b>
მოსავლი	63	<b>აუტოდღე იტალიურად</b>

ორკვირული ჟურნალი  
 დამფუძნებელი „ილიონი“  
 მისამართი: თბილისი,  
 ჩუბინაშვილის №41  
 რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
 რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
 გაფრცელება – (995 77) 11\_24\_30  
 ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
 E\_mail: info@mtsferloba.ge



შეგნები საბარბარო ტიბოდა დიბა  
 სტრუქტურა: შინაარსი, ოცნებები, 17  
 ავტორები • 995 32 53 63 62  
 PRINTED BY "MTEGA TRIG" PRINT HOUSE  
 TBILISI, GEORGIA, 17 SAABASHVILI STREET  
 TELEPHONE: +995 32 53 63 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
 პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოსხაძე  
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამარ ნატროშვილი  
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია დიხაინერი – მალხაზ იაშვილი  
 სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რომბიკაშვილი  
 ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
 გაფრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე  
 გარეკანზე: თოფნა საქართველოში იაპონიის ელჩის მუდღის –  
 ჯუნსო კამი პარას კოლექციონადან, თამარ ჩიხლაძის ფოტოგრაფიული

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვება 1 აპრილს**



# როსტომ ჩხეიძის გამოსვლა უეკრანოდ

ტომას პულვის  
ტრავიკული პარანაზიდი

— ოცდაათი წამი რჩება, — ყურსასმენით აფრთხილებს სოფიო კუჭავას მართა კასრაძე, — უკვე ხუთი წამი. სოფოს რაღა შეხსენება სჭირდება, უკვე ისედაც ხელშესახებლად შეიგრძნობს ყოველ წამს, მაგრამ მაინც... ყოველი შემთხვევისათვის...

წინ რამდენიმე ახალგაშობილი ნიგნი მიდევს და ზოგადი ქარგა მოფიქრებული შაქვს, ის ჩარჩო, რომელშიც უნდა დამაოკოს, რათა იმპროვიზაციამ განზე არ გამიტყუოს და ასე თუ ისე ჩავეტოო დადგინდე 15 წუთში.

„ერთსულოვნების“ დილის გადაცემა, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის, პროგრამა „გათიადი“, სადაც ამდენი წლის შემდეგ მომიხდა განმეორება იმ სატელევიზიო გამოსვლებისა, „ალიონში“ რომ დაიგნე, პირველ არხზე — ახალი ნიგნების გაცნობა მშემეღიასათვის, უფრო კი სალიტერატურო პროცესის ზოგადი მიმოხილვა. პირველი არხის ის ხანა ჩემი ნარსული რომ მეგონა, უტყრად კვლავ უნდა აღმედგარიყო, და თუმცე თავიდან ძალიან ვიყოფნენ, ბედს მაღლობს ვწირავ, რომ მაინც დაეთანხმენ შემოთავაზებას, მოუხდებდა იმისა, ისედაც იმდენი საქმე მეყარა თავზე, ლაზის ვეღარც აფუდილი.

ეტყობა, ადამიანის შესაძლებლობანი არ არის შემოზღუდული და, რომ გვონია, მეტის განვადენა აღარც უნდა ვიფიქროო, სრულიად მოულოდნელად ის რაღაც დაუძლეველი სულაც შენს ხელი ამომიწმენდა.

ის ხუთი წამიც კრება.  
ვესალემები ტელემაყურებებს,  
ნიგნებს ხელს მოვაფლებ და... უვეცრად სოფიო:

— ერთ-ერთ წინა გადაცემისას ტომას ვუღღერი რომ ახსენეთ, თუ რაოდენ სასიკეთო აღმოჩნდა მისთვის რედაქტორის ჩარევა, თორემ უიბი-სოდ შესაძლოა რომანი საერთოდ ვერ დაესრულებინა, არაერთმა მსმენელმა გამოთქვა სურვილი, ზოგმა სატელეფონო ხართ, ზოგმაც პირადი შეხვედრისას, უფრო ვრცლად ისაუბრეთ ამ ეპიზოდზეც და ტომას ვუღღღის სამწერლო ღვანღზეც, და ვაგებ დღესაც მშვევესრულებინა მათი ის თხოვნა.

— როგორც მიზრძანებ, — და მაშინვე გადავალავებ ნიგნებს გვერდით და ეს გადაცემა კიდევ გადაიქცევა ადაკარგული ბიჭის“ შემოქმე-

დის აპოლოგიად, იმ ასერივად მორიდებული პიროვნების, ვისაც ძალიან ეკრძალებოდა თავისი ათლეტური აღნაგობისაც — რატომ იყო ხეგებზე ერთი თავით მაღალი; თავისი გამორჩეული ნიჭიერებისაც — რატომ აღმეტატბოდა თანატოლებს; თავისი სულიერი უპირატესობისაც — ხეგები რატომ ვერ იჩენდნენ ასეთ სინრფულსა და უანგარობას; თავისი სიცოცხლის მრქეფარებისაც — სხვანი რატომ ჩამქტალიყვნენ და უნიათოდ მიათრევენ წუთისთევებს; თავისი უნიკალური მეხსიერებისაც — არასოდეს არაფერი რომ არ ავინყებოდა, თვით უკიდურესი წერილობნივც შეუმცდარად ახსოვდა, და ვერადრის ფედლებით ვერ იგებდა, სხვანი ან რატომ არ აქვედნენ ყურადღებას ათასგვარ საგულისხმო ამბავს ანდა რატომ უტრებოდათ ასე დევილად ხსოვნიდან.

ევაა, ძალიან ეფლობდა განცდებსა და მულეარებში. ძალიან ეფლობდა სულიერ სიმარტოვეში.

წინამიც ძალიან ეფლობოდა.

ძალიან რა — ლაბირინთით აღემართებოდა პირველივე რომანი, და თუმცე სულმოუთქმელად წერდა და წერდა, დასრულებს სასიკეთო პირ არ უჭანდა და არც რაიმე საინტეგრო მოჩანდა პორიზონტზე. ხეავდებოდა ფურცელი ფურცელზე, გადაჭრებოდა ასობით გვერდი... ჯერ მხოლოდ შესავალში ტრავებდა. თვითონ ასე ევანა, ექსპოზიციას ვერა და ვერ გავცილებოვიარო, და, გაბეზრებული, თავის დაწებებს გადაწყვეტდა: არ ყოფილა რომანისტობა ჩემი საქმე და, რაც ადრე ჩამოვებსნები, მით უკვე თესლო.

მაშინაა, მაქსუელ პერკინს რომ გამოეცხადება, ბელნანერს გამოართმევს, ჩაურღვრადება, ჩაუკრიკტდება და სინარული ამქნობს: რა შესავალი და რომელი შესავალი, რომანი დამთავრებულია, მხოლოდ მე უნდა ამომაკრებინო და გამამთლიანებინო მისი სოფეტტი, სტრიქონის დამატებაც აღარ იქნება საჭირო, რიგიანი მონტაჟი თვითონვე წარმოადგება რომანადა, ის კი არა, მეორე რომანიც თითქმის გამზადებულიაო.

მერეა, თანაქალაქელები რომ გადაიკიდებს: როგორ თუ კარიკატურულად, შეუფერებლად გამოვგზატე, აქ ჩამოსევა აღარ გაბედ, თორემ შენს თავს დააბარალოო.

და ტომას ვულფი რომ იყიდებოდა: ვველა სიყვარულით წარმოგსახებთ, რა ექნა, ძალიან დამჭირდა თქვენი სოფეტტი მატატული განარებისთვისო, — იმითა გავუღღღისებ მაინც ვერ ჩავეცნობ: ეს სადაური სიყვარულია, გინა მართლა ასეთები ვართ, შენ როგორც ჩამოგვარებე პერსონაჟებადი...

არადა, ასეთები იყვნენ.  
და ტომას ვულფსაც რა ეღონა, როდესაც თბრობის რეალისტური მეთოდი და პიროვნული ხასითი არ დაანებებდა, ოღნავ მაინც მოეპირკეთებინა, შეუღამაზებინა ესა თუ ის პორტრეტ ან მოწეუნა და სინამდილე გაემრუდებინა.

სამშაბათს, 22 მარტს  
უფრნალ „ჩეგნი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
განნილვა

ზურაბ კანდელაკის  
პიესების კრებულისა

„სულ ერთი წუთი  
მადროზე, ჯალთიო“

მომხსენებელი  
მაია ჯალიამვილი

დასასწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41



შესანიშნავია მისი ოთხივე რომანი, მაგრამ მასზე უკეთესი რომანისტები ახსოვს კაცობრიობას.

შესანიშნავია მისი ნაწინა, მაგრამ არც უკეთესი ესენისტები ძველი მოსაქმენი.

აი, „დაკარგული შიჭ“ კი არამარტო შესანიშნავია, მასზე უკეთესი მოთხრობის მოძიება გაძნელებულია. არანაკლებია — რატომაც არა, ძალიან ცოტაც არ ჩამოითვლება რჩეული მოთხრობა მსოფლიო საგანძურებიდან, მაგრამ „დაკარგული შიჭზე“ აღმატებული? ეს იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ჩამოთვალს დასძენ: ერთიერთიანეთზე უმჯობესიო.

თითქოს ისეთიც არაფერი — ყოფით სურათებსა და დეტალებზე აგებულ თხრობაში შერეულად კლასიციზმის ნაკადი კლასიკურისა და მოდერნიზმის შერწყმის ჩინებული ნიმუში), შორეული ლანდის გამოხიზნის დატინებული ნურფილით გამოწვეული. ვენბათა, განცდათა უკიდურესი სიმძაფრე ქვეტექსტებსა და მიწმეხმეში შემალულა და იმ იდუმალებით განმსჭვალულა, სიკედელ-სიკოცხლის მიჯნა ხელშესახებად რომ უნდა განაცდეინოს მკითხველს და დიდ განზოგადებასაც მიადნოს — ყოფითობა ღრმა სიმბოლოებამდე ამბადღეს და ნუთისოფლის ტრაგიზმის უფსკრულშიც მოგვახიზნოს.

საბედნიეროდ, რამდენიმე ათეული წელიცაა, რაც ამ მოთხრობის ქართული ვერსიაც მოგვემოვება ცილა თოფურჩიძის წყალობით, იმ ხელოვნებით გადმოღებულ, ტომას ვულფის სახელს რომ შემუფერს. და თუმც მისი კიდევ ორივე მოთხრობა და ესეიც გამოჩნდა ჩვენს ენობრივ სივრცეში, მიუტევებელია, რომ ქართულად არ გაგვანია მის თხზულებათა სრული კრებული, და არამცაუ ოთხივე რომანი, ჯერჯერობით ერთიც არ ამტყველებულა ქართულად.

ამ შორეი საიმედოდ მოჩანს ნინო ქავთაის ნაშრონებია, „დროისა და მდინარის ამავე“ რომ მოსინჯა და ცალკეული ფრაგმენტებიც გამოაქვეყნა. ჭამიკად შემოთავაზებული ეს ნაწევრებიც ისეთ შიბაქედლებას ტოვებს, პროფესიონალს კალამს რომ შემუფერის — იმ შთავარ ძარღვს რომ მიავნებს, იმ სტილურ კაპერტონს, რომელზეც უკვე ძალდაუტანებლად უნდა დავემერს მთელი თხზულება.

ახლა ისლავა საჭირო, ნინო ქავთაის მოცალივობა მიეცა იმ ვეება რომანისა — და შემდგომ უკვე სხვათაც — განმოსაქართულებლად, თორემ გულდასანჯერნი იქნება, უზიერო მთარგმნელებმა რომ მოიდგომონ მანცინდამაინც ტომას ვულფის სამყაროსთან შექმედეს და ისევე ახაზდინონ მის წიგნები, როგორც არაერთი დასავლელი კლასიკოსის ქართული ვერსიების ნაკითხვისას რჩები სამინლად

განხილებული და გებრალევა ის მწერალიც, ქართული ლიტერატურაც და მკითხველიც.

განა ის კია შემთხვევითი, რომ უილიამ ფოლკნერმა ტომას ვულფს თანამედროვეობის ზუთ საუკეთესო ამერიკელ მწერალს შორის პირველი ადგილი მიაკუთვნა?

აქ იყო, სოფო რომ ჩამერია: მოცვენებით, მეონი, ფოლკნერმა რამდენადმე შეიცვალა მოსაზრებეო. და დავეთანხმე, რაკია შემდგომ მართლაც ამტკიცებდა პირველი ადგილი იმტომ კი არ მივაკუთვნე, თითქოს დანარჩენებს რითიმე აღვემატებოდა, არამედ — იმანად უკვე გარდაცვლილი იყო და მისი მხატვრული სამყაროც დასრულებული, სხვანი კი კვლავაც შემოქმედებით პროცესში ჩაფლულიყვნენ და მათგან ჯერაც სიურრეზები იყო მოსალოდნული.

თუმც აქ მთავარი შეხედულების ცვლილება კი არ არის, არამედ ფოლკნერის ხასიათის ის თვისება, მკითხველს ყოველთვის რომ აფრთხილებდა: მე მაინც განწყობილებების კაცე ვარ და ერთსა და იმავე შეკითხვას შეაძლია სხედანსხვა დროს სხვადასხვადასხვა პასუხი გაეცე იმისა და მიხედვით, იმ ნუთს თუ რა გუნებაზე ვიმყოფებო.

ამ პიროვნული თვისების გათვალისწინებით აღმოჩნდება, რომ ფოლკნერი მამინაც პატეც მიატებს ვულფს, როდესაც თითქოს ნინოს, პირველობის პალმა მისთვის რამე გადაამალოცინაო. საგულსსმო ისაა, რომ მისი დიდი მწერლობა არც ამ შემთხვევაში აეჭვება.

ძალიან ფელობოდა სულიერ სიმარტოვეში...

მარტობისაკენ მიდრეკილება მისი ხასიათის თვისებაც გახლდათ, პიროვნული გამოცდილება და ცხოვრების წესიც, რომლის გადაღაბასაც უნდა მიეყვანა ადამიანთაც და მთელ კაცობრიობასთანაც, რომელსაც ისევე შემობეგვდა მკლავებს და ჩახიზუტბდა გულში, როგორც მათვედ, ვთქვით, უოლტ უიტმენს სრეფო და „პალახის ფათელის“ გამოქვეყნების შემდეგ აღარც ეგონათ, თუ ასე მალე მოევიწინებოდა ამერიკას ამავე სწრაფით ანთებული მწერალი, ვინც უიტმენის დარად გაიმეორებდა ბიბლიურ წინასწარმეტყველთა გზნებასაც და მსოფლგანცდასაც; და მისი უკანასკნელი რომანის — „შინ ველარ დაბრუნდები“ — ფიხალური ნაწილი ნარმოდებოდა ადამიანთა სახეების თავისებურ და უზარმაზარ კოდექციად, ტომას ვულფს ვეკლა შემუფერის დამახსოვრებას რომ ლამობდა და იმეათი მესსიერების წყალობით კიდევ წარუშლელად იმეტყვედა გონებებს, რაკა მისი მწერო უკიდურესად გადასუსტულიყო, გაპალთუმებულიყო და გონების თვალში უფრო ნამახვილებულიყო და კაცობრიობათან სხალოვე-თანაზიზრობა მისთვის ყოფილიყო არა



ტომას ვულფი

2189





მარტოდენ პიროვნული თუ მხატვრული მინამსხი, არამედ ცოცხალი განცდა, მფთვები წერევიით მითრთოლვარე, წრფელი და მუშობალია.

მარტოების ყველა მხარე და მოტივი, ყველა შრე და ნიუანსი, ყოველგვარი განზომილება უნდა გქონდეს ნაგ-რმობი და შეცნობილი, იმ რანგის ესეი რომ შექმნა, ტო-მას ვულფი რასაც აღწევს, როდესაც წერს „მარტოსულის მონოლოგს“ (სიტყვა-სიტყვით ინგლისური სათაური ქარ-თულად გადმოცემის როგორც „ღვთის ანაბარა კაცი“, მაგ-რამ თავის დროზე პაატამ და მე მაინც „მონოლოგი მარ-ტოსულისა“ ვამჯობინებ, როგორც უფრო მისადაგებუ-ლი ესეის სულისკვეთებასა და საერთო განწყობილებას).

თითქოს უფალი გამოუწვევია სამსჯავროზე ტომის ვულფს.  
მკრებელობა? ერტიკოსობა?  
არამცდარაა.  
ანკი რწაირად —  
ესეი ხომ უაღრესი რელიგიოზობითაა აღსავსე, ავტო-რი კი ღამის აღარც განიჩქრევს სასულიერო პირისაგან.  
მაშ... სამსჯავრო?

აკი ბიბლიურმა იობმა ოდესღაც ასევე გამოიწვია უფალი სამსჯავროზე და მძაფრი კამათიც გაუშვა.  
ამიტომაც იყო, სადაც და საცელი რომ შეიქნა სასუ-ლიერი პირთა შორის, შეტანათ თუ არა ბიბლიურ წიგ-ნებში იობის დრამატული თავგადასავალიც — ბოლოსდა-ბოლოს, ის მართლა რელიგიური თხზულება გახლდათ თუ ერტიკული?!

კა, სამედიფროდ, პაექრობა მათ სასარგებლოდ გა-დანწყა, ვინც ღრმად ჩანდნენ იობის გულისმშემძერილი მონოლოგის რელიგიურ შინაარსს, ზოგერთი გარეგნუ-ლი ნიშანი არ გააიგივებს მის არსთან და ამ ნივთს მოუჩინეს ის ადგილი, რაც შეუფეროდა.

საგულისხმოა, რომ სწორედ იობის წიგნია ამოსავალი ტომის ვულფისათვის, რათა მიჰყვეს აღდგომას და მსჯე-ლობის ლოკისასაც და სრულყოფილად გაიაზროს ძველი და ახალი აღთქმა, და უღრმესად და მახვილგონიერიული დაკვირვებით დაგვიტყოს იმ საყრდნად, ასეთივე აღ-მადგენისაკენ ჩვენც რომ გვიბძვებს და ვხას ვაკვიკვა-ლავს, ცხოვრების მეამბოხე რომანტიკოსებიდან როგორ გადვდისამთო მძად ყოველი კაცისა, რათა სიცოცხლის ვერტიკა მასავით დაუმცხრალად გვიჩო.

ქრებიან ძველი უარყოფნი და რჩებიან ძველი აღსა-რებათო, — გვარწმუნებდა ეს დიადი მარტოსული, და შთაგვაგონებდა, რომ:

— ჩვენ, მკედრები რომ ვიყავით, აღვსდევით, ვინც და-კარგულნი ვიყავით, ვმოვით თავი, ვისაც ვაყიდული გქონდა ნიჭი, ძალი და ყმანვილური ხარწმუნობა და სა-საცვლოდ სიკვდილი მოვიკეთ, სანამ გული ვაგვერყვე-ბოდა, ვანგვიქარებოდა ნიჭი და იმედი ვადაგვერებო-და, დავირუნეთ სისხლსავსე სიცოცხლე სიმარტოვესა და უკუხეთობი, და ვიცით, საგნები იგივედ დარჩება, რო-გორც ყოფილა, და კვლავ ვხედავთ, როგორც ერთ დროს, მნათობელი ქალისი სახეს, შორს განდგლდ და მოკამკა-კე წმინდა ნათლის ბეჭულებში რომ წაიბოს მარცა და თვალს ვერ ვატივებთ, როცა გადავდვივართ ხიდზე და ძლიერი დენებიან გარს მოგვეჯარიან, უზარმაზარი გემე-

ბი გვიხიბობენ, და გადავდვივართ ხიდზე, ყოველთვის შენ-თან ერთად, ერთგული მეგობარი, ვისაც გვსაუბრები და ვისაც არასოდეს ვიღალავთა ჩემთვის.

ექსპრესია ექსტაზში გადაიზრდებოდა და ტომის ვულფი მზად გახლდათ მთელ დედამიწასაც შემბოდა, რა-თა ჩაუქმრალი ყოფილიყო იმედი, სიზარული და რწმენა.  
მაინც რთი აღწევს ვულფი ამ აღმადგენს, ამ შთაგო-ნებასა და ხელფონებას, ისეთი განცდა რომ გრწმენა, ძვე-ლი და ახალი აღთქმა თითქოს ქინძისათვებ ვერტყულაო?  
სოფიო კუჭტასა ცვალობაზე, ცხადია, არაერთი მიკით-ველი დაინტერესდება ამ საიდუმლოს ამისწინათ.

ვითომ საიმედოდ დაგმანულით, ფუჭად რომ არ შე-ვანყდეთ მის კარს?  
რასაკვირველია, არც ემარება არც უფიფსი განს-ნაეულულობა, არც მახვილი ინტუიცია, არც სულიერი გა-ქანება თუ შთაგონების ნათება.

ეს ყოველივე საღალაძმდე მივიყენად, დიდებულესესისაც შეგაქმნივარდა, მაგრამ... ბიბლიის დატყვა ქინძისათვებ?  
და მამ კიდეც უნდა ჩამოვეცხნათ ძიებას?

რატომ, როდესაც „მარტოსულის მონოლოგის“ რამდენ-ჯერმე გადაკითხვავ და ტომის ვულფის პიროვნული ბუნე-ბის გათვალისწინებაც მიგავხედვრებს... არა, კი არ მიგვაზ-ხედვრებს, თვალნათლედ გადავვიძლის, თუ როგორ დგას ამ ესეის შემოქმედი მკლავებგადაწვდილი და გულგადახსნი-ლი ადამიანის, სამეაროსა და მამხადვიტორის წინაშე — წრფელი, მართალი, უანგარო, ხიყვისა და ზადს რომ ვერსა-მისიძენი, — და უტიქმენისა არ იყო — მისი დაუნდებელი მცხუნვარებისაც არ ეშინია, ვაითო დამბუგოსო, რადგანაც მისი არსებდანაც შუის ჩქერალი მოუფინება.

\*\*\*

მისი აღსასული მანაც რა იყო — ზედ რომ დააკვდა საწერ მაგიდას.

ნუ იტყვი, ზოგს მაინც რა ბედი აქვსო.  
განა ტომის ვულფისადე გამოქმედილი არ იყო ეს ბედი?  
მაინც რა იყო სიკვდილად მისეული შეთამაშება, მას-თან ასეთი განმარებება, მისი ნაილიაკენ სწრაფის დაუ-ოკებელი ნაბიჯი? არასოდეს ნაილიაკენა სიმახვილის კუ-ლტი, მშვენიერებას ეტრფოდა იმთავითვე, მშვენიერების ძიებაში ხედავდა სიცოცხლის არსსა და აზრს, მაგრამ სი-კვდილი სულ სხვაგვარ მოვლენად ესახებოდა.  
არასოდეს არგუნავდა მისი მილანდებდა.  
არასოდეს უფრთხოდა.

სულაც სიცოცხლის დამამშვენიებლად და დამაგ-ვირვინებლად მიიჩნედა მარადიულ სოფელს და ამ გაცდას უტრიალებდა მოთხრობასა მითხრობაში, რომანიდან რომანში... სიკვდილის ლანიდ გასდევს მის ბარათისაც...

და მაშინ უკვე თვალდათვალ ხედავდა სულისა და სხე-ულის გაყარის წუთს, როდესაც მკლავებგადაწვდილი და გულგადახსნილი დადგებოდა უფლის წინაშე.

მის ანაბარა დარწმენილი.  
და მონოლოგად მარტოსულის მონოლოგად დაღვრდილი... და ხელფონს ვაასასვავებდა, ვინმეს რომ ეთქვა მისთ-ვის: რამ შეგაძლებინა ბიბლიის დატყვა ქინძისათვებო? — ვინ მე და ვინ ამისთანა მიღწევია.

ნინო ვახანია

# ის თეთრი ქაჯი ყველას გვჭირდება

ქარდა ქარდუბი – ფსევდონიმი თვითვე გაუნყებს, რომ მასში წვეთი სისხლისა არ არის არაქართული. ქარდუ, კარდუ, ქალდა... უძველესი კი არა, მითითური ფესვები ქართველებისა აგრე ფსევდონიმში ასე მოკლედ და ასე ტყუადად განმლაყენებულა. თუმცა მარტო ფსევდონიმი, თუნდაც მარჯვედ შერჩეული, რაღა თქმა უნდა, ვერ განაპირობებს ნაწარმოების ღირსებას. ქარდა ქარდუბის „ძაფუხე მოფარფატე სულმა“ კი მართლოდნელად ღრმა და ნარულული შთაბეჭდილება დატოვა. ეს თხზულება (რომანი) გაგრძელებებით იხეჭედებოდა „ჩვენი მწერლობის“ სამ ნომერში.

თავიდანვე მისტიკური სამყაროში შეყვართ ავტორის, უკან, წარსულისკენ მიგაყბევებს, მაგრამ ისეთი შორეული წარსულისკენ, რომელსაც მზერა ვერ სწვდება. საუკუნეების სიღრმეში ჩაფლული თუ ჩამარხული იქნებ არც უნდა შეგეჩუხებინა ამ ყოვლად პრავამატულ საუკუნეში მცხოვრები ადამიანებს. მაგრამ რა არის ანწყო? რა არის მომავალი? ან წარსული რაღაა? ვინ იცის, ვის შეუძლია დაამტკიცოს ათასობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული, განმტკიცებული, უბრალოდ, შეთვისებული ტრადიციის, ჩვევის გონიერება. დღევანდელი გადასახედიდან ხომ სრულ უაზრობად მოჩანს სხვაგან გარდაცვლილის სულის ძაფით ნაშოყვანა, დაბრუნება შინ. ეს ეჭვი ტანჯავს, ღრუნის რომანის გმირს. ის ის რომ არ გააბრაზოს, მათ რომ არ აწყენინოს, ყოველგვარი წესების დაცვით უნდა შეასრულოს რიტუალი. არადა, გულის სიღრმეში არ სჯერა, არ სწამს. და მერე თანდათანობით, ურთიერთსაპირისპირო გრძობითაა ჭიდილში თვითონაც ვერ გრძობს, როგორ ხდება მისთვის გარდასული და ზღაპრული უფრო ნამდვილი, ვიდრე რეალობა.

რომანში ორი ძირითადი საუფეტია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. გარდაცვლილი დის – ნათიას სულის მოყვანა აუცილებლად მოიყვლებს ბავშვობის და საერთოდ, ნათიას ცხოვრების ეპიზოდების გახსენებას. ავტორი ხასიათების შესანიშნავი მხატვარია. თითქოს მე-



ქარდა ქარდუბი (ფრიდონ ქარდავა)

ორუბარისსოვანი პერსონაჟებიც თავიანთი განუმეორებლობით ახასოვრებენ თავს მკითხველს. შიგადაშიგ კი სხვაც ბევრი პლასტიკი თუ შრეა.

სავანებობ დეკლოზოთ თავი ავარიდა მაშის, ნითელი ღვინის, ბავშვის, სიმღერის... სიმბოლურ მნიშვნელობებზე საუბარს. მათი დანერგვითი ახსნა ვერ მოგვეცემს რომანის სათქმელის გასაღებს. აქ თვით ადათი კი არ მოითხოვს რაიმენარად ახსნა-განმარტებას, არამედ ჩვენი სულის მდგომარეობაა სახრეკ-საკლდევი. წინაპართაგან შეთვისებული გაუგებარი და უცნაური ტრადიცია მონინების, მოკრძალების განცდას აღუშრავს არა მარტო მის მხატვრულ, შემსრულებელ ხალხს, არამედ იმათაც, ვისაც ვერ არაფერი სმენია, არ უნახავს, არ გაუგია მსგავსი რამ. საავადმყოფოში მისულ ოდის სულ ჰგონია, რომ ამ ახლა გაცივებენ საავადმყოფოს თანამშრომლები, ან –ახლა. ისინი კი საოცარი სერიოზულობით, მეტიც, შინაგანი შიშითა თუ რიფით შეჰყურებენ მისტიკურ რიტუალს. არავინ იცის, როგორ მიჰყვება სული თეთრ ძაფს. მიჰყვება კი საერთოდ? სად მიდის სული, როცა ძაფი იბურდება, წყდება, იკარგება? ხომ არ ვანამებთ საყვარელი ადამიანის სულს? ნუთუ სხეულისგან გათავისუფლებული სული ისევე ჩვენზედ დამოკიდებული, ჩვენ კი საავადმყოფოდან სახლში, ერთი პატიმრობიდან მეორეში მოგვყავს? ამდაგვარი ეჭვების მიუხედავად, საკულტო რიტუალითი ასრულებს ვაფი მითავამინდელ წესს. საგვარტში სულის აბა როგორ

ელალატება? ამასობაში კი თავად მალდდება, თავად განინიშნდება. გრძობს რაღაც საერთოს მარტო დის კი არა, იმ უმორეულესი წინაგრების სულეობან. სწორედ ეს ბუნდოვანებაში გახვეული გარემო წარმოუსახავს შუმერებსაც, წარმართობასაც და ება, ვერა, თვლით და გონება ვერა სწვდება სიმორეს, თუმცა რა სიმორეს, ეს ხომ ანწყობაა და მომავალიც. ეს ხომ ის ძველია, რომელიც მარადიული ამაღლების საფუძვლად იქცევა ხოლმე.

სიუჟეტი რომანისა რთულია, იმავე დროს მომხიბლავი და წარმტკი. მღელვარეა თავად ნათიას ცხოვრება. საზოგადოებრივი მორალის, ცნობიერების წინააღმდეგ წასვლა არც თვითონ სურს. როგორ რიტების საკუთარ თავს, როგორ ამბობს უარს ლეთიურ, ჭეშმარიტ სიყვარულზე, მაგრამ არც უსიყვარულად არსებობა შეუძლია. ვიდრე ცოცხალი იყო, არავინ შეიბარა, ვერავინ გაუგო. დარჩა მარტო, სულ მარტო ქვეყნიერების წინააღმდეგ. ის ისეთი სუფთა, წმინდა, მართალივარე სულის პატარონია, რომ მკითხველს მაშინვე შეუყვარდება. ტრაგეკულად იღუპება







ტარებული ავტორის საქართველოს ცხოვრების ეს ტრაგიკული ეპიზოდი. აფხაზეთის თემაზე დაწერილ სხვა მრავალ თხზულებას ჰგავს და არცა ჰგავს ქარდა ქარდუხის რომანი. აქ დიდი ტაქტით არის აღწერილი პერიპეტეტი იმ აფაღსახსენებელ უღელტეხილზე - ვაჟაკობისა და ლარობის, სიამაყისა და სიმდაბლის, დიდხლოვნებისა და გულნამცეცობის, გულწილობისა და სისასტიკის, გამძლეობისა და სასაონარკვეთის მაგალითები. და ყველა მართალია, რეალისტური, დამაჯერებელი. მხოლოდ ერთგან, თითქოს სასხვათაშორისოდ შენიშნავს მწერალი, რომ გარდაცვლილის სული სახლში კი არა, სანატორიუმში მიჰვათ, სადაც ამჟამად ცხოვრობს ნათიას ოჯახი. ეს დეტალი საკმარისია იმისთვის, რომ მკითხველს თვალწინ წარმოუდგას სანატორიუმებში მცხოვრები ნახლები მოფენილი საქართველო.

მარინე ტურავა

გამანჯილუხის ბარეშუ

ქარდა ქარდუხის „აჰსუჯ მიჰსარაჰატე სული“

ქარდა ქარდუხი — ეს ალიტერაციული, იდუმალებაშეპარული, ცოტათი მისტიკური სახელი — ჩემთვის ედგარ ლი მასტერსის ცნობილი ნაწარმოების „სფურ რივერსის ანთოლოგიის“ პროფესიულ თარგმანს უკავშირდებოდა, თუმცა აქამდე. თურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2011 წლის პირველ სამ ნომერში გამოქვეყნებული რომანი „აჰსუჯ მიჰსარაჰატე სული“, ასევე მისტიკური ეპიგრაფით — „ესაა სამყარო, სადაც ნიშანი და საგანი ერთია“ (მკვდურების ნიანი) — ქარდა ქარდუხის სრულიად ახლებური კუთხით წარმოგვიდგენს, ახალგაზრდა პროზაიკოსი ნამდვილად გამოჩნეულ, საინტერესო სიტყვას ამბობს თანამედროვე ქართულ რომანისტიკაში. მხოლოდ დროს ჩვენს სალტერატურო სივრცეში გამოჩნდა მცირე ზომის რომანები და არაერთგვაროვანი დამოკიდებულზე მათ მიმართ. თავისი კომპოზიციით, სათქმელით, პერსონაჟებით ქარდა ქარდუხის ეს პროზაული ნარატივი რომანის ყველა ფანრულ მოთხოვნას პასუხობს. არც ის დავაყენებდეს, რომ თანამედროვე მკითხველს, ცხოვრების მოთხოვნებიდან და ტექნიკური გამოყენებით, სულ უფრო იზიდავს მცირე ზომის ნაწარმოებები.

სათქმელის სირთულის მიუხედავად, რომანი მარტოვად, სანდტერესოდ, ერთი ამოსუთხიეთი იკითხება. ნაწარმოების ფაქტურასთან ერთად ავტორი ამას ენის საშუალებითაც ახერხებს და ოსტატური კომპოზიციითაც.

და კიდევ ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო რომანინდან. ძაფის სათხოვნელად მანქანიდან გადმოსულ ბიჭი ერთ მოხუცს ხედავს, რომელმაც იცის ეს წესი. ახსოვს. მართალია, დიდი ხანია თავის ქვეყანაში არ ცხოვრობს, მაგრამ არ დაიწვებია. თავისი ქვეყანა კი ჩვენი საერთო სამშობლოა. მუშავერობის დროს აფხაზეთიდან თურქეთში მოხვედრელი აფხაზის შთამომავალია მოხუცი. „შორსმტყუტელა რუსი. ჭკვიანია რუსი. ჯერ აფხაზეთი ავეყავა დედანულიანა და თურქეთში გვიკრა თავი. ახლა ქართველები გამოგრეკათ“, — ასე აფხაბებს გამოცდილი და დაკვირვებული კაცი შექმნილ ვითარებას. და უკვე აღარ გვიკვირს, რომ მისი ქალმშობლი საოცრად ჰგავს ნათიას, ხოლო სამშობლოსთან, სახლთან, კერასთან დამაკავშირებელი თეთრი ძაფი ყველას ერთნაირად სჭირდება.

მიცვალბულის სულის ძაფით გამოზომობის ოდინდელი ჩვევის თუ ზუსტ, დეტალურ აღწერას აქ მთავარი პერსონაჟის ცხოვრების ფრაგმენტული ასახვა ენაცვლება, ჩვენ თვალწინ ყალიბდება ახალგაზრდა ქალის მგრძნობიარე, რთული, არაერთგვაროვანი სახე. ერთი მხრივ, დასაყვლურ ქართული კულტურის კონსტრუქციონისტორიული შინაარსის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი, ზოგადად ქართული რეალობით — ქრისტიანულისა და წარმართულის აღრევით — ქარდა ქარდუხი ცდილობს გაარკვიოს — ოცი საუკუნის ქრისტიანებს საიდან შემოგვრჩა ამდენი წარმართული ჩვევა და რიტუალი. კარც ერთ ერს არ შესძლება ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იცის სისხლიან კვალებზე, რომ ამავე დროს დინიისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ ამორებდა\* (კონსტანტინე გამსახურდია) — ამ იდუმალების ნედომას ცდილობს „აჰსუჯ მიჰსარაჰატე სულის“ ავტორი. მას ერთნაირად ანულებს სულ ახლახან მომხდარი მოვლენები და უკვე საუკუნეთა მანძილზე მტკვრნაყრელი იდუმალი ამბები.

ოდის — მთხრობლის — მეშვეობით იკვეთება ავტორისეული პოზიციაც (სახეობის საკრალულობის, სახელისა და სახის ერთიანობის გამო ოდისის შემოკლებულ ვერსიანად აღვიჭყვი თუცნაური სახელი) და მთავარი პერსონაჟის სახეც (თუმცა ძნელი გასარჩევია, რომელია ამ ორთაგან მთავარი). რეალურისა და ირეალურის, მისტიკურისა და ჩვეულებრივის მეტაფიზიკურ არსის ისე არკვევს მწერალი, რომ ერთი ნაშთიაც არ წვეტს თმობას, ის ნიჭიერი მთხრობელია, რაც მწერლის ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო ყოველთვის. ამავე, სიუჟეტი არასოდეს უშლის ხელს, არასოდეს მიიჩნია „ცუდ ტონად“, არაკორიერებულად... თუმცა რომანში საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ ამბების მიღმაც იკითხება. გონიერა მკითხველი აუცილებლად დალანდავს კონსტანტინე გამსახურდიას, ფრანც კავკას, ულიამ ფოლკენგენს... უჩინარ კვალს, მაგრამ მხოლოდ რეცეპტის დონეზე, რადგან ქარდა ქარდუხი ის მწერალია, რომელსაც თავისი სათქმელიც აქვს და თავისი გამოხატვის ფორმაც...

რომანი ოდის ფაქტობით იწყება, ცნობიერების ნაკადი, რომელიც ქარდა ქარდუხთან იმთავითვე გამო-



რიცხვებს ხელოვნურ სირთულეს, ამ პერსონაჟის ქვეცნობიერში მიმდინარე პროცესებს ასახავს — იგი ამწყობს-ნები განცდილის შედეგებს და უფრო ადვილად ითავსებს მას, ვიდრე დღევანდელ რეალობას, მის გვერდით მიმდინარე მოვლენებს. ოდიც და ნათიაც გაორბინა რეალობას, ახალბედებს, მათ გარშემო მყოფებს. „საკმარისია მათთან სიახლოვე ვიგრძნო და ყოველგვარ გულწრფელობას ისე გაგურბივარ, როგორც მოკვეთილი სოფელს! იქნებ ნათი-ამ იქონია გაველენა? ისიც ზომ ასევე გაურბოდა მათ, როგორც კი თავისი მეობა დაუბრუნდებოდა — გაურბოდა, ვიდრე ნამღლების გაველენის ქვეშ იმყოფებოდა, ასე თუ ისე ახერხებდა მათთან ურთიერთობას. მერე კი, მერე... ღმერთო, როგორ მარტო იყო.“

სხვა პრობლემების მიუხედავად, ეს რომანი, ისევე როგორც XX საუკუნის არაერთი თხზულება, ადამიანის მარტობობას და გაუცხოებას ეძღვნება. აქვე ვერ ვუძღვებ (ვღუწებ) და ფრანც კაუფას სულისშემძვრობის სიტყვებს მაგრამ „მე... გამუდმებით ვცდავარ ჩემი ოჯახის წინაშე, მოქმედი დანით, ერთადერთად ვცდებოდი მის დაქრსავს და დავცვასაც.“ XX საუკუნის უდიდეს მწერალს ფრანც კაუფას ოჯახის წევრებთან მიმედ და წინააღმდეგობრივი ან ამოკიდებულება ჰქონდა. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც სულიერი ურთიერთობანი აკუმირებდა და საკუთარი უსუსურობის შვებრძენა ავიწყებოდა, მისი და — ოტლინა იყო. ოდის ხასიათიც ნათის უზგაველენით ყალიბდებდა. თვით ნათის ტრავმაც კი სასოფლოველობას და ოჯახში არსებულ ფსევდოლირებულებათა შედეგია. ნათის არ უნდა ამ წესების მიღება, მაგრამ მათ წინააღმდეგ გალაშქრების უნარიც არ შენეებს, იგი საკუთარი მგრძნობილობის მსხვერპლი ხდება.

ყველაფერი კი იმით დანესო, რომ ნათის თანასოფელი ცოლიანი მხატვარი ვარაზი შეუყვარდა, ტაბო დაირღვა, ვამინერსი გადაიარა და ნათისაც მოსვენება დაკარგა. სიყვარული კი ძლიერი, ორმხრივი და გამორჩეული იყო. ვარაზი მოულოდნელად და ტრავმატულად იღუპება, ნათია ვერ უძლებს განსაცდელს, შეიძლება და დიდი ხნის მკურნალობისა და მწერნეულობის მიუხედავად, კვდება. წინა საუკუნეთა მწერალი აუცილებლად მიანიშნებდა, რომ იგი თავის მარადიულ სატრფიოს შეუერთებდა და მარადიულ სამყოფელში, მაგრამ XXI საუკუნეს სხვა პრობლემები აქვს, თუ სულის გამოშობისა ძაღზე ჰკვიდა, მარცხილობის სიკვდილის მერცე გრძელდება. ოჯახი, უძველესი ტრადიციის თანახმად, ცდილობს საავადმყოფოში გარდაცვლილი შვილის სული შინ თეთრი ძაბით დააბრუნოს და ორმოცდღიანი მარცხილობა მინც დაასრულოს. საოცარია, როგორ ერწყმის ერთმანეთს ქრისტიანული და ნარმარათული, როგორი ხანგრძლივი და ერთგული მასსოფრობა აქვთ ადამიანებს. რიტუალები მონანიშნეები უზუსტესად იცავენ ყველა დეტალს, ყველა ნიუანსს. თითოეულს რაღაც მისტკურის, შეუცნობელის ზეგაველენა აქორბებს, მათ შორის ოდიცაც, რომელსაც ყველაზე ნაკლებად სჯერა ამ წესის, უბრალოდ, ოჯახის წევრთა დასამშვიდებლად მონანიშნეობს რიტუალებში. — არ შეიძლება იწყება მისი ეჭვებით აღსავსე რეფლექსია — როდის ჩანისხა ეს მისტკური ჩვევა, ცრურწმენით არის ნაკარსახევი თუ არის მასში ქმშმარტების მარცვლივი? მიიღის დაძ-

ღვებს ცდილობენ ადამიანები თუ პირიქით, საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენას („შთავარია, სხვისი გველენებით აღმოვისნათ და ჩვენ თუ დავამწყვედებ, ამას გათავისუფლებს ვეცხობი“...), როგორ შეიძლება ადამიანის, თუნდაც გარდაცვლილის, სული ამ მოვარდატე ძაღს გააბობებს და ვა.

ამ რიტუალის პროცესში იკვეთება პერსონაჟთა სახეები, ხასიათები. განსაკუთრებულ ყრბადებას იმყრობს ოთხბოცს მიღწეული ნაზია, რომელიც სკრუპულოზურად იცავს ყველა წესს და მათი შეუცდომლად შესრულების ურყევი გარანტია. ატკორი აქ ერთგვარ კლიშეს არღვევს — ნაზია მინახერა, არასოდეს ჰყოლია ქმარ-შვილი, მიუხედავად ამისა, მთელი ცხოვრების მანიძილზე შენარჩუნა ადამიანური სითბო და სიყვარული. იგი სხვების თავგადაცულებით მოამაგე და დამხმარეა, ამიბოცეს უყვარს ყველას და ემიძღვება. ასევე საინტერესოა პატარა ბიჭის გუდუნას სახე, რომელიც მთელი რიტუალების მანიძილზე გულშიმამწყდომად უკავებს ჩონჭურზე და მღერის, მიცვალებულის სულის მოსახმობად. გუდუნა იმის გარანტიცაა, რომ კიდევ კარგა ხანს არ გადაგვარდება მითაჟამიდან მომდინარე ეს ჩვევა თუ რიტუალო.

არ შეიძლება წინგს მხოლოდ ერთი სიუჟეტი ჰქონდეს“ (უშებრტო ეკო). „ძაღუ შე მოვარდატე სული“ ამ მხრივაც ჩვენი დროის რომანია. მოქმედება აფხაზეთთან დღევანდელ ოჯახში ხდება, საკუთარ სამიზობლო დენწილად ქცეულ ოჯახში, რომელსაც თავი ბათუმის სანატორიუმებისათვის შეუფარებია. ოდიც უმარაგი ქართევის მსგავსად ომის მოწინაილეა (აქ მშრლის ავტორიზირებული მომეტებიც იკვეთება). ამიტომაც თავისთავად, ზუნერიავე, თუმცა მტკიცეწილად შემოიღეს ეს თემა. „მკვერებს კი არა, ცოცხლებს გვეღრისებოდე თქ დამრუნება“, ამბობს ნათის საფლავეზე უცნობი. ამ ფრაზაში ერთდროულად იკვეთება თანააღმობის, თანგანცდის უკმარობა, აფხაზეთის ტრავმების სხვის ტრავმადიად აღქმის მომეტაცი, რაც ყველა დენწილს მეტ-ნაკლებად საკუთარ თავზე გამოუცვია. დაზნურებული მამა ქალმეილის საფლავეზე ამობის, რომ ეს მისი დროებითი ნავსაყუდეელია, აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ცხედარიც მშობლიურ მიწას მიგბარება. რეჟეტი კი ამგვარი — ცოცხლებმა მათც უშევილი თქვენს თავს.

ამ თემა უკავშირდება აფხაზი მოზოციც, რომლის ბაბუა ჩაუშტყაფმა მუშაჯრობის მსხვერპლი გამხდარა. ახლა ეს მოზოციც ბათუმში დასახლებულა, მან კარგად იცის სულის გადმოყვანის უშეძლებსი წესიც და ქართულიც (როგორც წესი, უფროსი და საშუალო თაობის აფხაზები ლიტერატურული, გამართული ქართული მეტყველებენენ), ამიტომაც ოდის სახშით არსებულ ყველა თეთრ ძაღს აძლევს, მისი შეღიწმული ცისია კი საოცრად ჰგავს გარდაცვლილ ნათის, თითქოს მისი ორულება. ერთი შეხედვით ხელოვნურად შემოღობს აფხაზი მოზოცის სახე, ცისიას ორულობასაც ნაააღმდეგი იერი დამკრავს, თუმცა ამით მწერალი აფხაზეთის ტკივილის თავსმოსახევევს კი არა, რიტუალისადმი, ზოგადად მისტკურისადმი, ჩვეულებრივ საკლერკი ეესტაზისადმი ადამიანთა დამოკიდებულების გარკვევის ცდილობს და ქართულად აფხაზთა ამგვარ ერთიანობასაც უსევამს ხაზს. ამ ემიზოდ-



შიც და მთელ რომანშიც ქარდა ქარდუხის გამორჩეულ თვისებად, რომელიც ასე აუცილებელია მწერლისათვის, ზომიერება, შინაგანი ტაქტი ნარმოვებება.

კომპოზიციური მრავალფეროვნების ნაწილად უნდა აღვიქვათ ფრაგმენტები ნათის დღიურიდან, სულიერი ავადმყოფის თვალით დანახული ამბები, მისეული შეფასებები. ქარდა ქარდუხს ერთი წუთითაც არ ავიწყდება მკითხველი, ამიტომაც მონყენილობის თავიდან ასაცილებლად, მოუვლენებს სხვადასხვა კუთხით დანახვებს. თუ მხატვრულ ტექსტის მიზნუვლობას საერთოდ მივსადაგებებს ეს სიტყვა — იგი კრივატიული მწერალია (ამ მხრივ, საინტერესოა აგრეთვე თხრობაში ჩართული მითოსური ნაკადი თუ მოტივები, რაც ტექსტს არა მხოლოდ შინაარსობრივ, არამედ ფორმისმიერ იდუმალებასაც ანიჭებს). თუმცა ნათის დღიურები ქვეტექსტად უფრო აღიქმება, ვიდრე ტექსტად. მწერალიც აქ ავადმყოფის კი არა, განსხვავებულად მოაზრობდა და მგრძობობარე ადამიანისა დაგვახსენებს, რომელიც ხშირად ფანტაზიურებზე სადად მოაზროვნეა და მოუღუებსაც მათზე ადეკვატურად აღიქვამს.

„გაგვობაში შეგნოა, ყველა სოფელს საკუთარი ცა ჰქონდა... პირველად ღამე ვიძეცნებდი სხვაგან ყოფნას: როგორც კი ვარსკვლავებით ანთებულ ცას მოკრავდი თვალს, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობდი, რომ ჩემს სოფელში კი არა, მისგან ძალიან შორს ვყავი. ასეთსავე სიმორეს ვგრძნობ ახლა ყოველი ადამიანისაგან.“ სწორედ ეს სიმორე იწვევს ადამიანთა დასაკუთრებულობასაც და გაუფიქრებასაც. ნათია თვითვე ხსნის ამ გაუცხოების მიზეზს — „ღმერთო, როგორ შევეჯახე და შევეჩხე გაურღვეველ კედელს. როგორ მიმიწყვედი შეუძლებლობის მარწყვებმა. ყოველივე უახლოე, რასაც უნდა ვაკეთებდე, უიმედოა, იმიტომ, რომ უშეშებელია. მე ხომ ვცივი, მომავალი არ გამაზნია.“ ნათია გრძნობს, რომ არავისთვის არ არის საჭირო, ახლობელი ადამიანებისთვისაც მხოლოდ ტკივილი და უსამოვნება მოაქვს. უკვე ამ სტრიქონების წერისას იგი ფარულ, იდუმალ, იქნებ გაუცნობიერებელ გადაწყვეტილებას იღებს ან ერთგვარ შხაობას აცხადებს — ამ ქვეყნიდან ნასასკვლავად, მისი მიწიერი მისია დასრულებულია — „ვისთვისაც ერთადერთს წარმოვადგენო, ის უკვე აღარაა, სამუდამოდ წავიდა, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ, საუკუნეების წინათ. ღმერთო, როგორ გავიდინე ხის წლიები, ხომ არ მატყუებენ, შეუძლებელია ამდენი ხანი გასულიყო როდის, როდის გავიდა“.

მის ბედველ საუკუნეთა მანძილზე მყოფი ქალების ნაცვლად გლეგობის, შვიძობა და ბოლოს კვდება კიდევ ნათია, რადგან მან თავისი სულის თანაზიარ დაკარგა, საიგორღა იაროს ნახევარი სულით? ამიტომაც არის, რომ ვარაზის უტახედი სიკვდილის შემდეგ „გამილიანებული ნათია“ არავის უნახავს /ანდროგენთა ლეგენდის მიხედვით, ქალი და მამაკაცი ერთი არსად და ერთი არსებად ირიად განკვეთილი, მარად რომ დაეძებენ ერთმანეთს. ჩინური ინიციატივის წრის უწყვეტობას მამრულ და მდედრულ სანქსივს ერთიანობა ქმნის. ბიძგის მიხედვით კი: „არცა მამაკაცება? არს, არცა დედაკაცება?, არამედ ომევე ყოველ ერთ ხარტ წინაშე უფლისა“.

იქვე დღიურებიდან ვიკვებ, როგორ წინასწარ ჭერებენ ვარაზის უცა ნათია თავიანთი სიყვარულის ბედისწეს-

რას, ამიტომაც ვალაკტიონის „შესაფლავებუ“ ბჭობენ ვალაკტიონი. ამ ლექსის გმირებისაგან განსხვავებით, ნათია იერ ემელო სატრფოს დაიწყება და მის სიყვარულს შეეწინაა. სწორედ ასეთი სიყვარულის არარსებობას მისტერის ვალაკტიონის „შესაფლავებუ“:

**შესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება? ემ, არ შეგნა შე ეგ რალაც... მომამე ხრე კიდევ თავი, და შეწყვიტე, თუ ღმერთი გნამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი.**

ვალაკტიონის ამ ლექსში „ბუნების კანონზომიერებამ გაიმარჯვა“ (აკაკი ბაქრაძე), რაც პოეტს არ უხარია, პირიქით, მას ნამდვილ სიყვარულის არსებობა ეეჭვება. ნათია ამ იტყვს ფანტავს და ტქეშპირიტი, ერთადერთი სიყვარული მსგავსი ხდება. „მგლოვიანი ყოველგვარ ზოხას იმორებენ, ნილბას იხსნიან და საზოგადოებას სახეში მიახლიან“ — ვარაზის ეს სიტყვები თითქმის კანცლურაგას საყვარელი ქალის ცხოვრებას მისი სიკვდილის მერე.

ნათიას დღიურებში ნოვალის — „ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი სულის“ (ნათია გელსაშვილი) სახელიც ვაქრეთება. დანტეს შემდეგ მეორე ორფული ცოტეტისა, რომელიც სატრფოს, სოფი კიუნის, გარდაცვალების შემდეგ იქცა პოეტად და თავისი შემოქმედება, დანტეს მსგავსად, მისი სახელის უკვდავყოფას მოუძღვანა ამ ცრემლით, ერთგულებით, გულწრფელობით ნაგებ მთის ყველა ჩვენგანი უფრთხილდება, ამიტომაც აღიქმება მტკიცუნულად შერაღისის მიერ, სოფიას სიკვდილის შემდეგ, ოულია პარპანტის გაცნობა და მასზე დეკორინების სურთილი. ფრაბერგის პერიოდში მოულოდნელი ცვლილება მოხდა ახალგაზრდა რომანტიკოსის ცხოვრებაში. იგი დაუახლოვდა პროფესორ პარპანტის 22 წლის ქალიშვილს და მისი ცოლად შერთვა გადაწყვეტა, მაგრამ პოეტი ქორწინებამდე გარდაიცვალა, თითქმის სატრფოს სული არ აძლევს ამქვეყნად დარჩენის ნებას. ნოვალისი და სოფი, ორი მარადიული სატრფო, მარადიულადვე შეუერთდა ერთმანეთს. ამიტომაც ამიტკივებს ნათია თავგამოდებით, რომ „ნოვალის სულაც არ ყვარებია ის შვირე“! საოცარია, მაგრამ საუკუნეთა მერევე ადამიანებს შესწავლით თავგანწირული, ტქეშპირიტი სიყვარულის ძალა და უნარი და ასე იქნება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს.

„ძაბუე მოურაფატე სულ“ ყურადღებას იპყრობს პურსონათა საინტერესო, მრავალფეროვანი ვალერითი, მთავარი და მეორეხარისხოვანი სახეებით. ზოგიერთზე უკვე ვისაუბრეთ. რომანში ერთი სახელით ბორანა — ორი სრულიად განსხვავებული პერსონაჟი ვხვდებით. მძლოლი, რომელსაც მწერალი შეუმერთა შთამომავალს უწოდებს და რომლის სახესაც იგი ოსტატურად ბატავს, რომ ზუსტად წარმოადგება მენი რომელიმე ნაცნობი ან ახლობელი, დაახლოებით ან ამგვარადვე იერ მოიქცეოდა მსგავს სიტუაციაში. სოფელის ცნობილი გამომლოცველი, ასაკოვანი ქალიც ამავე სახელს ატარებს. ისიც საინტერესოა და გამოკვეთილი სახეა, წარმართულ ქურუმთა თავდაჯერებულობითა და სიჯიუტითა, სრულიად გაუცნობიერებლად რომ შეუთავსებია სულიერი მოძღვრის



ფუნქცია და ნაშთაც არ ეპარება ეჭვი საკუთარ მისიაში, მით უფრო, რომ სოფელიც ამასვე მოითხოვს მისგან. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რა ჩანაფიქრი აქვს მწეპარალს, რატომ მოიხსენიებს ორ განსხვავებულ, სხვადასხვა ასაკისა და სქესის პერსონაჟს ერთი და იმავე სახელით (ასეთი რამ დასაშვებია დოკუმენტურ პროზაში, სადაც ადამიანებს თავისი ნამდვილი სახელით მოიხსენიებენ). მით უფრო, რომ რომანში არაერთი იშვიათი და საინტერესო სახელი გვხვდება — ბიოლოა დაცა, ექთანი ფერხისა, ძალუა ბებია, მეზობელი შუქრი, ლამისა და ა.შ.

კიდევ ერთხელ უნდა შევხვებო მწერლის ენას, მის უმთავრეს და მძლავრ იარაღს. ქარდა ქარდები სალიტერატურო ქართულ უხუსტეს მებრულ სიტყვებს უბრუნებს — ვაშინერს (ტაბუდადებული), მონკურული (დაბუჭული), მენცარი (დაახლ. ეშპაკი), მითაქამიდან (უხსოვარი, მითების დროიდან), გოლუაფირო (გენაცავაუე), შურივე (ალერსიანი მიმართვის ფორმა) და ა.შ. თუმცა ზოგიერთს თვითვე ამკვიდრებს. ეს სიტყვები ყველა წიგნიერი ქართველისთვის მეტ-ნაკლებად გასაგებია და ორგანულად ერწყმის სალიტერატურო მეტყველებას. იმედია, მწერალი გაავრძელებს ამგვარ ძიებებს და მებრულის ნაკადის დამკვიდრება მისი მხატვრული სტილისა და ინდივიდუალურობის უტყუარი ნიშანი გახდება. მით უფრო, რომ თანამედროვე ქართულ რომანისტიკაში მხატვრული ინდივიდუალურობის თვალსაზრისით საკმაოდ მძლავრ თამბაქო მონიშნული (ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ რამდენიმე პროზაიკოსის დასახელებაც საკმარისია). „ძახუ მდგარავატ სულის“ ენა საინტერესო, ლექსიკურად მდიდარი და გამართულია. რაც მთავარია, რომანი ერთიან, თანაბარ ტექსტად აღიქმება, რასაც მკითხველი ადვილად, ინტენსივით აღიქვამს.

სიმბოლურია რომანის ფინალი — რიტუალის ჩატარებამდე საკმაოდ სექტეკურად განწყობილი ოდი რადიკალურად იცვლება ამ საკრალური აქტის აღსრულების მერე, მის სულში ერთგვარი გარდასახვა ხდება — ჩვევსა თუ ახლორღობისადმი პატივისცემა საწყაროსთან პარამიოიული ერთიანობით იცვლება. „ამიჩატდება სული, თითქმისდა სრულებით ვერწყმი კოსმოსს, გაუაზრებლად დავკერი მნათობის შორის, გამშავება მიპყრობს რიალაცნადრად განონანსწორებულს... დავტვივარ აზვირებულ, ანთებულ მცენარის შორის და თითქოსად მეც სამყაროს გიფურ ქარის შერწყმული, სულისშექარამდე მონატრებულს დავქებ...“ ნათამ თავისი სიკვდილით, უფრო სწორად კი ძახუ მდგარავატ სულით, გამათლიანა მისი სახე და არსა. ამგვარი ფინალი არა მხოლოდ მინაარსობრივად, არამედ კომპოზიტორულადც კრავს, ამთლიანებს ნაწარმოებს.

დღეს მეტ-ნაკლებად გამოცოცხლებულ სალიტერატურო ცხოვრებაში მაინც განსაკუთრებულად აღიქმება ყველა წარმატებული რომანი, ყურადღებასაც განსაკუთრებულად ითხოვს, ამითაც არის ნაყარნახვი ჩემი განმარტებულებები — განამიძღების, დისტანციის გარეშე, რაც ყოველთვის შეიცავს გარკვეულ რისკს, საფრთხეს, მით უფრო, როცა საქმე ასეთ რთულ და მრავალანახვავიან ნაწარმოებს ეხება. საკუთარი ტვირთის სიმძიმეს ვაცნობიერებ, მაგრამ არც გაჩურჩხება ძალიძის. მწერალს კი ახალ წარმატებულ რომანებს ვუსურვებ!

იკა ქადაგაძე

# ოცნების საქართველო

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- გადამტებული პატივმოყვარეობა, მზაკერობა, უსამართლობა, ცინიზმი.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- იმ საქართველოში, რომელზეც ჩვენი ღირსეული წინაპრები ოცნებობდნენ.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- დამსახურებული ტრიუმფი, რომელსაც ახლობლებთან ერთად გაიზიარებ.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- რუსთაველის ავთანდილი და ჯონ სტიპანბევის ტომ ჯოლიო.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მიქაელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, დორურე, ფიროსმანი, რემბრანდტი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- მოცარტი, ბეთოვენი, ვაგნერი, ვივალდი, ბახი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- სამართლიანობას, სიკეთეს, სიმამაცესა და გულსხმიერებას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- თავმოყვარეობას, სინაზეს, მიუკერძოებლობასა და გაბეგბას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?
- უშურველობა, მიტყვევის უნარი, შინაგანი დახვეწილობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- წერა, წერა, კვავ წერა და განუწყვეტელი კითხვა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოველიყოფით?
- ყნწილთან მწერლობაზე ვოცნებობდი. თანამედროვეობიდან დედაჩემი ყველაზე კეთილი და სამართლიანი პიროვნებაა. ის ჩემთვის სამაგალითოა, თუმცა ცმურთის ნებაა, ვინ ვის დავმსგავსება.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- შეუპოვრობა, ულაღობა, მიზანსწრაფულობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- პატივისცემას, ერთგულებას, სამართლიანობასა და გამებედაობას.
- თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?
- სიფიცხე.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სულთ მონათესავე ადამიანებთან ურღვევი ურთიერთობა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

- ღმერთის თვალში უღირსად წარმოჩენა.
- როგორი გინდობით ყოფილყავით?
- პრავდასტიტი და ნაკლებად უმურველი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- იისფერი, ჩემი შთავგონების მუდმივი წყარო.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვარო?
- იასამანი, რომანტიკულ განცდას აღვიძებს.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ბუერი, განსაკუთრებით მერცხაოი, ბელურა და იადონი.

- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ჩამოთვლა შორს ჩავიყვანას. მიხეილ ვეჯახიშვილი, ჯონ სტიინოვიცი, მეტერლინი, შექსპირი, დავით კლდიაშვილი, ნოდუშანი და ბუერი სხვა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

- რუსთაველი, ბარათაშვილი, ჰაფიზი, რილეი, ბაირონი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი. და მაინც, გალაკტიონი უპირველეს ყოვლისა!

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?

- ნესტანი, ელექტრა, ანტიგონე.

— საყვარელი გმირები რელიგიურ ცხოვრებაში?

- დედარემი.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან ნამებული, მარო მყავიშვილი, ჟანა დ'არკი.
- საყვარელი სახელები?
- გიორგი, ზეიადი, თორნიკე, შალვა, ნინო, დიანა, თეა, თამთა, ფიქრია.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- სულმდაბლობას, გაუტანლობას, სიცრუეს, სიმდაბლებსა და უპასუხისმგებლობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დამისახურა?

— ჩემი ქვეყნის დაუძინებელი მტრები, განსაკუთრებით ქართული წარმომავლობის.

- საომარი მოქმედება, რომელსაც თქვენ უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- საომარი მოქმედება გაუნელელებ ტყივილსა და ნგრევის სწევს, თუცა თავდაცვის მიზნით წარმოებული ომი „გამართლებულია“. დიდგორის ბრძოლა.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ასეთი რეფორმა ჯერ არ გაუტარებიათ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

- ხატვის.
- როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- პროვოკაციით აღსავსე კითხვა. პასუხიც შესაბამისია — პეროიკულად.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

- მშვიდი.
- ქვეყნის, რომელშიც თქვენ შემყვარებლობას იმსახურებენ?

— ჩადენილი შეცდომების გულწრფელი მონანიება. ბოდიშის მოხდას ხელისუფლების ფლობა, როცა საკუთარ თავს ვაყვაცურად გამოუტყდები, რომ სხვისი პატივის უნარი ნამდვილად შეგნევეს. ვინც ყველაფრის მიუხედავად პასუხისმგებლობას არ გაურბის, ღვთის თვალში გადარჩენილია. ადამიანები უფრო სასტიკად მოქმედებენ.

იკა ქადაგიძე



— თქვენი დევიზი?

— ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი: ეცოცხლო, ეი. ვაზროვნე, ეი. ვმოქმედე, სანამ პირში სული მიდგას, რაღაცის (რამდენადაც შესაძლებელია) გაკეთებას ცდილობ.

— თუკი ოდეს შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რას მას თქვენთვის უთქვამ?

— არ ენანა ამქვეყნად რომ მომავლინა.

ქრონიკა

ცნობილი პოეტისა და მხატვრის ესმა ონიანის სახელწოდებით გამოჩნდა იაპონური თოჯინების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი ექსპონატები საქართველოში იაპონიის ელჩის მეუღლეს ჯუნკო ცაიო შარას ეკუთვნის. როგორც ქალბატონმა ჯუნკომ გამოფენაზე მონაწილე სტუმრებს აუნაყ, ეს იყო ნაწილი მისი კოლექციიდან, რომელიც 60-მდე თოჯინას მოიცავს.

იაპონური ტრადიციის თანახმად, ახალშობილს ოჯახის ახლოს მდებარე აუცილებლად ზეინან იმეგარ თოჯინას, როგორც ზურთ, რომ მათი პატარა იყოს მოხავდეთ. ბავშვის მოზრდილობამდე თოჯინას საპატარა საწურვედ ინახავენ და შემდეგ გადასცემენ მას. კოლექციის ნაწილი სწორედ ასე ნაწუქარ თოჯინებს წარმოადგენდა, ნაწილი კი საგანგებოდ კოლექციისათვის

იყო შექმნილი. მას ქალბატონი ჯუნკო ნელის მანძილზე აგროვებს.

სახელწოდებით თოჯინების გარდა გამოფენილი იყო ე. წ. იაპონური სამიწვერტორი კიბე, — იმპერატორებით, დეოფილებით, მცველებით, მათი ნივთებით, კოსტუმებით და ა.შ. აგრეთვე ზეინან ნატარგი არაწვერტორივად ნატევი, უღამაზესი კიბონი — მათი ტრადიციული სასმისი. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით თითქოს კონტრასტული, მაგრამ ასევე არაწვერტორივად მაღალი ხელოვნების — ესმა ონიანის ნახატების ფონზე — კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურებოდა. განსაკუთრებით კი მხატვრის მიერ იაპონურ თეატრზე შექმნილი რამდენიმე ტილოს გვერდით, რომელთაგან ერთ-ერთმა იაპონიამ დიდი მონურება დამისახურა.



გურამ ქართველიშვილი

# თამარ ლანის ღამე

ქართველები კარგი აგებულების და ღამა ხაზის ბალხია. მათი სარწმუნოება ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული.

რუი გონსალეს და კლაივის - კასტილიის მეფის ელჩი თემურ ლენგის კარზე 1403 წელს

მათი სამეფო მართალია დიდი არ არის, მაგრამ საუბრობდა დაცული ციხეებით, სამხარეებით, მღვიმეებით, ქვაბებით, მთებით, უფსკრულებით, მწვერვალებითა და ხეობებით. ყოველივე ამათი დაბეჭობა კი ძალიან ძნელია მათ კეთილშობილ სულთან შერწმულულ ბუნების გამო.

თემურ ლენგის ისტორიკოსი იბნ არაბშაჰი XIV საუკუნის საქართველოს შესახებ



სიფრიფანა აბრეშუმის ქვეშ მწლიარეს კოლოები ვე-  
ლი კენდენე, მაგრამ მათი ყურისწამლები წივილი არ  
აძინებდა. გააყვებულ გულს თოკავდა და სარდლებთან  
არაფერს იმჩნევდა. ჩუმად ნოყელია გურჯებს და მათ  
ოღროსოლორო ქვეყანას, სადაც მწერებში კი მწარედ იტი-  
ბოდნენ. სიბერის უძილოა გათიმაგებული ჰქონდა და  
იმერეთის ვაკეზე დგომას ბოლო არ უწინდა. ირგვლივ მი-  
სი ჯარისთვის მახებდა და გადაცეული ტყეები ჩანდა მხო-  
ლოდ და გაუთავებლად წვიმიდა. ზანაკიდან დაზურვაზე  
ნასული ბაჰადრობიდან უკან აღარავინ ბრუნდებოდა.  
ყოველი მხრიდან უწინარი ხელით ნასროლი ისარი ანად-  
გურებდა ძლევამოსილთა ლაშქარს. ნაბიჯს ვერც წინ  
დადებდა და ვერც უკან. მოეჩვენა ამბავი მოჰქონდათ, რომ  
სადღაც იქვე მდგარ გიორგი მეფეს წინ უაჩრებ საფანჯი  
ჰქონდა მისთვის დაგებული. არადა, უკან გაბრუნება გაქ-  
ცვდა წინაშე და სირცხვილს სიკვდილი ერჩია. პატივ-  
მოყვარობა უჭამდა სულს აზიის დიდ მეომარს. ყოველ-  
დღე ზედადა დიდი კარიდან ნესტ-წუმსით განამებულ  
გამარჯვების ნაჩვევ ჯარისკაცებს, უხასისოდ რომ და-  
თიროდნენ და მისგან გადაწყვეტლებას ელოდნენ. მარ-  
ტობაში და დღეები გადიოდა. არავის იკარებდა და ვერც  
ვერავით ბედავდა სიმარალე ეთქვა მისთვის. ვინ შეა-  
დებდა სიცოცხლეს სასწორზე, ან რომელი მამაცი შეზე-  
დავდა თემურ ლენგს, რომ ბუნებრივ საფანჯად გათქი-  
მულ დასავლეთ საქართველოში შემოედგომა ზე ლაშქარბა  
შეცდომა იყო? ნესტიან ბუნებად ცქცულ სამეფო კარა-  
ვი და მწყვეთელი შეკლეით დაითრავდა კოჭლ ფეხს და  
ალაშს გამოსავლს ევედრებოდა, რომელიც სირცხვილის  
შეუქმებლად დატოვებინებდა საზიზღარი გურჯების მი-  
ნას. მეორე კვირა იწურებოდა და ქართველების მეფე გი-  
ორგისთან საილაუმოდ გაგზავნილი ელჩი არსად ჩანდა.  
გურჯისტანის უსამყველდ განწილილი იმით უკმაყოფი-  
რო სარდლები სიტყვასაც არ მრავლდნენ უკან დახევაზე,  
არადა ყველა ზედმეობდა, რომ ეს დაუსრულებელი ყოყმა-

ნი მალე ჯოჯოხეთად  
აქცევდა ყოფას. ოქ-  
ტომბრის მიწურულმა  
უფრო ოკისპირული  
წვიმები მოიტანა. იმ  
ღამესაც საძებარი გა-  
უხდა ძილი, ამიტომ  
დღიამდე წივნი აკითხ-  
ვინა მდივანს. სისხამ-  
ზე გარეთ გამოვიდა.  
იხდა და დამძიმებუ-  
ლი ქუთუთულებიდან  
ბოროტად ათვალიე-  
რებდა ირგვლივ აღ-  
ყად მდგარ მთებს.  
«მალე ჩამოთოვს და  
აქედან გაღრევი შე-  
უძლებელი გახდება. რა მრჯიდა, რა მინდოდა აქ?! გაი-  
ძვინა გიორგი! მინც გადამომიტყვა.» კიდევ ერთხელ შე-  
აჩენა გულში გურჯების მეფე და იქვე მდგარი კარვისკენ  
დაიძრა, სადაც ანკარის ბრძოლაში დატყვევებული ოსმა-  
ლიეთის სულთან ბაიაზეთ ილდირიმი ეგულებოდა. სულ-  
თანის მოზუელი თუთიყუმეით იხდა მისთვის გამოჭე-  
დილ გალიაში და თვლემდა. თემურის დანახაზე ვერ გა-  
დაიხზარბრა და მერე მაიმუნიეთი მოჰყვა ზტუნვას.

— რა დაეპარა? — შეუღრინა იქვე მინახე გარისბულ  
კარვის მეცელს თემურმა.

— გაგიგად, საშუაგრონო. აღარც საქმეს ქამს და  
ასე ცხოვრებით დახტის გალიაში. დროდადრო კი უბ-  
რუნდება ხოლმე სალი გონება, — თავალებლად უპასუხა  
მცველმა. თემურის სინახისგან ააცხახვასა. საუბარი უნ-  
დოდა ბაიაზეთთან და ხელში გიფი შერჩა. ერისხანს სინა-  
ნულით უყურა ერთ დროს მთელი ევროპის რისხვას, მერე  
იქვე დაწყობილი საქმლიდან ცხვირის შემწვარი კანჭი  
აიღო და გალიაში შეაგდო. სულთანმა ნახტომით დაიჭირა  
ხორცი, ძალღიეთი დაწყოსა და პირი არ დააკარა. თემურს  
გააფროკლა. გაასხენდა შიშით გულგახეთქილი კონსტან-  
ტინოპოლი, რომი და პარიზი ოროდენ წიხის წინ როკურ  
აგზავდნენ ელრობას ელრობაზე სასთანს მალათა მის-  
ხანე სულთნის წინააღმდეგ დახმარების თხოვნით. ამ გა-  
ლიაში გამოიყვადულ არარობას, მაშინ უკვე შეჭმული  
ჰყავდა ნიშოპოლთან ბრძოლაში ევროპის რჩეულ რაიდე-  
თა არშია და დაბეჭობილი ჰქონდა მთელ ბალკანეთი.  
არადა არც ერთი ბრძოლა არ იყო თემურისთვის ისეთი  
მნიშვნელოვანი, როგორც ანკარის ომი. ოსმალების გა-  
ნადგურებით ევროპამ შეშებით კი ამოოსუნტუქა, მაგრამ ში-  
ში ჩაუდგა მუხლებში. საქრისტიანოს მონარქებიდან არა-  
ვინ იცოდა რას მოიმიქმედებდა ხეალ მათი სულთანო-  
თავი — ბაიაზეთ სულთნის გამანადგურებელი ძალა. და  
როცა ლონდონისა თუ მადრიდის ელჩები საქავარი-სამშ-  
ვიდობო კავშირის დასაბედად ეახლნენ, თემურმა მათ და-  
სახანხად დიდი კარვის წინ რკინის გალია დაადგმევინა და  
ბაიაზეთ სულთან ცხოვრებით დაამწყვდია შიგ. ხანძა-  
რითი მოედო მაშინ ეს ამბავი ევროპას. მამამდის რჯუ-  
ლის დღემა მამებმა მართალია არ მოინონეს საქრისტია-  
ნოს წინააღმდეგ მეომარი სულთანის ასე დამცირება, მაგ-



რამ დემოლი არჩივს. თემურმა კი ორი კურდღელი დაიჭირა - ახმა ხმლით ჰყავდა დამოკებული, ხოლო ევროპა - მშობი და მათ შორის გადაჭიხულ საქარაირო გზებზეც თვითონ გაბატონდა.

ლენმა კოჭლი ფეხი აიღო და კარგადმდე გასვლამდე მინახე ვაიროს მცველს ისევ შეუღრინა.

— ცეცხლი მაინც დაუნთეთ ამ საცოდავს!

— როდის იყო, ცეცხლი სჭირდებოდა ვალია გემომ-წყვეთულ ცხოველს, საპებელონი? — სულთანის დამცინავი ხმა მოესმა ზურგსუნიდან. ლენი შემობრუნდა და თვალში ახლა შენდილის ნაცვლად ისევ სულთანის მშვიდი სახე მოხვდა. ბაიაზეთი გალიის კუთხეში იდგა და თავისი ცალი თვალთი ზვრეტდა თემურს.

— შენ მეომრებს დაუნთე ცეცხლი, თორემ დაგილაქებინა ამ ნუშეშში და მარტო დარჩენილს დაიჭრე ვერ გიხსენის გიორგი მეფის კლანჭებიდან. ხომ არ ალბოდი? რა-ღაც იდგინას უყრუტებს ამ ქაბობან კოლხეთში, - გესლი ამოაყოლა სიტყვებს სულთანმა.

— ნებისა გადაღებას ველოდები და იერის დაეინყებ. მარტოობამ ალბათ შევანუხა. მალე დეადაგმეინებ აქვე მეორე გალიას, გურჯების მეფეს გვერდით მოვივამ და მოსაუბრე გაეჩინებდა.

უფალო, მოილე წყალობა, შევიგინდე, რაცა გვექვს ცოდვები... შენ გესმის ცრემლსავსე გალობაც, და მტერთა მექარის ბოდევიც...

შენ, ჩვენი მსხნელი და მამუელი, ვვარცმულ ურს აღირსე აღდგომო; მიიღე ეს მინა სამუნოდ, შენს საღვთო ტაძრად და სადგომად!

### ღითირაგაპანი მზას

მზეო, ზეცად მზეთამზეო, უზონივარესს გვაგზნებ მზერას... ზურმუხტს ზეზავ ზაფხულისათვის, მზიურ ზეარებს ფხიზლად ზეგრაგ.

ზედამეს, მზე-აიზამას, საზეო აზრს ზენად ზრახავ ზეგარდმობის ზარ-ზეიმი, ულამაზეს ზლპრის ზლეა ხარ.





ზამბაბეებით ვგაზაფხულობთ,  
ზანზალაკით ვაზებს კაზმავე;  
ზევას აზავებ, მზას აზვავებ,  
უზაკველთა ვაზირს საზღვრავ.

ზიზილებით ვზიდავთ მზითვეს,  
გვასაზრდოებ ზეცის საგზლით.  
ზოგჯერ დამზრალთ გვაზღვევ სიზმრად,  
გვაზიარებ ზესრულ საზრისს...

უზუნაესს ზარავს ზაკვა,  
უსაზღვრობის ზარებს მზარავს;  
ვზი ზვარაკად აზიზ მუზის,  
საზეპურის ვზომავ ზარალს...

მზეო, მზეო, მზეთამზეო,  
უზეშთავს ზენად ზეობ!

### შენ შემოგვპელ სამოგლოვი

თუ ვდარდობ, შენზე ვმწუხარობ,  
თუ ვლადობ, შენით ვხარობ.  
შენ, ჩემო გული მქუხარო, —  
ბატ-საფიცარი ხარო...

უშენოდ ნუთიც არ მინდა,  
თუშცა შენ ველარ მწყალობ;  
პირმშო ვარ, გერად გგადვიარ,  
ბოგანოსავით ვნვალობ.

არ გვედერი, ოლონდ გაბრწყინდი  
ნათელ სხივების წყაროდ.  
დედა ხარ მრავალტანჯულო,  
ხამს, მუხლი მოგიყარო.

მრავალჯერ ჯვარზე ვნებულო,  
მწინდათა ლამპარ-კვარო.  
ღვთისმშობლის მადლით ნაკურთხო,  
წინოს ცრემლების ცვარო.

სულ დრაკონებთან მებრძოლო,  
მწინდა ვიორგის ხმალო.  
ჯვარ-უფლის გადამჩრჩენელო,  
საქრისტიანოს თვალო.

ჩვენი სისხლ-ცრემლთა ნაკადით  
ადიდებულო მტკვარო...  
თბილისო, მტრისგან ნაკორტნო,  
მაინც ამაყად მდგარო.

ხან ჩემი ციხის ჯავშანო,  
ხანაც მოთქმავ და ზარო.  
შენ, ჩემო აღერთოვანებავ,  
სიკვილ-სიკოცხლის ზღვარო...

დედაო, ცაო, მამულო,  
თქვენთვის ვკვდები და ვცხარობ.  
შენ შემოგვევ, სამშობლოვ,  
ჩემი სულისდგმა ხარო!

### მზე თამადალ

გაზაფხული ფრთებს მიბრუნებს,  
ზამთარმა რომ წამართვა;  
მას ეუნუნებ მკაცრ სამართალს,  
სიბერემ რაც დამართა.

თმაში თითრი დამათოგვა,  
გულმაც ისე დამმანთა...  
დამივინყია ის „რაზოვდა“,  
ზაფხული რომ „შანსავდა“.

ახლა უკვე, სხვა სიცოცხლეს,  
სულს ვუბერავ თავადა;  
შუქმა ისე დამანთა,  
გრძნობით გამასავთა.

ზამთრის ქარი გადაშექვა,  
თბილ ნიათა ზაფდა;  
ცისარტყელის მწველ ბალადამ  
ვერცხლით მომასავდა.

თითქოს ფრთები გამომეხსა,  
ცრემლს ვერ ვტყდევ წამლადა;  
ცაო, როგორ ბრწყინავ წაზად,  
მზეო, ზიანი თამადალ.

### სიღნაღი

მზე ჩახჩახებს... ირგვლივ, მზერად დგანან მთები,  
ეს რა მომიღის, უყველაფროდ როგორ ვთვრები?!  
ლამის, ლამის გავამართლო ჩვენი მტრები,  
ამ სამთხის დაპყრობის ჭინს თითქოს ვტყდები...

აჰ, რარგად წარმტაცია მხარე ჩვენი;  
წამების გზაც... ვალავანიც რარივ გშვენით!  
ჟამი გვდგათ ღვინისა თუ სისხლთა თხევის,  
უფლის ნებით იყო მაინც დამამშვენი.

ძირს, წისღებში დაბანგული ცა მიცურავს,  
წმინდა წინოს ეკლესიაც ჰგავს ღვთის სურათს...  
ჰგავს სიღნაღი ქართულ ტაძრის მზიან გუმბათს,  
ქუდივით რომ კახეთს ისევ თავზე ზურავს.

### შვილავი და უფალი

გადის დღეები, კვირები, ზოგჯერ თვეებიც,  
არ მოხვალთ ჩემთან, არც შორიდან მომეფერებით.  
ზღვა სიყვარულით ამოგავსეთ და ზღვა მშვენიებით,  
სად ფანტავთ ღვთის განძს, სად წალექით უფლის ფერები?!

შეუტცხოვებით გაყინული თქვენი გულებით,  
თითქოს ვერცა ცვენობთ, იმგვარად ხართ დაბანგულები;  
სად განაბნით წმინდა მადლის საგანძურები?!  
ჩემს გულს ვასადებო... ვაჰ! ჩემს ტაძრად არ მეგულებით.

ოცი ნელია მარტოსულის სევდით ვითვრები,  
 ცრემლებად მექცა მოფარფატე ნაზი ფიფქებიც;  
 ვიცო, უფალო, მხოლოდ შენლა არ ჩამიქრები,  
 როს გულში მიკრავ, მზიანდება ჩემი ფიქრებიც.

შენ ხარ იმედი; შენს სიყვარულს არ აქვს ნიხრები,  
 შენლა გამილვედ შემოჭრავი ყინვის ჭირხლები;  
 შენმა ნათელმა გამიუქმა ცისკენ ტიხრები,  
 ჩემს ნამოდგომად შენლა იღვნი, შენლა იხრები...

ო, ზეციურო, მიმიმს მინა, შენი ვიქნები,  
 და გველი იმ დღეს, შენს ნათელში რომ ჩავინთქმები.

**ხმით ნატირალი აუსირტას დედისა \***

ვაპმე შეილო, დედისერთავ,  
 მზეც, რა შავდა ღატრიალდე...  
 ვის მისდევი, ვის მიენდე,  
 ვინ დაგვლუპა... ო, დიაში...\*\*

მინა ირყევა ხმა-ზარით,  
 გმინავს ყველა აიაში...  
 მოსხებილო აღვის ზეო,  
 აჩეხილო... ო, დიაში...

ვიცი, ამას არ ელოდი,  
 იზრდებოდი მზის ნიაღში...  
 დამაც გიმტრო და გავნირა,  
 ო, აუსირტევ... ო, დიაში...

თავს დაგვემხო რისხვით ზეცა,  
 ნუთისოფლის აე ტრიალში...  
 ოქროს სანმისზე დაკულულო...  
 ვაპმე, შეილო... ო, დიაში...

ვინ ანონოს ქვეყნად ცოღვა  
 იაზონის და მედეასი?!  
 ან სამშობლოს დამაზობულს  
 რა განწმინდავს... ო, დიაში...

იაზონ, ალბათ ეშმაგ გზობა,  
 ეშმა ჩავიძერა ყიაში...  
 ხომ გავგძარცვე, რად მოგიკვალ  
 დედისერთა?!... ო, დიაში...

მამის მზეც და დედის თვალო,  
 ჰგავდი ცისკარს განთიადში...  
 შუქურ-ვარსკვლავს მისათვალო...  
 მონყვეტილო... ო, დიაში...

შარაენადით ასხივებდი  
 ულამაზეს თვალთ ბრიალში...

უფლისწულო, ნუ ჩაქრები,  
 ტახტი გელის... ო, დიაში...

გულში გენთო სიკეთის მზეც,  
 გალობდი ხომ ღვისის ზარში...  
 ეს შენ არ ხარ... ჩემად რად ხარ,  
 ხმა გაგვეცი... ო, დიაში...

უსასტიკეს ჟამია ბრუნვას  
 მართავს ზოგჯერ ცრუ დიაცი...  
 ამ ზაფრისთვის მეცოდები,  
 შემოგველე... ო, დიაში...

მიკვირს, როგორ გვიდგას სული,  
 სასიკვდილო ამ ხრიალში...  
 მამაშენის გმინვა გესმის?!  
 შეგვიბრალე... ო, დიაში...

ნავიყვიანე შენთან შვილო,  
 ან რა დაგვრჩა ამ ტიალში?!...  
 ღრმა ჭირხლებს მოგირჩენდით...  
 ვაპ, შენს დედას... ო, დიაში...

**უამიდოვა**

ზამთარი, ქარიშხალი მძვინვარებს,  
 ზედ მაცვია, რაც მაქვს — ყველაფერი.  
 აესულეში დახსლტომია მყინვარებს,  
 მომსევიან... მშველის ვერაფერი...

გეყოფაო, რაც ამ ქვეყნად დაყავი,  
 მარნუხეში მოიმწყვდიეს გული;  
 დრო დადგაო უკვე შენი ნაყვანის,  
 იქნებ მინამ მოგიშუმოს წყულუნი.

ვერ მოგართვით, მშიერ სევათა ხროვავ,  
 ნადრევად გაგიმართათ ღვინი.  
 თქვენს ჯინაზე გაზაფხული მოვა, —  
 გადამთრალი ყვევილების ღვინით.

**პლანეტა სატურნს**

წლებმა თითქოს მომაქუფრა,  
 სიმსუბუქეს ვნატროვნი...  
 ჩემს პლანეტას ვუბლი სუფრას:  
 „ნუ მამძიმებ, სატურნი!“

ვიცი, ქრთამი ვერ მიშველის,  
 თუ განგებამ გამწირა;  
 მზეც კი ველარ მათიობს მწველი,  
 ვქრებნი ნაწილ-ნაწილად...

რა ფერადი გარსები გაქვს,  
 რა სპექტრებით ელარებ...  
 რა ექნა, მაინც სიცოცხლე მსურს,  
 თუნდაც ფოს მღელვარე!

\* არკონანტეშმა ოქროს სანმისის ვატაცუბისას მოკლეს მე-  
 ფუ აიტიის ერთადერთი ძე — ტახტის მემკვიდრე აუსირტი.  
 \*\* დიაში — სვანურად ნიშნავს „დედისა“.



ლუკიანე სამოსატელი (125-190 წ.წ.)

# ქებათა ქება საგმობლოს

(ნარსული — მოგავლისთვის,  
აბო გარადიული გრძნობა)

ეს მცირე პირველსაქმელი და ქვაობრე თარგმანიც, ჩემო კარგო მკითხველო, შენთვის ერთმა არცთუ დიდმნიშვნელოვანმა ამბავმა შემომთავაზებინა. სულ ახლახან რუსულ „ლიტერატურულმა გაზეთში“, რომელიც ამჟამად კინციკუნთად აღწევს თბილისში, ფრიად სახელგანთქმული ტელეკურნალისტის ელადამერ კოზნერის ინტერვიუ ნაივითავე („რას კითხულობთ ტელეკურნალისტები?“). ეს აგრეთვე „საჯარო ფიჯურა“, როგორც თავის თავს თვითონ უწოდებს (ტერმინ „ტელეკურნალისტს“ იუმორითა და სკესისით ვუფერძნობ), კორესპონდენტის კითხვას, რომელ მწერალს კითხულობ, ჯერ უპასუხებს, გოგონასო, და მერე იქვე დასძენს, რაბლეს ვალმერებო, თავაუღელად შეშობილა, რომ დილანად საღამომდე ვიკითხო.

ასეთ შემთხვევაში, როცა მისაუბრე იმისთანა რასმე ამბობს და თანაც ისე, რომ შენს გულსთქმას სიტყვატყვივით იმორავს, ვიტყვი თორემ, ეს კაცი ისე დალაპარაკა, თითქოს ჩემს გულში იჯდეს...

„ნიკონან მწერალად ყოფნის“ ამ მძიმე ვაშს სწორედ ასე დაშვინათა ერთ-ერთი მართლა კარგი მკითხველი ცაცისადაც გოგონასა და რაბლეს ერთად კეთილად სენიებისას სასაომოდენ ამიღობი ფიქრმა კვლად მიიხვედა ეს ქვეშეშო ვეცლავ ფილოსოფიურად მსიაურად „გარტანტასა და პანტაგრულისკენ“, რომლის ქართულად გადმოწერვასაც არა ერთი თარი წელიწადი მივთავაზებ. ვინც საქმეში ჩახვედრება, იცის, რომ გოგონას სიყვარული იგივე რაბლეს სიყვარულია, რადგან გოგონას სათავე წმინდელ მდინარეებში არიან! რაბლეს და არა მარტო გოგონას, ჩვენი ლია ჭაჭაქავაძე კარგა გვარისანი რაბლელია („კვირა“ ადამიანი? — დივან რაბლურად რომის იღებს საწაულ ლარსაბს). თვითონ რაბლე კი თუ ვისმეხება არის „შექმნილი“, ერთ-ერთი ძველი ბრძენკაცი, მართლაც ანტიკური ხანის კოლტური, ლუკიანე, სწრაფი დაბადებულა, ქალაქ სამოსატში, მერმე ფრიად სახელგანთქმული ბერძენი მწერალი გახდა, სატრიალი და სარკაზმის დიდოსტატი (თუ საქართველო მოიხება, თავად ოლიმპის ღმერთებსაც არ იწმობდა, სუველსა განწყობილად სისხლს უშრობდა), თითქმის სამკობლოდ წოდის ლინისტიკურ ცეკვიტებში აღსწრულ პირველ ათასწლეულს დაახლოებით 190 წელს.

ეს ყველაფერი კი იმად მოუახსენებ, კარგო მკითხველო, რომ თვითონ ფრანგი რაბლეც, რუსი გოგონაც, ჩვენი ქართული ჭაჭაქავაძეც და ძველი ბერძენი ლუკიანეც თავიანთ დიდ საქმეებს ისეთნაირად ამბობენ, თითქოს ერთივე, მერმე, მუხარამე, მუხარამე, მართლაც ჩემს გულში იჯდეს. ჩემს გულს რომ ვამბობ, ცხადია, შენს გულსაც ვგულსხმობ, ჩემი მკითხველო, და ლიტონი სიტყვა რომ არ გამოიყვინებ, ამჯერად ლუკიანეს მოვიმეღებო, უფრო სწორად კი, ლუკიანეს ერთ მომცემ თხოვლებას („ქებათა ქება სამშობლოს“) და თავად დანერწუნებო ჩემი ნათქვამის სიმარტობი.

„გარტანტასა და პანტაგრულის“ გადმოწერებისას ხშირად მიხებობოდა ლუკიანეში ჩახვედა და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაბლესთან ერთად ის თითქოს ჩემს გულში იჯდა. ქვეშეშო ჩემულ ტელეკურნალსაც ამიტომ ვთავაზობ. გულდაგონად ნაკითხვად ის მის შესწავლას აღმორჩნება. თუ ვნებო, გამაძმნებო.

თანაც კიდევ, როცა ჩვენი მრავალტარგმული სამშობლო ასეთ თუ ასეთ წაადგეს მინაურამ და გარეულმა ტურტებმა, ლუკიანეს სიტყვა დღეს მართლაც მრავლისმომქმელად გაისმის.

1. ძველი ქვეშეშობებო, რომ არცერთა მამულზედ უტაბესი“. მართლაც, განა არის სადმე ურბე არა მარტოდენ უფრორ ტატილი, არამედ უფრორ უწინდესი, უფრორ ამალეულელი, ვინმე სამშობლო? რაც კი რამ ადამიანისმელით წმიდათამნამად და უმთავრეს დედაზარად უჩინა, ვეცლია დასტურ სამშობლოსგან უსწავლიათ, რამეთუ ყოველ კაც-თავანს სამშობლო სძლვის სიყოცხლეს. სამშობლო ასაზრდოებს და ზრდის. რა ვუყო, თუ ბერძენი დასტურთან უტხი ქალაქთა შემქმნელობასა და დიდმშენიერებას, მენერტულობა-ნაგებობათა საწინებებს, სამავიეროდ სუველსა გულზედ ახატია მამულის ხატება. ბერძენი დამტკბარა — და ძალიან ხშირადაც — უტხი მხარეთა შინა ურიცხვი სასწაულისა ტურტით, მაგრამ არცინ ისეგვარად არ მოუხიბლავს იმ სასწაულისა უტხებს, რომ სამშობლო დადვიცინებინოს.

2. ჩემის ფიქრით, ვინცავინ მიმა ამკობს, მდიდარი ქალაქის მოქალაქე ვარო, მამულის სიყვარულისა ქვეშეშობი აზრი არა უწყის: ამკობარ სიყვარო კაცი ფრიად იმჭმუნევა-რებადა, უკეთუ წილად უფრორ ნაკლებად უჭირველი სამშობლო ურგებოდა. მე კი თავად სიტყვა „მამულის“ პატივადეა მტერის სიამონებას. ვინც ადგება და სხვადასხვა ქალაქით ერთმანეთს შეადრის, საზომად სიდიდესა და სილაზმებს უნდა მიმართოს, აგრეთვე ამ ქალაქთა შინა საქონილისა სიხვევსაც უნდა გაუჩინოს ანგარიში. ქალაქთა ერთმანეთისთვის შემადრებელი კაცი იგი ღმერთებს უშაღ იმას შეეცდრება, ჩემი სამშობლო სიმდიდრე იმა ქალაქით გამოთანაბრეო. არჩეული კი ოდენ სამშობლოს იორჩევს, სულერთია, რაბარიც არ უნდა იყოს ის სამშობლო.

3. სიტყვათადაც იქცივანი კეთილნი მტენი და საგმობო-თალინი, პირუთხველ-მიუფერებელი მამანი, ხატკეთილი და ახანა, ანუ კეთილმოხილი ქებატუ შექმნელ მამასა არცროდენ არ დაუჭიკონებებს სხვა ვინმე კაცსა; სწორად მართალი, ანუ ქვეშეშობი მამა კი არცროდენ იწმობ არ შეიყვარებს სხვა ვინმე ყრმასა, თავისი ღვდილი შვილი რომ დაიკვიოს. რომელი მამანიც თავიანთი შვილების სიყვარულით არიან გულსაყვანი, ისინი სხვა მრავალთა შორის მინეცა ვამორჩეულად ხედავენ საკუთარ სისხლს და ხორცსაც, და ქვეშეშობით, ძეთა წინეთა ნახვასა არა სჯობია რაო, ყოველს უფრორ უღამანნი და ლმეხვენი არიანო, ყოველს უფრორ უფინჯონი. ვგობენ, ვინც სხვარეგად სჯის თავისი ძისა ვამო, ის საკუთარ ნაშვირს მამის თვალით არ უყურებს.

4. არცა სიტყვათა უფრორ აზლობელად და ძირფხვი, ვინმე სიტყვა „მამულის“, როგორცაც არცერთა ჩვენივერის მამაზედ მეტად ძირფხვი. უკეთუ ჭაბუკი მამისა მიმართ უფროვანი პატივდებით გულსაყვანი (სიყვაროა კანონისა და ბუნების ნება), განა ის ამით მამულსაც არ მოაგებს პატივსა? მერედა, მამაშინიც ხო მამულის ნაწილია, აგრეთვე მამისა მამაც, იგივე პაპა და ყოველი წინაპარი, შეპურად ხშირად, და აგრე სულ აღმა, ვიდრე მამათა კიბით ჩვენებურ ღმერთებამდე არ ავლით.

5. თავად ღმერთებსაც უყვარო თავიანთი სამშობლო: ვითარ შედგურით, ისტრიადაც ადევნებენ ისინი თავშობლურს ძებორციელთა საქმეთ, რამეთუ ყოველი მინა და ზღვა თავიანთი საბრძანებლად უჩინა, მაგრამ თითოერთი უკუდავ-თავანი ყოველთა ქალაქთა შორის ყოველს უმტეტლად იმას მიავებს პატივსა, სადაც ამა ქვეყნასა მოქალაქენი.

ცხადია, სუყოველი ქალაქი, სადაც ღმერთნი შობილან, საკუთრად და განსხვავებით წმინდა ადგილია, უკრთბუ-ლია აგრეთვე სუყოველი კუნძული, სადაც ღმერთების და-



ბადეებს დღესასწაულოვნ. ის კი არა, ღმერთის სამშობლოში მისული კაცის მიერ შეწირული მსხვერპლიც სასურველად მიიღებდა ზეცისა მკვიდრივან, და უკეთო მამულისა სახელი თივად ღმერთისთვისაც ძვირფასია, კაცინა რა, ვითომ უფროერ მეტად არ უნდა უფრთხილდებოდნენ სამშობლო სახელდებულ მინა-წყალსა?

6. მსუქ ხომ სუყოველი კაცმა პირველად სამშობლოში მოიხილა. და თუშეცალა მზე ყოველთა კაცთა საერთო ღმერთთა, მაგრამ სუყველას თავის მამაპაპისსულად მიაჩნია, რადგანაც პირველად თავისი მშობლიური წყალქალიდან ჰკიდა თვალი და ენაც აკი სუყოველმა მამაპაპისსულ მხარეში ამოიღდა; ყოვლის უადრე მშობლიურ სიხსენად იქ აღლულუნდა და იქვე შეივინო ღმერთნიც.

შუათო კაცსა წილად ისეთი სამშობლო ხვდა, სიადანაც დიდი ცოდნისა შესაძენად სხვაგან, უცხო მხარეში უხდება ნახსლა, მინც მადლიერი უნდა იყოს თავისი მამულისა, თუნდაც მსუქ მცირე რამის სწავლებებისა: სხვას თავი დაეჯანებოთ, სიტყვა „ქალაქი“ კი არ ეცოდინებოდა, უკეთო თავდაპირველად ამ სახელს თავის სამშობლოს არ დაუახებდა.

7. ვკანბე, სუყოველ ჩვევას, სუყოველ ცოდნას, კაცინ იმად მოიხარებენ, რათა მეტი არგოს სამშობლო ქვეყანას. სიმდიდრესაც მოკვდათ პატივმოყვარობა ახვეჭინებს, რა არა მერმე მამულისა კეთილდღეობას დახაზარჯონ. ჩემის ფიტრი, მართალნიც არიან: იღებს დიდ სიმდიდრეს მოწყობის თავსა, უმადურობა არდა ადგის. უკეთო ეპიპოსად ერთი კაცის მადლიერი ვართ, ვინაც კეთილსა გვწია (სამართლიანობა აგრე ითხოვს), სამშობლოს მით უფროერ მეტი უნდა გადავუხადოთ, საკადრისი სიყვარულით შევმოსოთ.

თითქმის არ არის ქალაქი, კანონი რამ რომ არა ჰქონდეს, რომელიც დაუსჯელსა არცვის უხვებს, დედ-მამას ვინაც უღირსად, უკეთურად ეყურება. სამშობლო კი ჩვენი სასყოველთაო დედად უნდა გვიჩინდეს და ყველაგვარ სიკეთესა ეძღვნდეთ იმისად მადლიერებისდა ნიშნად, რომ მან, მანოვნებელმან ჩვენმა, დაგვზარდა, დაგვაფრთიანა, არცრა დაუკლია რა, და რაგულ-კანონი თუ ვიცნობთ, ესეც იმისი ნასწავლია.

8. ვერჯერობით არცვის არ უნახავს სამშობლოზედ ისეგვარად ვულაყრილი კაცი, უცხო მხარეში თავისი საგაზრდილოზედ ერთხელ მაინც არ ამოღდეს ფირი. სხვათა ქვეყანაში გადახვეწილთაგან, ვისაც საქმე მონივრდამნივც დამნი ვერ მოუყვანიდა ხელი არ ემართება, სუყველანი ერთხიად გაიხიან, სამშობლო ყოვლის უფროერ დიდი მადლიან. ის კი არა, რომელნიც ნარმატებულად და ფეხზედ ხელგამართლად დგანან, ისინიც ჩივიან, ფუფუნებას რა ხელსა ვერით, მთავარი რამ გვაკლიათ. უცხო ქვეყანა ვერ გვსამშობლობსო. შენი მინა-წყლის გარეთ ცხოვრება, სხვა არა იყოს რა, ცოტა მურაუცხმყოფელიც კია, და აკი ხშირად-ც ვხვებით იმის მონმენი, რომ მრაველთაგან, ვინაც სხვათა ქვეყანაში ცხოვრობს, რარიც გაითქვა მავანმა და მავანმა სახელი, რარიც გამდიდრდა და გააზარაპაზდა, ანდა რარიც დიდ პატივი და საყოველთაო აღიარება მოიხვეჭა თავისი უწყლარი ვეტაცობისა თუ დიდი განსწავლულობის გამო, მაგრამ ის მაინც სამშობლოსკენ ილტვის, იმის სული და გული სამშობლოშია, თითქმისად უცხო მხარეში ღირსეული შემწავნელი და დამფასებელი ვერ ეყოლოს. რაც მეტი სახელ-დღეობას აღწევს კაცი სხვა ქვეყანაში, მით უფროერ ძლიერად მიჩნევა სამშობლოს გულში ჩასახუტებლად.

9. სამშობლო საწუკვარი რამ არის ყმანივლიცათვის, მაგრამ ბერკაცი იზომი ძალეზე მიუხვეთ სამშობლოსკენ გული, რაზომაც ისინი ახალაზრდებზედ მეტად ბრძენკაცინ არიან. სუყოველი ზანწარავალი კაცი იქ ილტვის და იწი ცდილობს სიცოცხლის დასრულებას, სადაც არსებობს დანყი, რათა ნებმად ქვეული მშობლიურ მინას მიეზაროს და თავისი ადგილი მიიჩინოს მამა-პაპათა ძეგლთქმესალგამი.

10. კაცსა ოდენ მკვიდრ მსახლობელთა ეკლამობაც შეგიძლია განსვად, რა მოწინებოთაც ექვეყიან სამშობლოს ნამდვილი შვილი, ვინაც კი იქ დაბადებულა, ხოლო გამრიცხნი და გარმიანდელი, ანუ უცხოინ, ჩამოხეცნილი, როგორაც უკანონო-უხსნიერი თუ ნაბუშარ-ნაბიჭვარი, გულარბენად მიდი-მიდიან, როცა უნდათ, მაშინ აიყრებიან, სიტყვა „მამული“ ან სულ არ უნყიან, ანდა აქვდა არ ეცვირფასებათ, პასუხაც აკი მწყივ მზადა აქვთ, ჩვენს ნილ სარქოს მზის ქვეშე ყოველგან მოვიყოვეთი. ისინი კეთილდღეობას კუხის მიზარულებით ზოგანაც. ვისთვისაც მამული იგი დედაა, ძვირფასია ის მინა-წყალიც, სადაც ისინი მოხილან და დაგაპკაცებულან. მერე რა, თუ მინა-წყალი ისე არ არის ვრცელი, „ხირნატია და არ ეთქმის მოსალეიანი“ და თუკინდა საქებარი მიზეხი ამა მინა-წყლისა ძელი საპირველიც იყოს, ერთგული ძენი მაინც იპოვიან და სამშობლო ქვეყნის აზნაქებით არდა დამურებიან. ხოლო ყურში თუ ჩასწვდვამი სხვაგვარობა კვებნა, ჩვენი ველ-მინდვრებით ვაქალუნდენებულა და ხოდადულებივართ, მთა უზვად ტყიანი თუქალ, მარი ხეხილიანი, ისინი არც მამული დააყოფენენ თავიანთი სამშობლოს აზნაქვარს, ანუ საქებარ სიტყვასა, სულაც არად ჩაავდებენ ბედუართა მხარეს, კვალად „კარგ მოწყეთა აღმზრდელ“ ქვეყანას ეტყვიან ქება-დიდებასა.

11. სუყოველი კაცი სამშობლოს მივლტვის: თუნდაც ის კუნძულელი იყოს, და უკეთო უცხო მხარე მარადიულ ნეტარებასა პირივად, ის არც დაფიქრებდა, ხელსა პურას სხვაგან შეძლეულ ამ უკვდავებას, რადგანაც მშობლიურ მინაში დამარბავს აუჯობინებს. და შინ მიზრუნულს სამშობლოს კვაპილ უფრო ცვიხლზედ უფროერ ნათელი მოეყვენება.

12. ჩანს, მამული სუყოველი კაცისთვის ისერივად ძვირფასია, რომ კანონდებულობაგან უფიდე დანაშაულთათვის სასჯელის უმაღლეს საწყაულად ყოველგან მოკვეთა, თუმცამ განდევნა დაწესებულა. და არა მარტო სხულოდებელი, ამავე აზრისანი არიან მხედართაფროსნიც, ვისაც ლაშქრის გაგულუნება ევალებათ: ბრძოლის ველზე მწყობრი მდგომოთათვის ყოვლის მეტად გულის შემქმნელი ხომ მამულისთვის თავადდების მონივრება და ვინაც ამ მონივრება-სამახელს ყურთ შეატკობინებს, არცვინ არ ისურვებს უღირსებო კაცად გამორჩენას, რამეთუ სიტყვა „სამშობლო“ მხდალსაც აწაუტევა.

თარგმანი და შესავალი დაურთო  
შარან გომიზალიძე

**ზომი მინა რამ განმარტაა**  
„აიხრა მამულზედ უტყმისი“. „ოდიხი“ (9.34);  
„ — ხირნატია და არ ეთქმის მოსალეიანი“. „ოდიხი“ (4.605);  
— თუნდაც ის კუნძულელი იყოს... იგულისხმება ოდიხელი, კუნძულ ითავს მუხეა, ზანდ იყო გადებული, ძველ მსოფლიოში ქვეყანა ხომ დარჩენილი მოუვლელი.

ეკა ბუჯიაშვილი

## „ლეგიონარი რომის ქუჩაზე“

ამბობენ, რომ მას არასოდეს დაუწერია ანტისაბჭოთა ლექსები, მაგრამ ყველა მათგანი ანტიტირანულია. მისი გარდაცვალებით კი მსოფლიო პოეზიის გამორჩეული ეპოქა დასრულდა.

კიდევ იმას ამბობენ, რომ დასავლეთმა ის უპირველესად რუს პოეზიაზე (და ამერიკულ ლექსებზე) აღიარა, მისი „კანონიზება“ მოხდა არა ფიციურად, არამედ პოეტური ბიოგრაფიის გამო. და თუ საბჭოთა კავშირიდან გადასახლების პირველ წლებში (1972 წლის შემდეგ) რუს პოეტს მანაც სვდდა, თუ ანტისაბჭოთაობის არა, დისიდენტობის შლეიფი მაინც, ეს მან მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ გაანადგურა.

XX საუკუნის II ნახევრის რუსული და ამერიკული პოეტური რეალობა წარმოუდგენელია ოსისებრი ბრძოლის გარეშე, ვის პროფესიასა და შემოქმედებაზე დღესაც ბევრს საუბრობენ.

და აი, მისი ცხოვრებაც და პოეზიაც ქართული ლიტერატურული რეალობის ნაწილი გახდა შესანიშნავი მთარგმნელის, მისი ჯიწმინის წყალობით, ვინც ერთ კრეატიულ მოუყარა თავი ბრძოლის ლექსებს, ესეებსა თუ ინტერვიუებს და ერთ მთლიანობად წარმოვიდგინა იგი, თავისი ბედისწერი თავად და პოეტური ძიებებითაც. ნიგნის სახელწოდებად 1969 წლით დათარიღებული ლექსის სათაური — „შვენიერი ეპოქის დასასრული“ შეარჩია, ლექსისა, რომელსაც თავად პოეტი ნინასწარმეტყველურად მიიჩნევდა. ამ საინტერესო გამოცემის წარდგინებას ფუნდამენტური მწერლობის“ სალონმა უშასპინძლა. და ვიდრე მას თქვენც გაეცნობით, იმას მოგიხრობთ, თუ რას ამბობდნენ შეკრებლები ოსისებრი ბრძოლებზე, მის უწყველო ბედისწერასა და შემოქმედებაზე... და გამოცემაზე, რომელიც ამ ყველაფერს აერთიანებს.

— ეს არის ნიგნი, რომელიც მოიცავს თითქმის ყველაფერს ოსისებრი ბრძოლებზე და მკითხველს უშეშებს შიშვენიერად არა მხოლოდ ერთ პროფესიაზე, არამედ მიუღწევი მანიფესტით ლიტერატურულ ცხოვრებაზე რუსეთსა და დასავლეთში.

შესავალი, რომელიც ამ წიგნს უძღვის, ცალკე მონორეალობა, საინტერესოდ და ღრმად ცოდნით დაწერილი გია ჯოხაძის მიერ და ეს არ გვიკვირს, რადგან ვიცით მისი მრავალმხრივი ინტერესები. იგი იკვლევს შუა საუკუნეების ისტორიასაც, თანამედროვე პოეზიასაც და საკმაოდ წარმატებულად თარგმნის.

ოსისებრი ბრძოლა კი რამდენად განათლებული პროფესია იყო და ჰქონდა ძალიან ორიგინალური, ხშირ შემთხვევაში გა-

მომწვევი შეხედულებები. შესაძლოა შეგნებულადაც ახდენდა პროტორებს, რათა დღლილის შუაგულში ყოფილიყო. ეს ნიგნი სწორედ ამ დღლილის პროცესის ასახავს — იმ ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ფონზე, რომელიც თავად იყო მონაწილე ამ მოვლენებისა — და სრულდებოდა მათგან გამომდინარე ეპოქაზე. სწორედ იმ უშეშებელ საცენსურ პრობლემაში ბრძოლაში მოხატვნიან შექმნა საკუთარი სახე. აუცილებელი იყო ბრძოლა კი გვეყენოდა ქართულად, და თანაც ისე, როგორც წარმოვიდგინა გია ჯოხაძემ — ამ ნიგნს ხომ ესთეტიკური მნიშვნელობაც აქვს და საგანმანათლებლოც... ასეთი ყადის გამოცემები ბევრი არ არის ჩვენს სინამდვილეში, — ასე გახსნის საღამოს როსტომ ჩხეიძე, ნანა კუცია კი:

— გია ჯოხაძე თავისი ნიგნის გმირად ირჩევს გამორჩეულ პერსონას, რომლის პიროვნება აღემატება ეპოქას, უკეთ, კიდევ ერთხელ დადასტურა, რომ „საქმე დროში კი არა, თავად ჩვენიშია“. ვერც ერთი, თუნდა სუპერტოტალიტარული სახელმწიფოც კი, ადამიანის გადაგვარების უდაბნოელსი მეთოდებით მონადირე, ვერასოდეს შეეცდებოდა იმ საკრალურ ტერტორიას, იდუმალ ნიაღვს, ადამიანის სული რომ ჰქვია, თუ თავად ადამიანი არ მისცა დასტური დემონურ ძალას, — ასე დაიწვება ნიგნზე საუბრისას.

გია ჯოხაძე

საინტერესო მოხსენებით წარმოვიდგინეს დერტოსა ნიგნისა და აღნიშნავს, რომ „შვენიერი ეპოქის დასასრული“ ეკლექტიკა, სიღრმე, მრავალნაწიანოვნება ერთდროულად გზიბლავს, გაჯადოებს და კიდევ გორკუნავს, რადგან ყოველი ამბავი, ციტატის დონეზე კი, იმდენად მნიშვნელოვანია, შუუღლებული ხდება ნაშრომში ამოკრება.

მისი თქმით, „ამ ნიგნის ფანრეც კი ეკლექტიკურია — აქ ერთმანეთის გვერდით თანარსებობს პიორაფია, ესეც, ინტერეუ, ლექსი და უზრალად კი არ თანარსებობს, ქმნის უშეშეხიერებს მსახურულ ქსოვილის ნიგნისა... სწორედ ამიტომ გია ჯოხაძეს მხოლოდ მთარგმნელად როდი, ავტორად მოვიხსენიებთ ამ ნიგნისა.

პროზაულ პასაჟთა თარგმანების თუ თხზვისას პოეტად რჩება გია ჯოხაძე. ბიოგრაფიაც კი, რაც საკმაოდ მრავალნაწილია საკითხავია, ხშირად საოცარი განხორციელებით აღბეჭდავს და მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ ილექდება სახე ბრძოლისა.

ავტორი დეტალებით ქვსევს პოეტის ტრაგიკულ ბიოგრაფიას და იქსოვება ეპოქის მრუმე პანო, ეპოქისა, პროცესის რომ „შუქთახორრობისთვის“ ასამართლებს, სამშობლოდან წასვლის აიძულებს.

გია ჯოხაძე კი იფარგლება საბჭოეთის მრუმე პანორამით, ასევე ქვსევს კულტურული მსოფლიოს მსახურულ ქსოვილს, სახეთა და სახელთა კორიანტელში ისე მოქდვის მკითხველს, როგორც ალბათ ვერგელიუსი — დანტეს, ჯოჯოხეთისა და განსამწმენდელის მოსახილველად.





იგი არა მხოლოდ თავად ეზიარა უცხო სამყაროს მშვენიერებას, მისმა ბრწყინვალე თარგმანებმა ამ მშვენიერების აღქმაში ქართველი მკითხველებს კი შეიზარადა.

ეს მხოლოდ ამონარიდებია ნანა კუცის რეცეპტი და საინტერესო მოხსენებიდან, რომლის დასასრულს იგი მეტაფორას დაეყრდნობა და აღნიშნავს, რომ რეცეპტის წერისას ისეთსავე მსგავსებებში აღმოჩნდა, ტარებდა ასმათს თვალ-მარჯალიტით სასუქ თასი რომ მიართვა, დაბრუნდებოდა და მაღლივმა ქალმა კი „ერთი აილო ბეჭედი“...

თვითონ ქალბატონმა ნანამ ერთ ასეთ „ბეჭედს“ ბროდსკის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსის გია ვოხაძისეული თარგმანი იპოვა და შეკრებილებს წაუკითხა დიდებული წიგნის ქაზნიკად.

\*\*\*

ოისივე ბროდსკით 19 წლის წინათ დაინტერესდა.

ივდა 1991 წელი. „ლიტერატურაშია გახტაჟა“ დაბეჭდა „საერთაშორისო ფენ-ის“ რუსული ცენტრის მიმართვა ვენის კონგრესისადმი. რუსი თანამოკალმენი ქართველი კოლეგების განკერძონებას შუამდგომლობდნენ. კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლუციას მოჰყვა ოისივე ბროდსკის წერილი, რომელშიც იგი თავს მოიხსენიებდა „ქართული კულტურისგან ბევრი რამით დავაღებულ ადამიანად“ და უპირობოდ უჭერდა მხარს უმცირესობაში მყოფ მწერლებს.

— საზოგადოების ცხოვრებაში კულტურის მასწავლებლის როლის ასრულებს, მასწავლებელი კი ყოველთვის უმცირესობაშია, — ამ ფრაზას, ოისივე ბროდსკის გახმაურებული წერილიდან, შეკრებაზე გია მურდულია გაიხსენებს და აღნიშნავს:

„შე მინც ვფიქრობ, რომ ბროდსკი არის კერძო ადამიანის ძალიან მაღალი გამოვლინება. თვითორვე ამბობს, თუკი ხელუფლებიდან რამეს ვსწავლობთ, ეს არის ადამიანური არსებობის განკერძობულობა. ის ლაპარაკობს თავისი სახელით, ინდივიდის სახელით, უმცირესობის სახელით... ბროდსკი უმცირესობის კულტურის განსახიერება (რომელზე, სამწუხაროდ და საწყალოდ ჩვენდა, ვერასოდეს ვგახდებთ უმრავლესობის კულტურას). ის ცხოვრობდა და ქმნიდა თავისუფალი ადამიანის სახელით, ამიტომ არის პოეზია პოლიტიკის აღმერთებელი. პოლიტიკა ვერასოდეს აჯობებს პოეზიას, რადგან არ შეუძლია სრულქმნილი იყოს.“

ბროდსკის ის სისტემასთან დაპირისპირებით დანსყო, ის დისინტეგრირებით ვახდა ცნობილი, ასე ნაივად დასავლეთში, მაგრამ მან მოახერხა ამ ყველაფერზე ახალღებულები. ის ძალიან მაღალი რანგის პოეტია, რაც ყოველგვარ დისინტეგრირებასა და პოლიტიკაზე ზემოთ ფასს.“

...და მართლაც, ბროდსკიმ შეძლო ყოფითი რეალობიდან ანაწორიყო და აფერწილიყო ნობელის პრემიამდე, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის თვალშეუდგამ სივრცეებამდე... აკი თვითონაც ამბობს: „ლექსის მთხველი ერთი სიტყვით, ერთი რითიით იქ მოხედდრის ახერხებს, სადაც სხვა არაფერ ყოფილა.“

ეს ბროდსკის განზომილება იყო. ბროდსკის დრო.

ბროდსკის ეპოქა...

— ვასულ საუკუნეში საქართველოში არსებობდა საკულტო სახელები რუსი პოეტებისა, პირადადაც კეცენო-

ბოლით მათ — ახმადულლინას, ვეტუშენკოს, ცვეტაევის, ვოხნესენკის... მაგრამ ბროდსკის ეპოქა საქართველოში არ ყოფილა. ამიტომაც დაინტერესო კვლევა, — აღნიშნავს შეხვედრაზე გია ვოხაძე.

— აქამდე არ ყოფილა, მაგრამ ახლა ნამდვილად არის, რადგან დღეს საქართველოში ჩემი ცოლათი ახალგაზრდა თაობაშიც კი არსებობს ბროდსკის კულტი, — ასე შეხვნიანება ბატონ გიას ლია სტურუა და მისთვის ჩვეული საინტერესო შეფასებით რომ მიმოიხილავს ამ პოეტის შემოქმედებას, გაიხსენებს ვეტუშენკოს სიტყვებსაც: „ბროდსკი ისე არ წერს, როგორც რუსი პოეტები“.

— ეს მართალია, — აღნიშნავს ქალბატონი ლია, — მას ჰქონდა ცვეტაევის, ახმადულლინას... ყველა დიდი პოეტის გაყვლა (მგონი მანდელშტაინს გარდა), მაგრამ მიზეზი, რომ ის ვერცხვის საუკუნე დამთავრდა, დამთავრდა ვეტუშენკოს, ვოხნესენკის და სხვათა საუკუნეც... და აღმოაჩინა, რომ იდენი უყვარს. მიუხედავად გლობალიზაციის მტკიცებისა, რომ ყველაფერი, და მათ შორის ენაც, კვდება, ბროდსკის, ამერკაში მცხოვრებ ბროდსკის, სჯერა, რომ ძნელზე უფრო ხანდაზმულია და ყველაზე მნიშვნელოვანია პოეტისათვის.

ჩემთვის ოდესღაც ბროდსკი იყო დიდი და შესანიშნავი, მაგრამ შემადრწუნებელი — მაგალითი, ცვეტაევასკით — არ ყოფილა. უკვე შემდეგ ლექსებში — აი, როგორცაა „Памятник“, ჩნდება ნამდვილი ბროდსკი და ისევე ბროდსკის ბროდსკობა. ის მიხვდა, რომ ისე წერა, როგორც მასმდე წერდნენ, აღარ შეიძლება. აკი ამბობს კიდევ: „Я заряжен нормальным классицизмом, я трезвый классицист“. შესაძლია ბროდსკის ნობელს ცოლათი პოლიტიკური ელფერი აქვს, მაგრამ მაინც... მან ეს ჯილდო იმით მოიპოვა, რომ არავის ჰგავს. თუ პოეტი ხარ, უნდა ეცადო შექმნა პენი გამორჩეული სახე. ეს არის ყველაზე დიდი ღირსება პოეტისა და ბროდსკიმ ეს მოახერხა...“

\*\*\*

აი, გია ვოხაძის შესახებ კი ამბობენ, რომ ის არ მიეუთვნება იმ ადამიანებს, ყოველდღე მეჯთიად რომ შრომობენ და ფურცლებს ფურცლებს უმატებენ. იგი უფრო განწყობილების ადამიანია და ხშირად სჭირდება შექმნება, ზოგჯერ, საბაბი მუშაობის დაწყებისათვის... და შემდეგ რა დროს თარგმანებს, ნაშრომებსა თუ სტატიებს აქვეყნებს, კარგად უწყის მკითხველსა. ასეთი შევასბილით შექმნა ავსტრიული ღირსების თარგმანებით და ზოგჯერ მიმცემი თავადაც შესანიშნავი პოეტი დათო ბარბაქაძე აღმოჩნდა. თვითონ ბატონი დათო მიჩნევს, რომ საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს თავისი შემოქმედებითი რტში. გია ვოხაძის შემოქმედებაში კი ახლა უცნაური პრობლემა — ეს თითქოს დუღილის პროცესია — რასაც იგი ამ ეტაპზე უწის, სულ სხვა ფუნოქენია თარგმანში და ათი-ოცი წლის შემდეგ უნიაკვლარე რამ იქნება.

— ეს არის იმ ტიპის თარგმანები, რომელსაც შექმეული ვართ. მუსიკალურობის მიღმა აქ ძალიან ღრმა ფენებია, რომლებიც დღესდღეობით არ გამოიკვეთება, რადგან თვითონ ის კულტურული არაალია სხვა, საიდანაც ეს თარგმანები ამოდის.

რაც შეეხება ავსტრიული ლირიკას, როცა ამ პოეტებს ბოლოში გაიყვანათ, ჩაფიქრებელი მაქვს ცალკე გამოცეც



გიას თარგმანები, რადგან, ჩემი აზრით, ასეთი მწვერულები უნდა არსებობდეს, ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურული ცხოვრებისთვის.

ბროდსკის შემოქმედების თარგმნა კი მნიშვნელოვანი ლექსიკური თუ სინტაქსური თავისებურებათა გამოც.

„მისი ლექსების გაცნობისას გეუფლება განცდა, რომ ტყუილად მოინახულე კლასიკური რუსული პოეზია... აქ ეწერ იხილდე მის გავრცელებულ... პირიქით, შესაძლოა იფიქრო, რომ ბროდსკი საერთოდაც არ არის რუსი პოეტი. მისი პოეტური სინტაქსი ენიანააღმდეგება ყველანაირ კანონსა და ტრადიციას... მის ლექსებში კავშირი, ნაწილაკი, შორისდებულობა... რომლებითაც უნაკარი მთავრდება და ხშირად რითმადაც გამოიყენება, იქცევა უნიად, მთელად, განცდის მწვერვალად...“ — წერს გია ჯოხაძე წიგნის წინასიტყვაობაში.

ამიტომაც ამ რთული და რაფინირებული პოეზიის თარგმნის სირთულეზე გაამახვილებს ყურადღებას იკაქადაგიძე:

— საერთოდ, რაც უფრო რთულია სათარგმნი მასალა, მით უფრო სანტიტრესოა მთარგმნელის მცდელობა ამ ყველაფერს მოხელთებისა. ბროდსკი გარკვეულწილად კულტურული პოეტია, რადგან მისი გათავისება და შექცევა ყველას არ ძალუძს. მისი თარგმნაც საკმაოდ რთულია. არსებობს ცალკეული თარგმანები — ვახუშტი კოტეტიძის, დათო აკრინის, ბათუ დანელიასა... მაგრამ ასე ერთად თავმოყრილი, ერთ წიგნად შეჯამებული არ გვევლინება. — იტყვის და ერთდვარ პოეტურ შეჯამებში გამოიწვევს გია ჯოხაძეს, ერთ-ერთი უსაყვარლესი ლექსის — „ტრეპიანის ბიულენს“ ნაკითხვას რომ სთხოვს მას და მერე თარგმნის თავისივე ვერსიისაც გააცნობს შეკრებილ საზოგადოებას.

\*\*\*

— ბატონო გია, იქნებ გვიამბოთ, როგორ და რა პირობებში ითარგმნებოდა ბროდსკი?

— პოეზია ერთი ამოსუნთქვით რომ არ ითარგმნება, ეს თქვენც მოგვხსენებთ. ვმუშაობდი უმეტესად ზაფხულში და მინდოდა იმ პერიოდისთვის დაემურქმია ზამთრის დემურქმია. მეუღლე მსაკეფდრობდა: შემწიერ ბროდსკისო. მაგრამ როცა ამ პოეტს შეეცხედა, ვიცოდა, რომ ეს ჩემი ოჯახისთვის მოუღებელი ყურადღების ხარჯზე თუ მოხერხდება. კითხვისას მქონდა განცდა, რომ ასეთი სინტაქსი არასოდეს მინახავს, რომ მან გაიხედა პუშკინის მიღმა და სადღაც, შორს ნავიდა... რომ ასე არავინ ტყუილად ლექსს, რომ სწორედ ასე უნდა წერო ქვეყანაში (საბჭოეთის ვგლუხისხში), სადაც არ შეიძლება პარამონოულად წერდედიხ, ასეთი დატყუილი უნდა ყოფილიყო ლექსი, რომ ბოლოს აბსურდამდე მისულიყო.

როცა ბროდსკის გადაასახლების წლების შემდეგ პკითხს, მან უპასუხა, რომ ძნელი იყო, ძალიან ძნელი, მაგრამ ასეთი ბედნიერი დრო მის ცხოვრებაში აღარასოდეს დამდგარა, რადგან მთლიანად პოეზიას ეკუთვნოდა. მაშინ აღმოაჩინა ოდენიც და მაშინ დასაქვენა ისიც, რომ უნახვითაყვენა დრო. თუკი დრო ეთაყვენება ენას, მამასადახამ ენა უფრო ხშირია“.

მერე ეს აქსიომად დამკვიდრდა მის შემოქმედებაში... და ასე „თავმჯობლად“ ამბობდა ხოლმე:

— ენა ირჩევს თავის მსახურებს... აი, მაგალითად, მეო.

\*\*\*

ბელა ახმადუღინასთვის რეკლამას რომ უკითხავს:

— ეინ მიგანჩითა რუსეთში ყველაზე კარგ პოეტად ცოცხალთა შორის, მას უპასუხია:

— ასეთი კარგი პოეტი ჩვენიან კი არა, თქვენთან, ამერიკაში ცხოვრობს, ეს ოსიუ ბროდსკია.

— კი მაგრამ, არ გვიმინათ ასე რომ ამბობთ? ამას ხომ ნაკითხავენ სსრკ-ში?

— მიმინია... როგორ არ მეშინიო, — თუქვამს ახმადუღინას.

ამ ეპიზოდს შეკრებაზე რუსულად ნიშნინიძე ვაიხსენებს და აღნიშნავს:

„... პოეზია საზღვრების ხელოვნებაა“, — ამბობდა ბროდსკი. მეტაფორული ნათქვამია, მაგრამ სწორედ ასეა — იმ შენი საზღვრებიდან შეიძლება ძალიან დიდი ქვეყანა დაანახო საზოგადოებას და შენს საზღვრებში მოაქციო.

ამის დასტურია ზა წიგნიც. მართალია, აქ თარგმანზე გეაკეთდა აქცენტი, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, დახვეწილი წინასიტყვაობიდან... თუმცა ამ წიგნის ყველაზე დიდი ღირსება, ჩემი აზრით, ის არის, რომ მომკლაქეობიერ თემებზე წერს თუ საერთოდ, ბროდსკიზე გია ჯოხაძე ბუნდის ხიდზე გადის. არადა, ცდუნება ძალიან დიდია — ბროდსკის ბიოგრაფია, საბჭოური სივრცე, ამერიკული საწყარო... ეს ყველაფერი აღბათ ბადებს სურვილს ბეერი სენტმენტალური სიტყვა ჩაყარო, მკითხველსაც გული უშუყო, რაც, შესაძლოა, მომგებნიც იყოს ავტორისათვის, მაგრამ გია ჯოხაძემ იცის, რომ ეს ბროდსკის არ მოუნებოდა. მისი მთარგმნელობითი ხელოვნებთან, ინტელექტუალური თვალსაზრისადან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ის უსუსტად ახერხებს ყველაფერს გადმოტანას, მაგრამ ძალიან კარგია, როცა ბიოგრაფიასაც, ლექსებსაც, ესტუმრება, ინტერვიუებსაც ასე დაანახო და ერთ მთლიანობაში გააცნობ მკითხველს. წიგნი კარგად არის მოფიქრებული და აწყობილი. სანტიტრესოა ისიც, რომ ბროდსკის არაერთ კოლეგას ახსენებს და თარგმანის თავისებურებებზე, ფორმასა და ესთეტიკაზე საუბრობს, იგი ამბობს: მე ბროდსკის ლექსი ქართულ ვერსიაში გამოეხევიერ, როგორც მთარგმნელმა ეს გზა ავირჩიე და ვფიქრობ, ამით მისი პოეზიას უფრო ვარგე — დავეწერ ქართული ლექსებიო.

ამ თარგმანშიც არის ძალიან ქართული ეპიზოდები... მაგრამ, მოუხედავად ამისა, ეს არ არის ქართული ლექსები. ეს ბროდსკია...

ეს ის მდგომარეობაა, როცა ნამდვილად იცი, გრძობო, ხედავ, რომ პოეზია მართლაც საზღვრების ხელოვნებაა.

— შე კი მაინც მგონია, რომ გია ჯოხაძე ქართული ქარგით მოუღდა ამ ყველაფერს, — რუსულად ნიშნინიძის შეკითხვითაა პაატა კოლაშვილი, — ჩემთვის, ჩვეულებრივი მკითხველისათვის, რომლებსაც პროფესიული თვალსაზრისით არაფერი აკავშირებს მწერლობასთან, ყველაზე მთავარი ის არის, რომ მთარგმნელი დიდ სიღრმეებს ჩანხედავ. ამ წიგნით კიდევ უფლებად ვაფრთხილდები, რომ ბროდსკი დიდი პოეტია. ჩანს, დახურული სივრციდან გაღწევამ ბროდსკის ინდივიდუალიზმი წარმოაჩინა. გია ჯოხაძემ კი ეს ყველაფერი ძალიან უსუსტად მოიტანა ჩვენთან.

რენე კალანდია კი რუს პოეტებთან მეგობრობის ეპიზოდებს ვაიხსენებს და პარალელს გაავლებს ბროდსკის შემოქმედებასთან:



— ის უფრო რადიკალისტი, კლასიციისტი. ბროდსკის პოეზია ჩემში ასეთ ხილვას იწვევს: თითქოს რომის ქვაფენილებზე ლეგიონერი მიდის ნაქცი საძვლებით.

სხვათა შორის, მას მწარე იუმორი ჰქონდა და ეს სტრიქონებშიც იგრძნობა. ის სიტყვის დიდოსტატი. მისი ლექსიკა სულ სხვაა. დიდ ლექსს, რომელსაც ის წერს, ღრმა სუნთქვა სჭარბება, მკვინთივან გაძალება უნდა გქონდეს, იმ სიღრმეებში რომ ჩახვიდე (აი, მაგალითად, ის ბრწყინვალე ლექსი გაისუნთ, ჯონ დონზე რომ აქვს).

ბროდსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დეტალებს. დოსტოევსკიც ამბობდა: დეტალი მთავარი. პასტერნაკზე კი უთქვამთ: „Он был детализм“. და მართლაც, თუ ლმერთი არ ხარ, დეტალი ყველაფერი, დეტალთან ჭიდილმა შეიძლება კისრიც მოგტეხოს. ამასთანვე ბროდსკი ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ. მას, როგორც ესეისტს, ზოგჯერ ვამჯობინებ კიდევ პოეტს. იმოდენა განათლება აქვს, რომ ზუსტად საზღვრამდე მიიღოს, იმ საზღვრამდე, რომლის მიღმაც გენიალობა შესაძლოა სისულელედ იქცეს. თავისი მნიშვნელობა აქვს იმ კლასიკურ ნაწარმს, რომელიც მან გაიარა. თანაც მანდელშტამის, ახმატოვის, ცვეტაევის... სხვა დიდი პოეტების შემოქმედებაზე აღმოცენებულ პოეტს ჰქონდა შესაძლებლობა ნობელამდე აფერხილიყო.

ვისაც ერთხელ მაინც გავითარგმნია რამე, ვხედავთ, რამოდენა შრომა დევს ამ წიგნში. ვიყურებ, ამ კრებულში გაამ იდეალური ვარიატი შემოგვთავაზა. მან ძველი დაუდგა ბროდსკის. ასე სოლიდურად პოეტს კარგა ხანია ამ გამოცემულაში. სადაღმის დასასრულს, ტრადიციისამებრ, **თეატრ ნადრეგიშვილი** რომ შეაჯიხებს შეხვედრას კოლორიტული გამოსვლით, — ფიზიკის ფორმულებს მიღმა დაევაზანებეს ბროდსკის პოეზიას და ღამის ფორმულებივით გაარკვევს მის სტრიქონებს — იეჟებს, რომ შესაძლოა ბროდსკის გარკვეული ცოდნა ჰქონოდა ფიზიკისა და აუდიტორიას ასეთ მავალითესაც მოუყვანს პოეტის სტრიქონებიდან.

— სხვათა შორის, ასევე ნობელანტი მწერალი სოლჟენიცინი ბროდსკიზე წერისას, როგორც პროფესიონალი მათმატიკოსი, რაღაც მათემატიკურ დარღვევებს აღმოაჩენს მის ლექსებში და ამას ასე ახსნის: ეს ყველაფერი ბროდსკის იმიტომ შემოაქვს, რომ განსხვავებული იყოს და ასეთი რამ პირველმა გააკეთოს... — რეალური უპასუხებს ბატონ თემურს **გია გობობიძე**.

აბა, დღეს უსუსტად ვიცი ივის, ფიქრობდა თუ არა მაშინ ამაზე ბროდსკი. ერთი რამ ცხადია: მან დაამკვიდრა თავისი დროის ამერიკაში (ელიოტისა და სხვა რამდენიმე ინტელექტუალის შემდეგ) (აღწინისა და განახლების პრიმატი, რომლის გარშემცხ თანამედროვე პოეზიას აპოკალიფს უწინასაღამრეტყველა“, და უსაზღვრო ტალანტისა და კოლოსალური ენერჯის წყალობით, სიტყვათმადობის უჩვეულო შესაძლებლობებით თავისი შემოქმედება ძალიან მაღალ სივრცეებამდე აზიდა.

ამბობენ, ეს ის სივრცეებია, ღმერთთან გაპაექრების მარცხეული, მაგრამ ტყბულ განცდას რომ უჩენდა პოეტსო. თეძიც...

მსოფლიო პოეზიას მისი ასეთი სტრიქონებიც დარჩა:

**იქ ვერასოდეს ვერ მოხვდები, სადაც ღმერთია, და ამ თავისთვის ახლა უკვე მიღად სულ ერთია, დაფინს გვირგვინი მუღის თუ ჯალაღის ცული.**

მანანა ტურიაშვილი

სულთა ჰეხანი

რუსთაველის თეატრში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „მითრიდატე, პონტოს მეფე“ წარმოადგინა. სტანისლავსკი ამბობდა, თეატრი საქმით იწყებაო... რასაკვირველია, ამ თითქოსდა ბანილურ სიტყვებში უფრო ღრმა აზრია ჩადებული. რუსთაველის თეატრში ეს „საკილი“ ამჯერად სექტაკლის პროგრამა იყო, რომელიც მხატვრული გაფორმების უზადო გამოცეხებით, სიტყვის სისადგიულო და ამომწურავი ინფორმაციით გზიხობდათ.

ისტორიულად მითრიდატე VI-ს სახელი დაკავშირებულია საქართველოსთან.

დავით საყვარელიძე წერს: „სწორედ ამ ოპერის სათაური აკავშირებს დიდ ავსტრიელ კომპოზიტორს ჩემს სამშობლოსთან — საქართველოსთან. უამრავ არქეოლოგიურ მონაპოვარსა შორის, რომლებითაც ძალიან მდიდარია საქართველო, მითრიდატეს ეპოქის ძეგლებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია“. დღესაც ნახავთ „პომპეუსის ხიდს“, რომლითაც რომაელები მითრიდატეს დასალაქრავდა მიგმარებოდნენ. მითრიდატეს სახელი ევროპისა და აზიის ისტორიის ნაწილია. განთქმულ მთავარსარდალს რომთან სამი ომი ჰქონდა. მესამე ომის შედეგად, საბოლოოდ დამარცხებულმა, შვილთან შინაბა თავშესაფარი. ფარნაქეს მამის წინააღმდეგ აჯანყება მოახ. მითრიდატემ მონის ხელით თავი მოკლა“.

1673 წელს ფრანგი დრამატურგი ჟან რასინი, უკვე მითიური პერსონაჟის, მითრიდატეს ისტორიული ქრონიკის თავისებურ ვერსიას ქმნის. ერთი საუკუნის შემდეგ, რასინის პიესის საფუძველზე, იტალიურ ენაზე თოთხმეტი წლის მოცარტი წერს ოპერას „მითრიდატე, პონტოს მეფე“, რომლის პრემიერაც 1770 წელს მილანში შედგა.

რეჟისორი დავით საყვარელიძე სექტაკლის პროგრამაში წერს: „...ბეირუთის საერთაშორისო ფესტივალის წლებიანდელი თემაა — „დუნაის გავითი შავ ზღაში“, რაც დუნაის ქვეყნების კომპოზიტორთა შექმნილ მუსიკასა და აგრეთვე შავი ზღვის ქვეყნების მუსიკალურ მითორებს ეხება — მაშინვე ნამოვიხსენებ: მოცარტი!!! მითრიდატე, პონტოს მეფე“. სექტაკლს დიორიგობდა ჯანლუკა მარჩაინო, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის და ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი“.

ტრაგიკულია და ენებით აღსავსე მოცარტის ოპერის გმირთა ამბავი, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა პონტოს მეფე — მითრიდატე. გონივით და ემოციური სანწყისების ჭიდილში იკვეთება სამშობლოს ერთგულების თემა, რაც გმირის ბედისწერა და პიროვნებისგან დიდ სიმტკიცეს მოითხოვს. ასე ზუსტია და ნათელი სექტაკლის სათქმელი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე ძველი არქაული ნანგრევებიდან პრეტერსტიანული რიტუალით პონტოს მე-





ღის მითრიდატე VI-ს სამყარომ და გარემოცვამ გაიღვიძა. წარსულის ბრდილითა სულეტი სცენაზე არიან... შუქ-წარდილები, ბინდ-ბუნდი, ხელთა კოსტიუმების მქრალნი ფერთა გამა და... სცენაზე ილუზორი ტემოსფერო იქმნება. სწორედ ამ ტემოსფეროს ფონზე მიმდინარეობს ოპერის მუსიკალური დასანების. მათი მოთრება ინტერსულია, ესენი მომღერლები არიან, რომლებმაც ადამიანური ვნებები უნდა გაითამაშონ... ბრძოლა, შუღლი, სიყვარული, ღალატი, ერთგულება, ღირსება... მუსიკა სულის ამოძახილია, რომელიც მისტიკური ზეგავლენით მოქმედებს მაყურებელზე. ყმანელი მოცარტის პარტიტურა მრავალნაირი შესრულებით შეიძლება აამტყვევლო, მაგრამ მთავარია „როგორ“? როგორ გააცოცხლო ნოტები ისე, რომ მაყურებელმა, მსმენელმა იგრძნოს შემსრულებლის სათქმელი, მიუხედავად მსახიობის, რომელიც მოცარტის პრიზმის გავლით მოქმედებს. 19 თებერვალს რეისორმა და ვით საყვარელიმე სინთეზური თეატრის ნიშმი წარმოადგინა. მუსიკა, მოძრაობა, ზგერა, ოპერის მომღერალთა და დრამატული თეატრის მსახიობთა თამაში ერთ მილიონობად იყო შეკრული.

მოცარტის ოპერა კასტრატო მომღერლებისთვისაა შექმნილი, რომელიც ქალის პარტიის შესრულებაც თავისუფლად შეეძლო.

საექტაკლში სიუჟეტს ავითარებს შვიდი მოქმედი გმირი, რომელთაგანაც ორი ქალია (სოპრანო) და ზუთი მამაკაცი. ამ ზუთი მამაკაციდან მხოლოდ ორია ტენორის პარტიკა. კასტრატო მომღერლებისთვისაა განკუთვნილი მითრიდატეს ვაჟების (სოპრანო, კონტრალტო) და ნიშფას მმართველის (სოპრანო) პარტიები. ასეა დაწერილი მოცარტის ოპერა.

დირიჟორი და რეჟისორი რთული ამოცანის წინაშე იდგნენ. მომღერალთა ხმები ოპერის სიუჟეტურ განვითარებასთან წინააღმდეგობობა. სოპრანოებისა და კონტრალტოს პარტიები ქალებს უნდა შეესრულებინათ, არადა როლი მამაკაცისაა. გამოსავალი მოიძებნა — რეჟისორის თქმით, მითრიდატეს მეფობის დროს ხალხი მიიწნედა, რომ სული ადამიანის სხეულის გარეთ არსებობდა. იგი უნილავი ძაფებით უკავშირდებოდა სხეულს. სხეულისა და სულის ურთიერთობის ეს ფორმა საექტაკლის ვასალები გახდა. ტენორებისთვის განკუთვნილი პარტიებს (მითრიდატე და მარციუსი) მამაკაცები ასრულებდნენ და ისინი მილიან პერსონაჟებად გვევლინებოდნენ. დანარჩენი ხუთი როლი (სოპრანოები და კონტრალტო) გაორებული იყო. სულს ასრულებდა მომღერალი, ხოლო პერსონაჟს დრამატული მსახიობი. დრამატულ მსახიობებს (ქალებსა და მამაკაცებს) მთავრად სიუჟეტი, ხოლო ქალის ხმა გამოხატავდა პერსონაჟის ხმას. აქედან ჩამოყალიბდა ოპერისა და დრამის მსახიობთა თამაშის ხერხი: ვნებებით შეპყრობილი გმირები მტერის საშუალებით, სულის მცირე ნიუანსსაც გამოხატავდნენ. დრამის მსახიობები კი მათ ეთმობებენ უნებოდ თამაშობდნენ. მომღერლების პარტიები საკონტრატო ნიშნებად არ აღემატა. არც დრამის მსახიობები იყვნენ მათი მექანიკური ილუსტრაციები. მომღერლები და მსახიობები ერთ მილიანობაში აღიქმებოდნენ, რაც სცენაზე საინტერესო სანახაობას ქმნიდა. მაყურებელი უსმენდა დირიჟორის მიერ აწყობილი ორ-

კესტრის პარმონიულობას, რომელიც მსახიობთა მოძრაობებითა იანხედდებოდა იყო.

მითრიდატე და მარციუსი მიზანმიმართული პერსონაჟები არიან. მათ ზუსტად იცინა, რა უნდათ. ამ პერსონაჟთა პოლიტიკური სულები ხელისუფლების შენარჩუნებისთვისაა მონოდედული. ტრიონუსი მარციუსის (ტენორი ირაკლი მურჯიკენელი) კარგად იყენებს მითრიდატეს შვილების სატრფილი ამბებს და ინტრიგების ქულის აბაზს. მითრიდატე (ალბარებული ჩინელი ტენორი იანგ იანგი) ტრაგიკული პიროვნებაა და ეს ტრაგეზიმი გმირისა და მის გარემოცვასთან კონფლიქტში მდგომარეობს. მითრიდატესთვის სიმტკიცე, საკუთარ ვნებებზე გამარჯვება და სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმმართველია. შუბოვარია მითრიდატე... მისი გარემოცვა, უახლოესი ადამიანები — შვილები და ორი მიჯნური ქალი საკუთარ ვნებებში გავყვნილი, ვერ ახერხებენ „გმირის“ ტიპის როლის ზიადებს. თუცე ფინალში მითრიდატე მათ გმირის მსახიობის აძლევს.

რეჟისორი დრამის მსახიობებს ხაზგასმით ძუნწ მოძრაობებს კარნახობს. მათი პოზები აღმოსავლური ფრესკად გადასულ ცოცხალ სურათებს მოგვაგონებს. ქალ-გმირთა, ასახაზისა და ისმენებს (წინა კასრატე და წინა თარხან-მოურავი) კოსტიუმების ექსტრაფუნდებაც შეკვეთილია, საწინაო, გამომხდელი, რაც მამაკაცთა (მხატვარი ნინო კობიაშვილი) მკაცრ სამხედრო საპროსის ნატიფ მონახაზს ქმნის. საექტაკლში მოქმედ გმირებს სხვადასხვა ეპოქის კოსტიუმები აცვიათ, რაც მივიანობებს, რომ მითრიდატეს ამიჯები შეცდმოა ყველა დროში გაითამაშეს.

უჩვეულოდ სანტრესსაო თხი მომღერალი ქალის შესრულება-თამაში. თონა დვალი (ასახაზი) და სოფიო გორდელაძე (ისმენე) ქალის პარტიებს მღერაინ. უფრო რთული პერსონაჟა აქვთ ორივე თაბორატესა და სოფიო ვანელიძეს, რომლებიც მითრიდატეს ვაჟების — ქსიფარესა და ფარნაქეს — პარტიებს ასრულებენ. ქალები მღერაინ მამაკაცთა ვნებებს, დრამის მსახიობები — დვით დვარია და თემიკო ჭიჭინაძე — მათ განასახიერებენ. მთლიანობაში კი სცენაზე მიმდინარეობდა ორ-ორი მსახიობის ერთდროული თამაში.

რეჟისორის ამოცანა იყო მაყურებელს მოესმინა ოპერა... ეს გეზორციელი და მსახიობთა სადა, ზომიერი გამომხატველი საშუალებები. მან აირჩია უფრო რთული სვლა: თვალმოსაცემი ვაჟმამაზური ხერხების, ტექნიკური გადაფარვის, მანალური მიზანსცენების გამოყენების გარეშე, დეკორაციის ძუნწ ფონზე „გაემიშობლებინა“ მსახიობები, მიღწია ნამდვილ გრძობასა დაბადებისა და ცენტრზე პერსონაჟთა ახალი სიცოცხლის გარეგნისათვის.

ჩვენ საბოლოო წარმოდგენის ამ ვერსიას უწოდებდით წარმატებულ ექსპერიმენტს, რომელიც გამოირჩევა სიმსუბუქით, სისადვილი და სიუჟეტი, რაც ერთად შეეყვრება ყმანელი მოცარტის გატაცებას მითრიდატეს ისტორიით. ყველა გენიოსი სიცოცხლის ბოლომდე ჰავემდარება, ბავშვის ბუნების არსი კი მიშეგლი ინტუიცი და გულწრფელობაა. ბავშვებით გულწრფელია თილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საექტაკლო — ყმანელი მოცარტის „მითრიდატე, პოტის მეფე“.



ვახტანგ ჯავახაძე

# ციკლიდან — „ისევ გალაკტიონი“

თენგიზ აბულაძის „უცნობი“

1991 წლის 8 თებერვლის გაზეთ „თბილისი“ შემთხვევით ნაეჭობებზე თენგიზ აბულაძის განზრახვა: „დიდი სურვილი მაქვს გადავიღო ფილმი გალაკტიონზე ვახტანგ ჯავახაძის ძალზე საინტერესო ნივთს — „უცნობის“ — მიხედვით“.

19 აპრილს ნივთის სასახლეში მესტუმრა. გაცეცანილი ერთმანეთს და პირდაპირ მომხალა:

— თქვენ თვითონ თუ იცით, როგორი გენიალური ნიგანი დანერგეთ?

— ეს ნიგნი გალაკტიონის დანერგილი უფროა-მეთქი, — გაულწრფელი მოკრძალებით დაიგრესხვინე.

— არაა ან ნივთს თქვენს მებტი ვერაფერ დანერდაო. — არ დამთბინებია ჩემი სტუმარი.

ვაძრეუე ნიგნი და ვაცნობე: ზოგორ შევსებული გამოცემა — ორჯერ უფრო დიდი მოცულობისა — აწყობილია და მალე დაიბეჭდება-მეთქი. ნივთს დაბეჭდვის ვერ დაველოდებით და დედანი მითხოვა. პარასკევი დღე იყო: ორშაბათის სახელდანი მოვიტანი დედანი, მობრძანებით და მოგართმევე-მეთქი. ორშაბათისავე ვერ დაველოდებით, ზეღა სახლში მოვატოვებო. მართლაც 20 აპრილს სახლში მომაკითხა და ნაიღო.

ისე, ნინასწარ რომ მცოდნოდა, ასე მოეწონებოდა, ორი ნელინადი რომ სახლში მქოლო აკრძალული „უცნობი“, მაშინ ნაეკითხებდი და იქნეს ეკრანზე გაგვეპარებინა: იგი ხომ ტაბუდადებული თემატიკის დიდოსტატია!

1992 წლის 30 მაისს ისევე შენივა გამოცემლობაში. ვისაუბრეთ. ძალიან მოსწონდა სათაური. ფილმსაც „უცნობი“ დავარტყათო. აპირებდა მოენივა დიმიტრი ერისთავი, არამარტო როგორც მხატვარი, არამედ — მივლი გადაღების თანამონაწილე (ღმისა გალგალე თთარი ოსიელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ სცენარის თანაავტორი). ზოგორ ვიზიტი დროს მაჩუქა ნიკოლაი ბერდიავის ბროშურა „Духи русской революции“. ეს ნიგნი 1921 წლის შემდეგ აკრძალული იყო და 1990 წელს განმეორებით დაბეჭდეს რიგაში. რუსულ ნიგნზე სამი ინიცილი ნაშინერა: Т. Е. А. (თენგიზ აბულაძის-მე აბულაძე). დიდი ინტერესით ნავიკითხე და ერთი ციტატაც ამოვიწერე: „Годы видел уже так чудовищ, которые позже художественно увидел Пикассо“.

მას შემდეგ რამდენიმეჯერ ვისაუბრეთ ტელეფონით. 1994 წლის 1 იანვარს კი დამირეკა და ახალი წელი მომილოცა: დღედაღამ გალაკტიონზე ვფიქრობ და მალე უნდა შევედგეთ საქმესო.

სამწუნხაროდ, ორი თვის შემდეგ თენგიზ აბულაძე გარდაიცვალა.

1994 წლის 11 მარტის იმავე გაზეთ „თბილისი“ დაიბეჭდა ჩემი გამოსახობიერი:

— არამარტო კინოსხელეოვნებამ განიცადა უდიდესი დანაკლისი: თენგიზ აბულაძე ქართული მწერლობის და ქართველი მწერლების უახლოესი მეგობარი და თანამზარებელი გახლდათ. მისი ფილმების დიდი უმრავლესობა მთავონებელია ჩვენი მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებით, ჩვენი მკითხველების საყვარელ გმირებს მან ზოგორ სიცოცხლე მიანიჭა და კიდევ უფრო ახლოებელი გახადა ჩვენითვის. რაც მთავარია, უმძიმეს წლებში სამიში სიმართლე გვითხრა და შეუპოვრად ამიღია ბორტების იმპერია. ცხადად დავგანახა გზა, რომელიც ტაძირსკენ არ მიდის... ძალიან დანახანია, რომ ჩვენი მოლოდინი არ აღსრულდა და ვერ ვიხილავთ დიდი რესესონის თვალთ დახანხალე გენიის ტრაგედიას.

2001 წლის 5 ნოემბერს თენგიზ აბულაძის შამიდეპილიმა რუსუდან ქებულაძემ შიამბო: ბოლო დღეებში, ცუდად რომ გრძნობდა თავს, თითქმის არ ლაპარაკობდა, ხანდახან მხოლოდ ორ სიტყვას იმეორებდა: უნდა მოვასწრო! უნდა მოვასწრო!

უფრო ადრე ტელევიზორში თენგიზის ვაფიშვილმა გაიხსენა: უკანასკნელ დღეებში უპირატესად დღუმე და მწოლიარე ერთ წერტილს მიაჩერებოდა ხოლმე და საქაშო პაუზის შემდეგ იტყოდა: ეს კადრი გადაღებულიაო. როგორც ჩანს, ნარმოსახეში უკვე მომზადებული ჰქონდა მთელი ფილმი: როგორც ამბობენ, ფილმისთვის დიდხანს ემზადებოდა, გადაღებით კი სწრაფად იღებდა.

სამწუნხაროდ, არ დანაცვალდა. არადა, ოთხ ნელინადს ფიქრობდა „უცნობზე“.

რეზო ესაძე აპირებდა და აპირებს ფილმის გადაღებას. რამდენიმეჯერ მესტუმრა და საქაშოდ დიდხანს ვიკამათეთ, კონსპექტიც შევუდგინე და გადავიცი ნიგნთან ერთად. ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

რეზო ესაძეზე ადრე ფიქრობ ხალგაშის ვაფიშვილმა ზახან მთხოვა და მისი თხოვნით სცენაროდ დავწერე მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის — „ცხრიდან ექვსამდე“. რამდენჯერც ასახოლია გალაკტიონის უკანასკნელ დღე. მთავარი როლი უნდა შევსრულებინა შიამბის ზურა სტურმარა. ზურა სტურმართან ერთად მესტუმრა სახლში ზახან ხალგაშ და კასეტა მაჩუქა: ერთად ვნებთ დედოზე სასინჯად გადაღებული ზურა გალაკტიონის როლით.

რამდენიმეჯერ იყო ჩემთან მტეხების თეატრის რეჟისორი — მიხეღ მრეკლოშვილის ვაფიშვილი — სანდრო. მან დანერგა პიესა — ძირითადად გალაკტიონისა და დემონის ურთიერთობის შესახებ. ნამაკითხა და ჩემი მოსაზრებანი გაავაცანი. ჯერჯერობით არც სპექტაკლი ჩანს.

ერთადერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო რეჟისორმა ალექს ცაბაძემ. გალაკტიონის თამაშობს ვოჯი ხარაბაძე. ფილმი მოსწონებელი ვარ პირადად: გალაკტიონის უუნებინა: ბატონო გალაკტიონ, იცით რა თქვა თქვენზე ვახტანგ ჯავახაძემ? — გალაკტიონ შაბოძის მკითხველები ჯერ არ დაბადებულანო. ამ სიტყვებით დავსრულე ჩემი აპლოვია.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №5



სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების

2010



და განიხ...  
და განიხ...

1922 წელს შევიცარიელმა ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა კარლ გუსტავ იუნგმა ციურების გერმანული ენისა და ლიტერატურის საზოგადოებისათვის მოამზადა ლექცია — „ანალიზური ფსიქოლოგია და პოეზია“:

„არსებობენ ლიტერატურული ქმნილებანი — როგორც პროზაული, ასევე პოეტური, — რომლებიც ხუსტად შეესაბამებიან ავტორის ჩანაფიქრს — მიაღწიოს რომელიღაც კონკრეტულ ფეფქტს. ავტორი საკუთარ მახალს ხეგნს და მკაფიოდ გარკვეული მიხსნაფვის რაღაცას ამბატებს, რაღაცას აკლტებს. ერთ დეტალს აამჟიარებებს, მეორეს ამუქებს. ალაგ ორჯერ ნამამატებს საღბავს, ალაგ — ერთხელ. ყურადღებით აკვირდებდა საერთო ფეფქტს და ჯეროვან პატტებს მიაგებს ფორმისა და სტრუქტურის მოთხოვნილებებს. საოცრად გულისხმიერი და მკაცრი მსახუღლია და სრულიად თვისუფლად ირჩებს სიტყვებს. მისი მახალა მთლიანად ემორჩილება შემოქმედებით მიზანს. მას სურს წარმოაჩინოს მაინცდამაინც ეს და არა სხვა რამ...“

მეორე სახის ქმნილებანი მეტნაკლებად დასრულებული ფორმით გამოედინებიან ავტორის კალმით და თითქმის სრულყოფილი მოედინებიან სამყაროს, როგორც ათენა პალადა ხეგნის თავიდან. როგორც ჩანს, ამ ქმნილებებმა შეიპყრეს ავტორი და მის მარჯვენას თავიანთ ნებაზე ატარებენ. კალამი წერს რაღაცას, რასაც თვითონ გაკვირვებული დასცქერის. ნაწარმოებს თან მიაცეს საკუთარი განსაკუთრებული ფორმა. ყოველივე, რის დამატებაცაც ავტორი მოისურვებს, უარყოფა, ზოლო ის, რის ნამსახავც დააპირებს, უნდა აღიდგენს თავს. მაშინ, როცა ამ იშვიათი მოვლენით დამარცხებული, გათვითცნობიერებული აზროვნება გარასულია, ავტორს თრუვნავს ისეთი ნაკადი აზრებისა და სახეებისა, რომელია მოქმედებს არასოდეს განურჩავად და რომლებიც მისი კეთილი ნება ვერასოდეს შეისამდნენ ზორცს. მაგრამ თავისავე ჯიბრზე ავტორი იძულებულია აღიაროს, რომ საკუთარი მე ლაპარაკებს. მისი შინაგანი ბუნება თვითონ აღმოჩენს თავს და ისეთ რამებს წარმოათქმენიებს, რომლებსაც პირადად ვერასოდეს მოუფიქრებდა. ისდა დარჩენი, დაემორჩილოს ამ აშკარად უცხო შინაგან იმპულსს და გაპყვეს იქით, საითაც იგი უწევს, რაკი გრძნობს, რომ მისი ქმნილება მას აღემატება და ფლობს ძალას, რომელიც მას არც ეკუთვნის და არც ემორჩილება“.

როგორც ნაუკითხეთ, იუნგი აპირისპირებს გონების მიერ პოეტს და ინტუიციის მიერ პოეტს, ანუ როგორც თვითონ უწოდებს — ინტროვერტს და ექსტრავერტს.

იუნგი საილუსტრაციოდ კონკრეტულ მაგალითებს ასახელებს — გოეთეს, შილერს, ნიცშეს და დასქენს: „გოეთემ კი არ შექმნა „ფუსტის“ — „ფუსტის“ შექმნა გოეთემ“, და აგრძელებს: ვერ ვიტყვი ესა თუ ის პოეტი ინტროვერტია თუ ექსტრავერტი, ვინაიდან თითოეული მათგანი შეიძლება ერთდროს ექსტრავერტად მოგვევლინოს და სხვა დროს ინტროვერტად. სხვათა შორის, იუნგი ამ თვალსაზრისით „ფუსტის“ პირველ და მეორე ნაწილს განასხვავებს და არცაა ვასაკვირი: „ფუსტის“ ხომ ორმოცდაცხრა წელიწადს ინტროვერტია?!

ახლა დროებით მოვუბოდიშოთ შევიცარიელ ფსიქოლოგს და გალაკტიონის ერთი სტროფა ამოვიწეროთ „არტისტული ყვავილებიდან“:

გამალა ველი ნელმა ნიავმა  
და მესიზმრება მე მის წიაღში,  
მხოტუცი მამა, მოხუცი მამა  
სახსლავით ხელში დადის  
ვე ნ ა ხ შ ი.



გალაკტიონის ნახატებიდან

არ უნდა გაგვიჭირდეს. ამგვარ გამანაცლის ერთადერთი ახსნა ამართლებს: იმდენად ძლიერია შინაგანი იმპულსი და ქვეცნობიერის გავლენა და უპირატესობა, რომ პოეტი არათუ ვერ ამჩნევს ამგვარ „იალღიმის“ და ასეთი „წეროლმანისათვის“ არა სცალია, არამედ — რომ შეამწიროს და მოიკალოს კიდევ, — უძლურია და არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“, — თითქოს გალაკტიონს წამოვეყვლა ტიციანი მოგვაგონოს.

თვითონ გალაკტიონისთვის რომ მოგვეთხოვა ნახუბი, ალბათ ერთხელ კიდევ გაოკრებდა:

— ვიცო და არ გიმშუტო, ძამიკოებო?!

როგორც რუსი პოეტი-იმაჟინისტი ივან ვ რ უ ზ ი ნ ო ვ ი იგონებს, ერთხელ სერგეი ესენინმა ოსიბ მანდელშტამს წამოაძაბა:

— თქვენ რა პოეტი ხართ, ფორმას ვერ ფლობთ, ზმწერს რითამო!

გალაკტიონმაც შენიშნა ერთხელ:

— ზოგი იტყვის, რითმა რააო, მაგრამ...

მაგრამ შენიშნა გვიან, როცა შედეგების თორმეტმა წელიწადმა გაიარა და „ახრზე მოვიდა“ ანუ ლექსებს „თვითონ წერდა“.



მანამ კი, თითქოს გულმა უგრძნო და ოლიას გაენდო 1915 წელს:

- რაღაც ახალი მოხდა, ანუ უნდა მოხდეს... ველი.
- 1916 წელს მძას მოსწერა მოსკოვიდან:
- ვნერ ძალიან ბერას.
- 1921 წელს ოლიას მოსწერა მოსკოვში:
- ლექსები დავენერ ბევრი.
- იმავე 1921 წელს ინატრა:
- მქონდეს ნახევარი გირვანქა პური, ოღონდ ნეტავი დოლიდან საღამომდე მამუშავა.

1915-1926 წლებში ზუთასზე მეტი ლექსი და სამი პოემა დანერა თუ დაენერა.

ცხადია, ჩემს მიერ მოხმობილი და დამონმებული კარლ იუნგის ციტატის მეორე აბზაცი რჩეულმა ერთეულებმა ანუ ექსტრა-კლასის რჩეულებმა დაიმსახურეს და დაიმსახურეს უადრესი ზემთაგონების პერიოდებში. ჩვენი შემთხვევა 1915-1926 წლებს მოიცავს და შესაბამისად — ავტორაფების სიმწირით გამოირჩევა, რაც თავისთავად ადასტურებს შვეიცარელი ფსიქოლოგის შემოთავაზებულ კომენტარს...

და მაინც, „მამული“ გალაკტიონის ყველაზე მაკარ რჩეულშიც უნდა შევიტანოთ:

**ცვრიან ბალახზე თუ ფხმშიმეკლა  
არ გავიარე, რაა მამული!**

**პარიაციები და ვარაუდები  
ბალაქტიონის ტექსტუალისათვის**

„არისტული ყვავილები“ და „ზარნიშინი ნიენი“ ორი საექტაო მნიშვნელობის მოუღენაა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. ცხადია, დაბეჭდილი ტექსტების სიზუსტე აუცილებელი პირობაა განახლებული ლირიკის შესწავლისას. სამწუხაროდ, რაც შემთხვევაში, გამოცემისას დამეცულია ამჟერად უკვე გამოუსწორებელი უხეში ტექნიკური შეცდომები, რომელთა შესახებ უპირატესად მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება საუბარი:

1. „ა ვ დ რ ი ს მ ო ლ ი ნ ი“ პირველად არისტულ ყვავილებში“ დაიბეჭდა. ავტორაფი არ მოგვეპოვება. მეოთხე სტროფს მეორე სტრიქონი უნდა აკლდეს:

**ამ მნიფე მტვენებს დაღენავს ქარი,  
თუ მნიფობისთვემ შესცვალა ძარი —  
მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!**

პირველი პუბლიკაციის შემდეგ — 1927, 1937, 1944 და 1959 წლებში — ოთხჯერ დაიბეჭდა და, როგორც ჩანს, ეს ხარევი ვერც ავტორმა და ვერც გამოცემელებმა ვერ შეამჩნიეს. მეზობელ მესამე სტროფს თუ დავესესხებით და იმსავც გავითვალისწინებთ, რომ შემუშავდ-მერვე სტროფებში ტაქტული სავანგებოდ მეორდება, შეგვიძლია ასე „გავმართოთ“:

**ამ მნიფე მტვენებს დაღენავს ქარი  
და ჩვენ ცრემლები დაგვედინება,**

თუ მნიფობისთვემ შესცვალა ძარი —  
მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!

2. „მოადგა ნაპირს ათასი ნავი“ პირველად „ზარნიშინი ნიენში“ გამოქვეყნდა და შემდეგ კიდევ ორჯერ დაიბეჭდა 1937 და 1944 წლებში:

**მოადგა ნაპირს ათასი ნავი,  
ო, სიხარულო! იყავ, იდიდი!  
გოხრანი: სეცყისთვის დახარე თავი,  
პასუხად ცეცხლი შემოიკიდე.  
ცეცხლი აღიან ცამდე ავიდა,  
ო, მეომარო, ბრძენო, პოეტო  
ყველა ამ ერთი სანახავიდან.**

აქ მეხუთე სტრიქონი უნდა იყოს „გაფრენილი“, როგორც ძველი პოლიგრაფისტები იტყოდნენ. სამწუხაროდ, ავტორაფი არც ამჟამად მოგვეპოვება, ავტორმა კი ვერც ამჯერად — 1937 და 1944 წლებში განმეორებით გამოქვეყნებისას — გათავალა რეასტრიქონინი ლექსის სტრიქონები. შევიძლია, სავარაუდოდ 1933 წლის ლექსის („ეს რა ნიაღვრებს ვეზუფი ისერის“) ტაქტი მიუუსადაგოთ და ნანარმოების მხოლოდ მუსიკა ანუ უღერადობა აღადგინოთ:

**ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,  
ცეცხლი აღიან ცამდე ავიდა,  
ო, მეომარო, ბრძენო, პოეტო,  
ყველა ამ ერთი სანახავიდან.**

3. „ა ვ თ ო ვ ლ ი თ ფ ე ნ ი ლ ი“ — „ზარნიშინი ნიენში“ და 1944 წლის „რჩეულში“ დაიბეჭდა მხოლოდ:

**ბალი ღანდებით ანადევნებო  
მთავრულ სიზმრით ავსებენ მაისს  
და შადრევნების მძიმე მტვენებით.**

აქ უკვე მეოთხე სტრიქონია „გაფრენილი“ და პირველ სტრიქონს „უჭირს“. სამწუხაროდ, შემდგომი პუბლიკაციონისას ავტორმა ვერც პირველი სტრიქონის ორი კოდექტორული შეცდომა შენიშნა და ვერც ბოლო სტრიქონი მოისაკლისა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში ავტორაფი აღმოჩნდა და თორმეტკოდექტორულს აკადემიურმა გამოცემამ 1966 წელს პირველი სტრიქონიც გაასწორა და ნაკლები ტაქტიც აღადგინა:

**ბაღში ღანდები ანადევნებო  
მთავრულ სიზმრით ავსებენ მაისს  
და შადრევნების მძიმე მტვენებით  
კვლავ იგონებენ ბაღჩისარაის.**

4. „ორად გაიპო ნეთელი კლდე“ — 1925 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა და 1927 წელს იგივე ტექსტი „ზარნიშინი ნიენში“ გამოქორა. ეს ყველაზე მძიმე შემთხვევაა: მეორე სტრიქონში ორი სიტყვა ზედმეტია, აკალია მესამე-მეოთხე ტაქტები, მეხუთე სტრიქონში სა-



რომში სიტყვა გადაადგილებულია, მერვე ტაქსს აკლია სარიტორიკული სიტყვა და ასე შემდეგ. ნიგნში განწივრებითი დაბეჭდვისას ავტორმა ვერც ასეთი უხეში ხარვეზები შეამჩნია. არადა, სამი ავტორივე არსებობს. როგორც ჩანს, ნიგნში დაბეჭდვის შემდეგ შენიშნა გალაკტიონმა აკარა შედგომები და ლექსი არცერთ შემდგომ გამოცემაში აღარ შეიტანა. ისმის ბუნებრივი შეკითხვა: რატომ არ გაასწორა საკუთარი ხელნაწერის მიხედვით? მაგრამ შეეძლო კი უზარმაზარი და დაუღაგებელი პირადი არქივის ლაბირინთებში საკუთარი ხელნაწერის მოძებნა მაშინ, როდესაც ყოველი გამოცემისას ჩქარობდა და ნერვიულობდა? მესხიერებით ალბათ ვეღარ აღადაგენდა, ვინაიდან „შედეგების ზონიდან“ უკვე გასული გახლდათ. ამიტომ უმოკლესი გზა პირია: მომდევნო გამოცემაში აღარ შეიტანა. სამწუხაროდ, ვერც აკადემიური გამოცემის შემდგენელმა გაასწორეს დედოფარიძის ტექსტი და სამი ავტორივე „ავტორგრაფებში“ აღნიშნეს. ავტორგრაფების გაცნობისას საინტერესო ფაქტი გავარკვევ: სამი ავტორივე ერთმანეთს ავრძელებდა და ერთი ლექსი აღმოჩნდა. მე სრული ტექსტი აღადაგინე და გამოაქვეყნე 1988 წელს ჩემს „უცნობში“. იგივე რესტავრირებული ტექსტი გამოვირჩა ოცდახუთმეულმა 2005 წელს და რესტავრირების ვინაობა არ მითითა.

გამახსენდა: 1982 წელს რომ საიუბილეო „რეული“ მოეგზავნა გამოცემამ, სარედაქციო კოლეგიის წევრი სოთარ ქილაძემ, შედეგით კრებულს რომ გაეცნო, სწორედ ეს ერთადერთი „ორად ვაიპო ნიღოლი კლდე“ შემოგვთავაზა დასამატებლად და დაავაძრეტ კიდევ ნიგნს, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი საკმაოდ დამახინჯებულად გახლდათ.

ამერიიდან „არტისტული ყვავილებისა“ და „ზარნიშია-ნი ნიგნის“ საზღვრებს უნდა გავცდეთ:

5. 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი. იმავე 26 იანვარს გალაკტიონმა დაწერა და ჟურნალ „კანთიადის“ შესამე ნომერში გამოაქვეყნა საკმაოდ კრეკული რეკვიემი — აკაკის გარდაცვალებების გამო, რომელიც არცერთ შემდგომ გამოცემაში აღარ შეიტანა, ალბათ, იმიტომ, რომ იმავე წელს დაწერა და გაზეთ „ახალი კვალი“ ჟურნალ ნომერში დაბეჭდა „აკაკის ლაღი“, რომელიც უფრო ვახმარა და „არტისტული ყვავილებშიც“ კი აღმოჩნდა.

„კანთიადის“ შესამე ნომერში ლექსი საკმაოდ ხარვეზურად დაბეჭდა. არადა არქივში ინახება. ლექსის სამი ვარიანტი, რომლებიც თორმეტმეულის შემდგენლებმა მხოლოდ ვარიანტებში აღრიცხეს და არ გაასწორეს ამკარადა ნაკლები ტექსტი, სადაც კარითმის აუცილებელი შესატყვისობანიცაა დარღვეული.

ოცდამეათეუთმეტე სტრიქონი ასე იკითხება:

მის საფლავეშ მძღავრი ნაძვი ტოტებს ჩამოაფენს.

უნდა გასწორდეს:

მის საფლავეშ ყვაილები გაიშლება წყნარო.

გამორჩენილია ოცდამეათეუთმეტე სტრიქონი:

გაიხსენებს ის მერცხალი თავის ლექსით მკობელს.

ორმოცდამეცხრე სტრიქონი ასე იკითხება:

მის საფლავეშ მძღავრი ნაძვი ტოტებს ჩამოაფენს.

უნდა გასწორდეს:

მის საფლავეშ მძღავრი ნაძვი ჩამოაფენს ტოტებს.

6. ჟურნალ „ლეგის“ 1917 წლის პირველ ნომერში გამოაქვეყნა „მენილი (ნაწყვეტი აღმომიდან)“, და შემდეგ არასდ დაბეჭდვას (აკადემიურმა გამოცემაში გამოვირჩა ჟურნალის ტექსტი):

მენილი ლეონარდო-და-ვინჩის ხელის მერ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება...

არქივში აღმოჩნდა ერთადერთი უსათაურო ავტორგრაფი:

მენილი ლეონარდო-და-ვინჩის ხელის მერ მინახავს გაფრენა და გაუკვდავება...

როგორც ვხედავთ, ხელნაწერმა გაასწორა ორი პუბლიკაციის დრის დაშვებული აზრობრივი შეცდომა. მესუთე დაბეჭდილი სტრიქონი ასე იკითხება:

მენილი დაქებდა უნდა იტალიის...

ავტორგრაფში გარკვევითი იკითხება:

მენილი დაქებდა მზეს, იტალიას...

ეს ხარვეზი მით უფრო დასანია, რომ დაიკარგა რომა: იტალიას — მთვრალია.

7. „უკანასკნელი მატარებელი“ (თავდაპირველად — „გამომშვიდობება“) თორმეტმეულის მეოთხე ტომში დაბეჭდა 1966 წელს — ადრესატის მიუთითებლად, თუმცა ოლია ოკუჯავა უკვე რეაბილიტირებული იყო. ერთადერთი ავტორგრაფი აღმოჩნდა გიგლა მებუქეს არქივში.

გიგლა მებუქე მოგვითხრობს: ოლიას დაპატიმრების შემდეგ გალაკტიონი ხშირად მესტუმრებოდა ბოლომდე და ყოველთვის თვითმკვლელობაზე მესაუბრებოდა. ერთხელ ნიგნს დარჩა. ნიგნში შავად ნაწერი და გადათეთრებული ლექსის ორი ფურცელი ვიპოვე — „უკანასკნელი მატარებელი“. ლექსი გადაწერე, მწერალთა კავშირის მაშინდელ მდივანს დავით დემეტრაძეს მივუტანე და გალაკტიონს განზრახვის შესახებ ვაუწყე. მან ლექსის ორიგინალი მომიხიზა და მე გადათეთრებული ვარიანტი გადაეცემა. მალე დავით დემეტრაძე დააპატიმრეს და დახრიეს. მე კი მხოლოდ ლექსის შავი შემომჩნდა.



შეიხვეწა ხელნაწერი იმდენად ნასწორები და დაუხვეწა, რომ მრავალნაირი ამოკითხვისა და ინტერპრეტაციის საშუალებას და უფლებას იძლევა. ამიტომ დღემდის გამოქვეყნებული ტექსტები ერთმანეთს არ ემხივება. ამ ლექსით თავის დროზე ძალიან დამნიჭებდა გვალაკტიონის დიდი პატრონი და ტექსტოლოგი თენგიზ მირზაშვილი. რამდენიმე სხვადასხვა ფორმებით გადაიდა ქსეროქსზე ხელნაწერი. ბევრი ვიშვლეული და ვიკაზიული. განსაკუთრებით მოუხეტელეული აღმოჩნდა პირველი სტროფი. ამ სტროფის შესახებ მხატვრად საკმაოდ ვრცელი წერილი დაწერა და გამოაქვეყნა „გვალაკტიონოლოგის“ პირველ ნიგში 2002 წელს, საგულისხმო პარალელები დაანგვილა როგორც გვალაკტიონის სხვა ლექსებთან, ასევე — ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებთან.

ჩემი განსხვავებული ვარიანტი ასეთია:

ცხოვრების ეტლის სადარბეული,  
საცაა გავა მატარებელი,  
მიმგზავრება იმედი ჩემი —  
სიცოცხლის ჩემის გამდარბელი.

გვალაკტიონს ექვსსტროფიანი ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ შეიქცეო იმდენად არასრული ჩანს, რომ ვერცერთი შემდგენელი ვერ მოუახლოვდა. არადა, დაუხვეწია უბნო-ციკია დაუსრულებელიცაა. შევფიქრია პირველ ტაქსს ერთადერთი სართომ სიტყვა დავესესხით და „დავასრულო“.

ასე ნაეიდა [სადარბეული]  
უკანასკელი მატარებელი,  
აქ კი ობოლი დარჩა პოეტი —  
გულში ნაშების მატარებელი.

8. 1925 წელს „მნათობში“, 1927 წელს „ზარნიშინა ნიგ-ნიში“ და 1944 წელს „რჩეულში“ დაიბეჭდა კახეთის ციკლის ლექსი „მ ი ე დ ი ო დ ი ა ლ ა ზ ნ ი ს ვ ე ლ ა დ“ (ავტოგრაფი არ გავაქვინა):

დაფიქრებული მივდიოდი ალანის ველად  
და ია, თვანდნი გაიშალა ლურჯი ი ო რ ი;  
მიმურება ველთა შორის გაზოლი ველად —  
უფრო დაიდი არ მინახავს რამ მ ა გ ი ე რ ი.

როდესაც 1982 წელს საიუბილეო „რჩეული“ შევადგიინე, შურბან ლებანიძემ გამოთქვა არაკატეგორიული მოსაზრება, რომ აქ შეიძლება ყოფილიყო დიალექტური ფორმის მავჯამა — მ ა გ ი ო რ ი (იორი — მაგიორი), მე ვივარაუდებ — მ ა გ ი ო რ ი (იორი — მაგიორი).

გვალაკტიონის უკანასკელი „რჩეულის“ შედგენისას დაერქმედა და ჩემს „უცნობში“ ხაზგასმით გავაფრთხილე მოხავალი რედაქტორ-შემდგენელ-გამომცემლები, თუ რამდენად პასიური ავტორი გახლავდათ გვალაკტიონი. ჩემს შემთხვევაში, მამინ მე ეს უცნაური ფაქტი სირქაბით აგუსტინ (თუმცა გვალაკტიონის როლის არ ექტარებათ). როგორც გამოიკვა, სიტუაცია უფრო მძიმეა: ავტორი სრულიად უწყო და უსუსური აღმოჩნდებოდა ხოლმე რედაქტორების ნინამე და ნებისმიერ შემთხვევაზედა ეთან-

ხმებოდა. დროც რომ ჰქონოდა, პირობები და საშუალება არ გააჩნდა საკუთარი ტექსტები და თარღები გადაეწმინება. მრავალ აშკარა შეცდომას ვერ ამჩნევდა, და თუ ამჩნევდა, იძულებული იყო გაუსწორებელი დატოვებინა, ანდა — უკიდურეს შემთხვევაში — აღარ დაებეჭდა ლექსი.

ვინ იცის, ახლანდა ჩემს მიერ აღრიცხული ხარვეზებიც შენიშნა, მაგრამ?

ჩემი სახელდაბელი ვარაუდები მხოლოდ ვარაუდებია და ალბათ მიცერ ნაწილია იმ მოსალოდნელი და აუცილებელი დაზუსტებისა, რომელიც მომავალში უნდა ჩატარდეს.

აკადემიური თორმეტოლოგიური და საარქივო ოცდახუთოლოგიური გამოცემულია.

დღის წესრიგში დავგასრული აკადემიური.

305 კითხვას გვალაკტიონს!

1948 წლის 22-24 აპრილს გამიართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმზე მოხსენება წაიკითხა გამგეობის თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა. მან გააკრიტიკა უწინააღმდეგე „მნათობში“ დაბეჭდილი სერგი ქლიაის მონოგრაფია გვალაკტიონ ტაბიის შემოქმედების შესახებ. იმავე წლის 19 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ სერგი ქლიაემ გამოაქვეყნა საპასუხო წერილი „ძველი დავა ახალი ფორმით“ და არ დაეთანხმა სიმონ ჩიქოვანს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სამი დღემდის უცნობი დიპლომატი აღნიშნულ ფაქტზე: სიმონ ჩიქოვანის 1946 წლის 29 ივნისით დათარიღებული პირადი პარათი მაშინდელი იდეოლოგიის დარგში ცენტრალური კომიტეტის მიდვისის როსტომ შადურისადმი, მისივე თორმეტვერდიანი „ლიტერატურული შენიშვნები“ და სერგი ქლიაის საპასუხო ექვსგვერდიანი წერილი როსტომ შადურისადმი.

სიმონ ჩიქოვანი იცავს პლენუმზე გამოთქმულ საკუთარ მოსაზრებას გვალაკტიონ ტაბიის ლრიკის შესახებ, რომ გვალაკტიონის ადრეული შემოქმედება ძირითადად აღბეჭდილია სიმბოლისტური და პესიმისტური განწყობილებებით, და კვლავ ედავება სერგი ქლიაის, რომელიც საქართველოს სახალხო პოეტის პირველი პერიოდის პოეზიას მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გავრელებად აცხადებს.

ვიდრე ოპონენტობის მოსაზრებებს განსჯივით, აუცილებელია გავითვალისწინო — როგორ პოლიტიკურ ვითარებაში გაიმართა ეს პოლემიკა? 1946 წლის 14 ავისტოს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო „დადგენილება ჟურნალების“ ზეგუდასა“ და „ლენინ-გრადის“ შესახებ“, რომელშიც სოციალისტური რეალზმის მარწებში მომწვედელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურებში რეჟიმს კიდევ უფრო გაამკაცრა.

ასეთ ვითარებაში უიმედობა არა მარტო უახლესი და მიმდინარე წლების ნაწარმოებებში ითვლებოდა რეციდივად, არამედ — თუნდაც ნასული წლებისა, თუნდაც რევოლუციამდელი პერიოდისა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა სახალხო პოეტის რევოლუციამდელ ლექსებში სანთით



დაექმდა გამოცემის ოპტიმალური სტრუქტურა და ცდობდა იგი ნაციონალურ-გამათავისუფლებელ იდეოლოგიას დაეკავშირებინა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ცეკას 1946 წლის დაგვიანების შემდეგ. ასე ასწავლდნენ გალაკტიონს საშუალო სკოლებში და უმაღლესი სასწავლებლებში, ამხვე იდას აგრძელებდა სერგი ქლიაიაც და, რაც მთავარია, ეს სიტუაცია აწყობდა ნახევრად რეპრესირებულ გალაკტიონ ტაბიძეს.

სიმონ ჩიქოვანი გახლდათ უტყუარი გემოვნების პრინციპული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა ორგანიზაციაში უმაღლესი თანამდებობა ეკავა, იგი სწორედ ამიტომ შეეცადა, ლიტერატურული სამართლიანობა აღედგინა და ამდენად არასასურველი დისონანსი შეიტანა დამკვიდრებულ სიყვარულში.

— ეს სწორია გ. ტაბიძის წარსულის ასე გაყვლება. ნულუ გ. ტაბიძის, ასეთ ძლიერ პოეტს, დაამცირებს ის, რომ მისი ინდივიდუალური ლექსების შინაარსი გარკვეულ იქნეს და ისინი რეალისტურ ლექსებად არ იქნენ გამოცემადგებული. ნულუ უსაჩიროს, ის დიდი პოეტური ძალა, რომელიც დეკადენტობის პერიოდში გამოამაგვანა გ. ტაბიძემ, მიიქმალოს და მხოლოდ ხუთი ლექსის ავტორად იქნეს გამოცემადგული ასეთი დიდი პოეტის შემოქმედება? — ცოტა გულუზრყველიდ კითხულობს ნ. ჩიქოვანი და აგრძელებს, — ჩვენ კი არ ვადაწამალებთ გ. ტაბიძეს მის მიერ განვლულ მოდერნისტული პერიოდის გამო. ჩვენ მხოლოდ ლიტერატურული სინამდვილის ნაფიქრად აღდგენა ვცინდებ. მოდერნიზმის გზა მის მიერ დაძლეულ იქნა და იგი თავის შემოქმედებით, საბჭოთა პერიოდში, სრულიად გაემიჯნა დეკადენტურ მწერლობას. ეს საბჭოთა პოეზია და მისი დიდი გამარჯვებაა.

აქ საჭიროა ერთი არცთუ უმნიშვნელო ფაქტი აღინიშნოს: ამ დროს სერგი ქლიაია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ლექსების ლიტერატურული და ხელოვნების სექტორის გამგის თანამდებობაზე მუშაობდა და მისი მოხიბვა არ გახლდათ ერთი პიროვნების მოხიბვა, რაც უფრო მეტად ძაბავდა სიტუაციას.

კი მაგრამ — გალაკტიონი? — იბადება ბუნებრივი შეკითხვა: ამ დღეებში ორმოცდათხუთმეტი წლის გალაკტიონი სწორედ როსტომ შავერსა და სიმონ ჩიქოვანს ეახლებოდა ხოლმე და დიდი მონადირებით ამაოდ ზრუნავდა, რათა 11 ოქტომბერს თავისი პოეტური მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი აღნიშნა და არაფერი უწყობდა ცეკას კულარებში დაძაბული პოლემის შესახებ.

გალაკტიონმა სიმონ ჩიქოვანის ამ ერთ აგუამენტს კი მიაქცია ყურადღება:

— ლექსების წიგნს „ქალა არტიტულ ყვავილებში“ ნამძღვარებული აქვს ეპიგრაფად ოთხი ფრანგი პოეტის შ. ბოდლერის, ვ. ვერლენის, ტ. გოტის და ა. რენის სტრიქონები. დასახელებული პოეტები, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ფრანგული პარნასის, სიმბოლიზმის და დეკადენტობის მეთაურები არიან. ეს პოეტები ხსნიან გ. ტაბიძის რევოლუციური ლექსების წიგნს და მის ლტოლვებს მისამართის აძლევენ.

ამ არგუმენტის საპასუხოდ გალაკტიონს სიმონ ჩიქოვანის მიერ მიითვებული ფრანგი პოეტების სტრიქონები ამოუწერია და:

— ეს ციტატები მინდოდა ამესხნა მწერალთა კავშირის პლენუმზე სიმონ ჩიქოვანის წინააღმდეგ, სიმონ ამ ციტატებზე დარდნობით ამტკიცებდა, რომ მე ვადაგენტურული მოლოის მიმდევარი ვიყავი. ციტატები, მართალია, სიმბოლიზმისა, მართალია, რეალისტურია, შესრულებული იხვევს რომანტიკული განხრით.

პლენუმი სამ დღეს გაგრძელდა და პლენუმზე გალაკტიონს არავითარი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია, რაკი ალბათ თვითონვე არ სჯეროდა თავისი არგუმენტებისა. გალაკტიონმა არ იცოდა, რომ პლენუმის შემდეგ დისკუსია ცეკასა და მწერალთა კავშირის კულსებში გაგრძელდა, მაგრამ ის კი შეიტყო, რომ კამათი რესპუბლიკის საზღვრებს გასცდა:

— ძალიან გაუაჯობა სიმონ ჩიქოვანი მოსკოვში ჩემს გამო: იქაურ მწერალთა კავშირში და „Литературная газета“-ს რედაქციაში. არავინ თურმე მას ჩემს შესახებ არ დავიწყებდა. ეს ყოველი ერთი კვირის წინ. — ჩაინიშნა გალაკტიონმა 1948 წლის 31 ივლისს, მამასადაძემ, სიმონ ჩიქოვანის წერილის წარდგენიდან ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ. ხოლო მესამე დღეს — 2 აგვისტოს — ტაბიძის გულმა უგარმინ:

— გვიჩინ, ეს პრელიუდებია სიმონ ჩიქოვანის გადაყრავებისათვის.

როგორც ირკვევა, საქმე უფრო სერიოზულად ყოვიდა: ჩანს, სახეობრივო უმიმროების კომიტეტმა და მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ჩასაფრებულმა ოპონენტებმა ობოტაციულად იმუშავეს და მოსკოვიც დაამტკიცეს და ალბათ სწორედ ცენტრის დაინტერესების გამო მოხიბვა რესპუბლიკის ცეკამ სიმონ ჩიქოვანს პასუხად და ახსნა-განმარტება.

ამ ჩანაწერიდან გალაკტიონის დამოკიდებულებაც დასტურდება: მას სერგი ქლიაიას და ოვიციოზის პოზიცია აწყობდა, თუმცა არავინ არავინ ეკითხებოდა. გალაკტიონი ყოველწარადა აღამაზებდა საკუთარ წარსულს, სიმბოლიზტიკური პერიოდის შედეგებს საჯაროდ არ კითხულობდა, ტომელებში არ შექმნიდა და ნერვიულობდა, როცა შემოქმედების ორ პერიოდს გაუსტყენდნენ.

ისე, ჭეშმარიტების დასადაგენად, ერთადერთი ფაქტის აღნიშვნაც საკმარისი იქნებოდა: 1917 წლის თებერვლის რევოლუციური გალაკტიონი აღადგინოვანა და დაწერა „დროები ჩვენის!“ და ათორბოდა ხალხთა მსუხარება“. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ თებერვლის რევოლუციის იმიად გაურჯა და 1919 წელს გამოცემულ „არტიტულ ყვავილებში“ ეს ორი ლექსი არ შეიტანა. თუმცა ამ ფერისცვალების არ თუ ვერ მიაქციეს ყურადღება და ქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებს კვლავ არწუნებდნენ და ახეიანებდნენ: გალაკტიონ ტაბიძე 1917 წლის რევოლუციის აღტაცებით მიესალმა.

ცხადია, ეს კახუსი სიმონ ჩიქოვანისათვისაც იყო ცნობილი. მაგრამ ამის გამოაკარავება დასმენის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ თავმჯდომარე შეეცადა, არც მწეადი დაეწე და არც მამფური.

ამაოდ შეეცადა!

1951 წლის 23 თებერვლს, როგორც გალაკტიონმა ივარაუდა, სიმონ ჩიქოვანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და იმავე დღეს ცე-





კას ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგე სერგი ჭილაია მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად აირჩიეს (უფრო სწორად — დანიშნეს), რომელმაც მწერალთა კავშირის აპარატის რეკორდი დაამყარა: ამ თანამდებობაზე იმუშავა 22 წელიწადს — 1973 წლამდე.

ამჟამად, ოცდამეერთე საუკუნის მკითხველს, შეიძლება ეს დებატტი წარსულის შედარებით უსწინარ ეპიზოდად მოეჩვენოს, მაგრამ დაკვირვებით მოპოქურეთა ლექსიკას: ცილისწამება, ლიტერატურული სინდისი, თავდაცვის ცდა, გაყვალბება, ელამი სარკე, მიჩქრალვა, რეაქციული ბნელეთი, მუქარა, — და ბოლოს სიმონ ჩიქოვანის თხოვნა ცეკვას მდივნისადმი:

— ამ წერილის გამოქვეყნება ჩემს რეაბილიტაციას შეუწყობდა ხელს.

მამასადავმ, სერგი ჭილაიას გამომხაურება, რომელიც ლიტერატურულ პრესაში კი არ დაიბეჭდა, არამედ ცეკვას ორგანო „კომუნისტი“ — ჩვეულებრივი პაექრობის საზღვრებს ვასცდა და ისეთ მამბილებულ ბრალდებას შეიცავდა, რომ ადრესატს სარგამილებიც დაუხდებდა საქმე, მითუმეტეს, რომ ამ დისკუსიის შედეგს ელოდებოდა მოსკოვი, რომლის წინაშეც თავის გამართლებაც იყო საჭირო და თავის მოწონებაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, სიმონ ჩიქოვანის წერილი პარტიულ არქივში შეინახეს, უფრო სწორად — შეგვიინახეს. სასურველია და აუცილებელიც ეს წერილი გამოქვეყნდეს და სიმონ ჩიქოვანის წერილისა კრებულშიც შევიტანათ, რათა დაგვიჩინებოთ მისივე აღდგენ ლიტერატურული სამართლიანობა.

სიმონ ჩიქოვანს პლენუმზე თითქოს წამოსცდა და ცეკვასი ვარდგენილ წერილიც გამოიტანა:

— ვალდებოთ ტაბოში ფორმალურად მულოდური შედეგები შექმნა. ჩვენში ამ მხრივ მისი პოზივა მართლაც გასაყოფარი მოუვლენა.

როგორ უნდა გავიგოთ? „შედეგები“ კი შექმნა, მაგრამ არა სრულყოფილი, არამედ — ფორმალურად მულოდური შედეგები, რაც თითქოს რეკლამულიცაა მემოქმედისათვის დასაშვები უნდა ყოფილიყო?

არადა — ლიტერატურისა და ხელოვნებაში მთავარია ფორმა, არა — რა, არამედ — როგორ. მისი და ბრიგევილი მხანგრებს ხატადდნენ, პიკასო და დალი ლამაზებს „ამხანგრებდნენ“, მაგრამ — როგორ?

როგორ და — ვალაკიონის სწორედ ფორმალური მელოდებითა და რიტმებითა განსმტვალული და გაჯერებული მთელი საუკუნის ქართული პოეზია.

მაგრამ ტოტალიტარული რეჟიმის დროს „ფორმალური“ უარყოფით კონტექსტში იკითხებოდა და ფორმალუზმით გატყობისაკენ მიანიშნებდა. ამიტომაც გაასაღებულეს ამ დისკუსიის მეორე მოქმედება, რომლის მოწმენიც მხოლოდ სამოცდაორი წლის შემდეგ აღმოკრნდით.

ვალაკიონის რაც შეეძლო, მაშინ ვალაკიონის არავინ არაფერს ეკითხებოდა და ვაუტკვეველ სიტუაციაში გაორებული ვალაკიონი თვითონ კითხულობდა და კითხულობდა და კითხულობდა:

— რა საჭიროა ყოველივე ეს? რა საჭიროა პირველ პერსონაზე ამდენი ლამარაკი? რა საჭიროა ასე გაჭიანურება პირველი პერიოდისა?

ბორის დარჩია

# რამდენიმე დიპლომატიკური ლიტერატურული ლექსი

დიდი ბავშვი

გიორგი ლეონიძე 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1966 წლის ზაფხულამდე) ლიტერატურის ინსტიტუტში დირექტორი გახლდათ. მას, როგორც მრავალმხრივ მოღვაწეს, — მწერალსა და მეცნიერს, ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმეებისათვის მუხლანაურად და თავდადებულ მამულიშვილს, გამორჩეულსა და თვითმყოფად პიროვნებასა და დირექტორს, — რა თქმა უნდა, მთელი ინსტიტუტი, მცირე გამოაკლისის გარდა, განსაკუთრებული სიყვარულით, მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მისი დირექტორული მუშაობის თავისუფალი სტილი რამდენადმე განსხვავებებოდა კორნელი კეკელიძის მიერ ინსტიტუტში დანიშნული მკაცრი სამეცნიერო-კადემიური სტილისაგან, რაც ზოგიერთს, უფრო ძველ მუშაებებს, ცოტა არ იყოს კიდევ ენამუშებოდა. ბატონმა გიორგიმ ინსტიტუტში ცხოვრებისას სილაღე შემოიტანა. თანამშრომლები, მეტადვე ახალგაზრდობა, მხინდა ეხვედებოდა ერთმანეთს სუფრაზე. ბატონი გიორგი პურმარლის დიდად დამფასებელი გახლდათ, უაღრესი თავმდაბლობით გამოირგოდა და რაგინდ უზრავდა და ღარიბული სუფრა გამოინდა, არ დაგმანახლდა. თუმცა, თუ თამადაზ არ მოეწონებოდა, თქმა იცოდა, რა „პრავეზია“ ფუჭდებოდა.

თვითონ დიდებულნი თამადა გახლდათ. პირველად ბატონი გიორგი სუფრაზე 1960 წლის აგვისტოს ცეცხლდღეს ვნახე. მაშინ ინსტიტუტს ჩეხი ქართველოლოგი იერონიმ იედლიკა ესტუმრა და მას ტკბილულის, ხილულის, კონიაისა და მამბანურის სახლდებულ სუფრა გაუშალა. ბატონმა გიორგიმ ითამადა და რა ითამადა! მე თვითონ საქართველო სულ სხვანაირად, უაღრესად ლამაზად და აღმტკბულად დამანახება.

ერთხელ სუფრაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები უზა ცინდელიანი, თამაზ ბარამიძე და სხვები ისე კარგად მღეროდნენ, ბატონმა გიორგიმ იხუმრა: ესენი ილია აბულაძეს უნდა შყავდეს და მე სოლომონ ყუბანეიკილი და ვალიკო მაცაბერიძე?! (ილია აბულაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის მამინდელი დირექტორი, სოლომონ ყუბანეიკილი და ვალიკიანი მაცაბერიძე სწორედ ზემოთ ნახსენები აკადემიის განსახიერებანი იყვნენ და ქვიფითა და მოღვინით არ გამოირჩეოდნენ).

გიორგი ლეონიძეს ზოგიერთი უცნაურობაც ახასიათებდა. მაგალითად, ზოგჯერ ინსტიტუტის ოთახებში ჩამოივლიდა და ქალებს უსაყვარლებდა: კიდევ აქა ხარო, ოჯახები არა გაქვთ, შვილები არა გყავთ, ნადით შინ დე ქმარ-შვილს მივტოვებო!

მაგრამ მან იმევე ქალებს სამსახურის გაცდენისა და



დაგვიანებისთვისაც დაუზღუბუნებდა: არა, ასე არ შიშოდებოდა, ოჯახი ოჯახია, მაგრამ სამსახური სამსახურია...

ამგვარი თავისებურებების გამო ინსტიტუტში მასზე გაიგონებდით, — დიდი ბავშვიაო.

სამწევაროდ და სამარცხვინოდ, ბატონ გიორგის სხვაგან და ჩვენიანაც ყავდა მოწინააღმდეგეები და მტრებიც. ჯონდო ბარდაველიძეს აღწერილი აქვს, დიდი ფოლკლორული ექსპედიციის მონაწილისთვის როგორ დააბრალებს მას ანგარება, რის გამოც ინსტიტუტში თითქმის ერთი თვე 5-6 კაციანი რევიზორთა ჯგუფი მუშაობდა. ან როგორ გააპავეს ის პარტიზონურის წევრად არჩევნებისას („კალმასობა“, 1999, 7).

ეს, უმეტესად ფარული, ოპოზიციონერები ხელიდან არაფერს უშვებდნენ, როცა იმხანად ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების სამ ხანდაზმულ და ფრიად დამსახურებულ მეცნიერს თავში სისხლის გათონვა დაიფართა (მამინ მათ ავადმყოფობა გადაიტანეს და კარც ხანს იცოცხლეს და იმუშავეს), ამასაც მას აბრალებდნენ. მამინ გაერცვლდა ლექსი:



გიორგი ლეონიძე

თუ გსურს, კაცი ორად გააყო  
ან იწვეტით მიკლა,  
დაუწინვით დირექტორად  
ლეონიძე გოგლა.

ბუდე ლიქვთა მანქანების,  
ჭმორთა, მითქმა-მოთქმის,  
რიშელიეს გაქაუნების,  
ათქარძის მოდგმის.

წარმოიდგინეთ, ამ ლექსს მამინ მაინცადამაინც არ აღუშფოთებიათ. იმდენად კარგად გვესმოდა ჩვენი დირექტორის ფასი, ამ პასკვილსაც ერთგვარ მეგობრულ შარვადაც კი აღვიქვამდით.

**ლიწეჯასი მინიუ**

ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ლეონიძე სამსახურში უფრო მეტად დღის მეორე ნახევარში მოდიოდა, ზოგჯერ მამინ, როცა თანამშრომელები შინ მიდიოდნენ ან წასულს იყვნენ. სამაგიეროდ, თავის კაბინეტში გვიან საღამომდე რჩებოდა და მუშაობდა.

ერთ დღეს, ეს იყო 1960 წლის ბოლო თუ მომდევნო წლის დასაწყისი, ბატონმა გიორგამ ტელეფონით გვაცნობა: არ ნახებოდით, მოვიდვიარ და ახალ მოთხრობას გავაცნობთ.

ეს ის დროა, დიდი პოეტის თავის განთქმულ მოთხრობების ციკლზე, „ნატვრის ხე“, მუშაობს.

დაგვიანდა. შენუხდნენ მძიერი თანამშრომლები. რომ მოვიდა, ნაკვივიზა ბრწყინვალე მოთხრობა „ღვინჯუა“. გიორგი ლეონიძის მთელი შემოქმედება, მხატვრული და სამეცნიეროც, საოცრად მდიდარი, ძარღვიანი, მონოლოთური ერთი თანამშრომელი და ეს მოთხრობა ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა. სიტყვის ჯვარითა და ფერადოვნებით განსაკუთრებით გვიხიბლავს სუფრის აღწერა.

მოუხსუბლივით ვუსმენთ მწერალს და, როცა ნათლის-ღების სუფრის აღწერას შეუდგა, ამბერკი გაჩქილიაძემ წამოიძიხა:

— აღარ შეგვიძლია, ბატონო გიორგი, ახლა ჩვენ ამ მენიუს გერ გავეძღებთო!

**ტუნიას ხალი**

ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება ლიტერატურის მუზეუმში გალაკტიონ ტაბიძის არქივს ამუშავეს. იქვეა ამავე განყოფილების თანამშრომელი, ლამაზი და მომიზიბელებელი ქალი ტუია (მარინე) ჭყონია. გიორგი ლეონიძე მოვიდა და თავის თანამშრომლებს დახედა. ამ დროს ცილაცას ნაჩივლები უქონდა) ლიტერატურის ინსტიტუტის ბუღალტერიაში რევიზია ზის და ყველაფერს ამონიშებს. ტექსტოლოგები დაინტერესდნენ რევიზიის მუშაობით და დირექტორს პკითხეს, როგორ მიდის საქმეო. ბატონმა გიორგამ არაფერი უპასუხა, იქვე ქალაღდს ყუა მოაზიხა, რაღაც დაწერა და ნავიდა. ნახეს, ეწერა:

ჩემს ინტრიგანებს  
თქვენი აზრები და განზრახვები  
შვითა როგორც ტუიას ხალი!

გ. ლეონიძე, 1963 წ., დეკ.

**ცაცხლის შენითაა**

1961 წელს დაწვავებლებს მასტაკასთან შერევისას ბენზინი აუფეთქდათ და თვალის დაზარალებულმა ინსტიტუტის შენობა ხანძარმა მოიცვია. ჯერ ციკვლამა და შემდეგ შენაძნურეთა გამეტებით მიშეებულმა წყალმა შენობა ძლიერ დააზიანა. ამაზე მწერალთა კავშირში ზოგაერთი ქილოკობდა: გიორგი ლეონიძემ ინსტიტუტი დაწვაო. ამ ხმამ ბატონი გიორგის ყურამდეც მიადუნია.

ერთ დღეს, სამუშაო საათებისას ინსტიტუტის თანამშრომლები ნოღარ აღნიშნა და ბენი დობოზჯინიძე გიორგი ლეონიძის ტურნამი გადაეცარნენ.

— აქა ხართ, სამსახურში არ დადებართ! — მისებურად დაიბუხუნა ბატონმა გიორგამ.





და, რომ იმ დღეს დამსწრეთა სია შეადგინა და არა გამცდენთა. ალექსანდრე ბარამიძე წამოგდა და დინჯად დაინკო:

— როგორ უნდა ვენოდ მე იმ აღრიცხვას, როცა თანამშრომელი მთელი დღე ჩემს გვერდით თავაუღებლოდ შემოხმავს და მას გამცდენთა სიაში ვმუშავებ?

— სწორი, სწორი, არ ვარცა ეს სია! — ყველასგან მოულოდნელად ალექსანდრე ბარამიძეს ეკვრის უკრავს გიორგი ლეონიძეც. შემდეგ თავის სწავლულ მდივანს მიუბრუნდა:

— გრიგოლ! მეცნიერებთან, მათ ხელფასთან გვაქვს საქმე, მეტი გულითადაბობა საქირო!

ასე გადარჩა სამ ათეულზე მეტი თანამშრომელი რამდენიმე დღის ხელფასით დაჯარიმების!

**გიორგი ლეონიძის  
სტუმრობა**

სოფლიდან პურმარბილი ჩამომივიდა და ინსტიტუტის თანამშრომლები — ნოდარ ალანია, მირიან აბულაძე, ვახტანგ ქეციანი, მერი გუგუშვილი და გივი ლომიძე — შინ ნავიყვანე. ინსტიტუტის შენობიდან რომ გავდიოდით, ქიკვა (გრიგოლ) ხერხეულიძე შემომხვდა და ისიც დაგვაპატიე. მან მითხრა: დირექტორთან საქმე მაქვს, ველოდები, ენახავ და ნაშოვავი. არ დაუგვიანია, ის იყო სუფრასთან ეხსებოდითო, კიდევ მოვიდა და მითხრა: გიორგი ლეონიძე დაგვიპატიეო, რომ უპირდებოდი, მკობრა, სად მიდიხარო. ვუთხარო, სადაც მოვდიოდი და ეთხოვე, ჯერ იოჯარო, მე რომ არ დავუბატიყვიარო, მაგრამ ავუსხენი, ვერ გნახათ და, თუ წამომბრძანდებით, ძალიან გაეხარდებიანო.

შუა ქვილი ვიყავით, ბატონი გიორგი თავის სიძესთან, ოთარ გვინჩიძესთან, ერთად მოზრძანდა. ქიკვა და ნოდარი ბრწყინვალე დეკლამატორები იყვნენ და გიორგი ლეონიძის ლექსებს შესანიშნავი ოსტატობით წარმოსთქვამდნენ. ნაირფერად იღვრებოდა პოეტის ლექსები: „ყოყაღის პედმანი“, „სიმფერა პირველი თოვლისა“, „ნიონონინდის ლამე“, „საათნაეა“, „მამო, რა ვუყოთ, პოეტებო“, „ოლე“ და სხვები. დიდად ვილხენდით. მერმომ, თეთრი ხორცი გიყვართო, ბატონ გიორგის ინდაურის მკერდის ნაჭერი გადაულო.

— საიდან იცი, ქალო, შენ ეს? — კმაყოფილი კითხულობს პოეტი.

ახლა მერი ზაქეს იღებს და ამ თეთრ ხორცზე ავლებს. — რა მიქვნი, ქალო, ეს, რად დამისვარე! — ხელებს შლის ბატონი გიორგი.

გულიანად ვიცინით. აღარ მახსოვს, მანამდე იყო თუ შემდეგ, ბატონმა გიორგიმ თქვა, ხორცს საწებელი არ უნდა.

ქიკვას სადღეგრძელოს დროს ბატონი გიორგი ექსპრომტიად ამბობს:

**ვინ არის ბიჭი, რომ დასდევს  
კაკიაშვილი ქოლოკით!  
— ქიკვა ხერხეულიძე,  
დიდი ლეონიძეოლოგი.**

— ბოლოს რიტმი კია დარღვეული, მაგრამ არა უშავს, ექსპრომტია. — ჩვეული ბუნებით თვითონვე დააკოლა.

ეს ლექსი მაშინ ზოგიერთმა ჩაინერა. მე არ ჩამინერია და ვერ დავიჭიმებ, რამდენად ზუსტად დამამახსოვრდა. შესაძლებელია პირველი და მეორე სტრიქონი ასე იყო: „ვინ არის ბიჭი, თმათეთრი, გრიშა რომ დასდევს ქოლოკით“.

1981 წელს გამოვიდა ქიკვას წიგნი „გიორგი ლეონიძის პოეზია“, მაგრამ ავტორი მის გამოცემას ვერ მოესწრო, გიორგი ლეონიძე კი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

**მარგალ გარუხისკრი  
პოეზიი...**

ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფანში იუზა (იოსებ) ლორთქიფანიძე, ქიკვა (გრიგოლ) ხერხეულიძე, მირიან აბულაძე და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დგანან და „პურის ქამსთივის“ წასასულებლად ემზადებიან. დანახავს: დირექტორის, გიორგი ლეონიძის, კაბინეტიდან ინსტიტუტის სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დაფეთებული და აჭარბებული გამოვიარდა. ეტყობა, დირექტორმა რალაჯაზე „შეახურა“. მალე კაბინეტის კარი ისევ იღება და გიორგი ლეონიძე გამოდის.

— სირინა! — უცებ იუზა ლორთქიფანიძემ ყველასთან ვის მოულოდნელად დაიყვირა, ბრახუნა სამსწომრო ნაბიჯებით დირექტორისაკენ გაეწიარა, მის წინ „დარქო“, „ჩესტი“ აულო და ყვირილითვე მოახსენა:

— ბატონი მარშალ გრუხისკრი პოეზი! ბაიცი ბრონე-ბუტილკოვის ვოისკ გენერალა ხერხეულიძე... საპურ-მარლოდ მივდივართ.

ბატონმა გიორგიმ გაიღიმა, იუზას აკოცა, ენელზე ხელი მოხვი და სხვებთან ერთად კაბინეტში შეიყვანა. ცოტა საბურის შემდეგ ეს „ჯვარისკაცები“ ბატონ გიორგისთან ერთად „ორთაქალის ბაღისაკენ“ გაემართნენ.

**კახელები და გურულები**

1964 წლის 21 მაისს გიორგი ლეონიძემ თავის კაბინეტში მიხმო. გურიკში მოგზაურობიდან ახალდარბუნებულია (17-19 მაისს მოიარა ოზურგეთისა და ლანჩხუთის რამდენიმე სოფელი). მკითხა: ამა და ამ სოფლებში ვიყავი, შენი სოფელი რომელია და სად მდებარეობს.

აუუსხენი, ეგნატე წინოშვილის სოფალია რომელ მხარის და რამდენ კილომეტრზე იყო. ცოტად ფიქრის შემდეგ შეუხებნა:

— გურია საქართველოს ევროპაა.

მანამდე გიორგი ლეონიძე გურიკში ორიოდეჯერ იყო ნაყოფი — პირველად ჩოხატაურის რაიონში, თავისი თანატოლი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) სსოფნის აღსანიშნავად. ბატონი გიორგი, ისევე როგორც ნიკო კეცხოველი, თურქეთის ფრონტზე დაღუპულ ამ ახალგაზრდა შემოქმედს ხშირად ასხენებდა და მის პოეტურ ნიჭსაც დიდად აფასებდა.



გავიდა ხანი. ბატონი გიორგის მორიგ დაძახილზე მის კაბინეტში ისევ შევდივარ. რამდენიმე კაცი უხის.

— ეს კაცი გურულია, — ჩემზე უფრო ათობს. — ესენი ჩემი მეზობლები, პატარაძელები არიან. — ახლა მე მომიბრუნდა, — ნატანებში საბატო კოლმეურნედ ამირჩინეს და მანდარინებს მივაწვინა, ამით წყალ გამოუყვანე, ყველაფერს ვუკეთებ, ახლა კი მომდგომიან და გადასახადს მოხოვენ.

...გამეღიმა. სტუმრებს გავხედე, — იმშუშებოდნენ.

**დაკატეხებასაც  
ცოდნა უნდა**

ინსტიტუტის წინ სარდაფში რესტორანი „გემო“ იყო. ერთხელ იქ შესვენებისას ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლებს სადილი გაუტარებლად და ქვიფხვი გადაეზარდათ. ერთ-ერთმა მეინაზე ვინო სარკმლიდან დაინახა და ფეხსაცმლებით იცნო, რომ ინსტიტუტის უფროსი თაობის თანამშრომელმა, ამბერკო გაგურელაძემ, ჩაიარა. მოქიფებებმა უმაღლე კაცი დააფრთხა და სუფრასთან მოვიყვანე. ბატონმა ამბერკომ მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო შესვა, მაღლობა გადაიხადა და სასწრაფოდ წავიდა.

არ ვასულა ნახევარი საათი, სარდაფში ინსტიტუტის მწე ვალოკო ყუმიტაშვილი გაჩნდა და მოქიფებებს აცნობდა: დირექტორი გეძახით, ახლავე უნდა წამოხვიდეთო. ისინი უმაღლე ადგნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგი ლეონიძის კაბინეტში ფეხაკრფით შეიჭურნენ. იქვე იდგა ბატონი ამბერკოც.

— რასა ჰკვავს ეს, სამუშაო დროს რესტორანში სხედხართ! — ბრახობს ბატონი გიორგი. ყველა შემსინებულა, დაჯვსჯისო. რამდენიმე საყუდურის შემდეგ კი მან ჩაილაპარაკა: თქვენ ქვიფხი და დროსტარება არ გცოდნია. ისიც არ იცით, ვინ უნდა დაჰპატიოთ (ლბინითა და ქვიფხით არც ხანდაზმული ბატონი ამბერკო გამოირჩეოდა).

**კუჭის ჭიხინი**

მირიან აბულაძე გვიამბობს:

გიორგი ლეონიძის სამსახურებრივი მანქანით ინსტიტუტში მოვდივართ. უცბა წინ მჯდომი გიორგი მოგვიბრუნდა და გვეკითხება:

— ვინდათ, კუჭის ჭიხინი მოვასმენინოთ?

პასუხისათვის არ დაუცვლია, მძლოლს მანქანას ტროლეიბუსის განკრუბასთან შორიახლო მდგომი შოთა ძიძიგურის წინ აჩერებინებს.

— შოთა, კარგ სუფრანზე მივდივართ, გეპატივებით, ნამოლი! — არც მისალმებია, ისე მიმართავს შოთას.

— აუ, ლექციაზე მივდივარ, არაფრით შემძლია! — იუარა შოთამ.

— კარგი, რა გვიყო! — თქვა და მძლოლს ანიშნა, წავიდეთო. ცოტა რომ გამოვშორდით, გიორგი გაღმებულ ლიფტშიბრუნდა:

— გაიგეთ, კუჭის ჭიხინი?!

**მელოლის ერთგვარება**

გიორგი ლეონიძე თავისი სამსახურებრივი მანქანით წყვილიდან თბილისში მოვიდა. როგორღაც ცეკას მღვივანი, დევი სტურუა, დამგზავრებია და მოჰყავს. გზაში საუბრისას სტუმარი რაღაც საკითხზე გიორგის არ დაეთანხმა. მძლოლს ჯიშვითი თავს უკან გაბრუნებს და დევის ეუბნება:

— ეი, შენ ახლა ამას ასწავლი? — და ზეღოთ გიორგი ლეონიძეზე ანიშნებს.

**მეღვივანი და კოპოზი**

ეს ამბავი ადრე ინსტიტუტში მომისმენია. ახლახან მისი სიმართლე რეკავ ბარამიძესა და კოტე ჩოლოყაშვილთან დავაზუსტებ.

რომიელაძე თარიღთან დაკავშირებით საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ და გიორგი ლეონიძე თელავში ჩაბრძანდა.

შეკრებამდე დრო ჰქონდა და ქალაქში მარტომ გაისეირნა. მიონახულას ის ადგილები, სადაც ახალგაზრდობაში ტიცვიან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილსა და სხვებთან ერთად დრო უტარებია. ჩაეხდა ღვინის სარდაფში. ზორბა ტანისა და მხარბეჭიანი მელვინე ხალისიანად შეეგება მოსულს და ღვინის დაჭამიკება შესთავაზა. ბატონმა გიორგიმ რამდენიმე ძველი მელვინე მოიკითხა და რა ღვინოები ჰქონდა, დაინტერესდა.

მელვინემ უცბა სახელდახელო სუფრა გაშალა და რამდენიმეხარი ღვინო დოებიტო ჩამოგდა.

— ეხედე, უზარლო კაცი არა ხართ, ვინ ბრძანდებით? — ორიოდ ჭიქის შემდეგ იკითხა მელვინემ.

ბატონი გიორგი ხუმრობის გუნებაზე დადგა და უპასუხა: საქთვეზმურწვის ტრესტის მმართველი ვარ.

პოეტს გაზეითვადაფარებულ კასრის თავზე მონოდებული ყველი, პური, მწვანელი, წილი, შავი და ქარვისფერი ღვინოები ახალგაზრდობას აგონებდა, ნეტარებით იგონებდა და ჰყვებოდა თელავში გატარებულ მთამეჭდავ ეპიზოდებს. საუბარ-საუბარსა და ღვინის ნება-ნება სმამი დრომაც გაიბრძინა.

ამ დროს რაკოძისა და რაიალმასკომში ერთი ამბავი ატყდა. შეხვედრის დრო ახლოვდებოდა და ლონისძიებს თავიდათავი არ ჩანდა. დატრიალდნენ, გაიკითხ-გამოიკითხნეს და ღვინის სარდაფსაც მიაკითხეს.

მელვინესა და ბატონ გიორგისაც ღვინო შესამწნევედ მოჰკიდებოდათ. მელვინე კარგ გუნებაზე დამდგარიყო და ბატონ გიორგის სიცლითა და მზიარულებით ზურგზე ხელს უტყავუნებდა. რაიონული მთავრობის ჩინოსნებს მელვინის ფაზილარობა არ მოეწონათ და თვალეში დაუბლილეს, — იგი, ვინ არის ეს კაცი? ეს პოეტი გიორგი ლეონიძე გახლავს!

— პოეტი? ამხელა კაცი ლექსებს წერს! — გაიოცა მელვინემ და ჩაილაპარაკა, — აფსუსს ღვინო!

თბილისში დაბრუნებულმა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა სახეობის ძვირფასი თევზულობა შეიძინა და თელავში იმ მელვინეს გაუგზავნა.



# ოცნება გილიოტინაზე

ტფილისის არის ჩემთვის მალაღი გილიოტინა და ემაფოტოტი.

გალაკტიონმა — 1920 წელს შექმნილ ლექსში „ტფილისი“. საკუთარი ბედიც დაიტარა ამ სტრიქონით და ყველა იმათიც, ვინც ასეთივე სიმძაფრით განიცდიდა წუთისოფლის სატყვიარს, მის მოუწყოლობასა და გაუტანლობას.

ჯერ მარტო მამინაც, როდესაც ეს სატყვიარი არ არის რაღაც უკიდურესი და გაუსაძლისი. და რა შეიძლება ითქვას მამონ, როდესაც სასტიკი პოლიტკურირ რეჟიმი სულს ვიხოთავს და ნანსაც აღარ გიტოვებს, რათა შევსა განიცადო — ერთბეშო, ერთი წინკალი მაინც. გილიოტინის შემზარაობა აჩრდილით მოგყვება და სინამრებიც შემოგტყდება და ოცნებებშიც. ეს რაღაა და თურმე აღარც ეს უნდა გეგულებოდეს თავის მისადრეკად. გილიოტინა ადამიანთა შეგნებაში არწებოდა საშიხელებს, დამორგუნველობის სიმბოლოდ.

გადავარდნილი კი გადავარდებოდა, მაგრამ ამ სიმბოლოდ განზოგადებას რაღას უშვებოდი, კაცობრიობის ყველაზე მტანჯულ განცდებს საშუადომო რომ გადაეჯავჭვა. გალაკტიონისათვის რატომ ქცეულიყო ტფილისი გილიოტინად და ემაფოტოტი?

რატომ უთანაბრდებოდა წყველას („და განიცადო ასეთი წყველას: გილიოტინა და ემაფოტოტი“)?

ეს ის ვარემო გახლდათ, სადაც მწერლობაში უნდა დაეკიდრებოდი, ეს დაემკიდრება კი თავისთავად მოიყოლებოდა ამჯერ ასოციაციებს.

მიხილ ჯავახიშვილი ქართველი მწერლის კალამს გოლგოთას შეადარებდა.

გალაკტიონ ტაბიძის ამჯერად ეს ასოციაციები ემაფოტინებისა, თუმცა ჯვარცმულის სატიც არაერთხელ მოლანდებოდა — საერთოდაც და უშუალოდ ამ ლექსშიც.

ეს ასოციაციები გაიფუტება ოთარ ჩხვიძის გონებაში, როდესაც ჩაუფიქრებოდა ქართველი მწერლის გზას დიდი ლტერატურისაკენ — ეს მხოლოდ სახარობელია და გილიოტინის გზა გახლდათ, თუკი არ იყავი უნდები არამცთუ სიკაღეს, არამედ რეალისტს ოდნავ შეფერადებასაც კი.

პიროვნებობა გენება? სიმართლის წყურვილს აღენთე?

მამ ყოველნამს უნდა განგეცავდა გილიოტინისა და ემაფოტის საფრთხე.

ავტობიოგრაფიული ყაიძის თხზულების — „დროდადრო“ — 1971 წლის 8 დეკემბრის ჩანაწერში ასეთ სტრიქონებსაც ამოიკითხავი. ახსენებს თუ არა გზა და დიდი მწერლობისაკენ, დასძინებს: ეს სამინდოე გზაა გზაა სახარობელი სიკაღესო... და იქვე სიტყვები, მისი მწერლური და მოქალაქეობრივი მრწამსის, მისი ზნეობრივი იმპერატივის გამოშავებელი:

— ნეტავი რამის გაკეთება მაინც მოუხერხდებოდადეს ადამიანს, ჯანდაბას, სახარობელს იყოს.

უნებელით ნასცდა, იყოს თუნდ სახარობელია?!

არა და არა. თორემ ავერ დაზუსტება:

— რაც უნდა იყოს, ფრანგი რევოლუციონერები ვაქცავთ-რად აღიოდნენ გილიოტინაზე, აღიოდნენ დიდი იმედითა... იმედი იმისაა, მათი ნამონყება ადრე თუ გვიან უსათუოდ გამარჯვებით დატვირთვინდებოდა, და დაე თვითონ შენირვოდნენ და ვერ დამტკბარყვინენ სანატრული ყაიძის დადგომით.

თანაც საშუალება ეძლეოდათ, ამაყად, ღირსეულად გაესწორებინათ თვლი სიკვდილისათვის, მომხრენი ვაგმნეცებინათ, მტრები შეეფიქრინებინათ ან სულაც დაემიხებინათ.

ვაქცავთ რად სასრული ღირდა შემზარავი გილიოტინის წინაშე დგომად.

მას შემდეგ დრო გასულა და... ძალიანაც შეცვლილა ახალი ყაიძი.

იხე გადასხვავებებულა, რომ გილიოტინა და სახარობელიც სანატრული გაგზდომია.

ოთარ ჩხვიძე სწორედ ამას განიცდის ასეთი უკიდურესი სიმძაფრით, შეუდარებს თუ არა საფრანგეთის რევოლუციონერების ეპოქის თავის თანადრეულობას, ეს მწარე გულსტიკილი ამოსცდება: ჩვენ რღადავი ავიდეთ, რა იმედებოდა, ან რომ ავიდარი, რითი ავიდარი, რა ძალგვის ან რის შესაძლებლობა მოგეცემია? ასე როგორ აიყარა ადამიანმა უფლება ყოველგვარი, როგორ, როგორ აიყარა?! ნატამალი ჭკუა როგორ არ ეყოლო?

ეს კიდევ ცალკე სადარდებელი და სათავისაცემია. ამჯერად კი დამაფიქრელი ისაა, გილიოტინაც რომ გეოცნებება, რაკილა — საფრანგეთის რევოლუციის ფინისა-გან განსხვავებით — ვაქცავთ, რად უნდა სიკვდილის უფლებასაც აღარ გიტოვებენ — სადღაც უნდა ჩაგკლან უსაქლოდ და კაციშვილმა არ იყოდეს დაბეჭვივითი, ცოცხალი ხარ თუ გარდაცვლილი.

ეს რაღაა, არა?!

ესეც არ გმეტებოთ.

მორალურადც სწორი დატყენ და გაგანადგურონ!..

ყველაზე კომპარული სიზმარშიც ვერაინ ნარმოადგენდა, თუ შეიძლება დამდგარიყო ისეთი დრო და დამაფიქრებელიყო ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როდესაც გილიოტინა და ემაფოტოტი სანატრული შეიქნებოდა.

როგორც ჩანს, მხოლოდ უკეთესის უკეთესი არ არის დაუსწრებელი.

უარვის უარესიც დაუსწრებელია.

ტფილისის არის ჩემთვის მალაღი გილიოტინა და ემაფოტოტი.

გალაკტიონი ჯერაც ძველი ნარმოადგენებით აგებს ამ სტრიქონს.

მისთვის შიშისმომგვრელია ერთიც და მეორეც.

რაც უნდა იყოს, ვაქცავთ რად მაინც ახვალ ემაფოტსა და გილიოტინაზე.

ოთარ ჩხვიძე ამ ახალი დროის შვილია და საკუთარ თავზეც გამოუცვლია და ღრმადაც გაუღარებია მისი ასიც და უშთავსის წინაშე თავისებურება.

მისთვის საოცნებო გამანდარი ერთიც და მეორეც.

და მხოლოდ შენატრება იმ სტრიქონის შემთხვევლ გალაკტიონს: მაშინ კიდევ რა გიტრდა, გილიოტინაც რომ გაფრთხობდა და ემაფოტიც, შენც რა მერე შეიქენი უფრო ტრაგიკული, გვარცმის ამაოვებ რომ განგაცდევინოს.



მაია ჯგალიაშვილი

# გრიგოლ რომატიძის უკანასკნელი სიყვარული

გრიგოლ რომატიძემ თავის შემოქმედებაში მშვენიერი ქალის არაერთი შთაბეჭედავი სახე შექმნა. ჰყვადათ თუ არა პროტოტიპები ლონდას, ნატას, მატასის, ოლგას, ნორინას... რა თქმა უნდა, ეყოლებოდათ, მაგრამ ამის შეხასხებ მხოლოდ შეგვიძლია ვიფარაუდოთ. რეალურად კი როგორ წარმართა მისი სასიყვარულო ამბები?

პირველი სიყვარული პოეტური ბუნების, რომანტიკული სულის გრიგოლ რომატიძისთვის უიღბლო აღმოჩნდა, ქალის მშობლებმა სასიძოფო დასინჯეს და გრიგოლს მისწერეს ქალის ტყუილი თეთომკვლელობის ამბავი, რამაც ახალგაზრდა გრიგოლის სულზე ღრმა ტკივილიანი კვალი დატოვა. ასევე უიღბლო აღმოჩნდა მისი პირველი ქორწინებაც. ირანში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ცოლად შეირთო ნინო დომენსკაია და ქალიშვილი შექმინა, რომელიც ბავშვი ქუთრუფით დასნეულდა და გარდაიცვალა. გრიგოლ რომატიძემ გარდაცვლილ ქალიშვილ ალექს მიუძღვნა დრამა „ალექსა“ და ლექსი „ალექსა“ („ყველაზე უფრო „ლირიული“ ჩემს შაირებში“ — გრიგოლ რომატიძე):

ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი.  
ნინოს ხატის წინ დავიჩრებ სათუთი შირი.  
მოვიტყნებ ჩემი ლოცვით, ნეკით თ მცირე  
და ვიშრობ ცრემლებს საცოდავი, ვით ქიქის თვალი.

მწერალი მეორედ დაქორწინდა ელენე ფიალიკინაზე, მსახიობსა და მწერალზე, რომელთანაც შეიღო არ შესძენია, მაგრამ ზრდა და მუდღის ობოლ დისშვილს — ალინკას (ელენე პოკორელოვას). ელენე ფიალიკინას ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „მწერლობა უფრო ადრე დაიწყო და გერმანიაშიც გაავრცელდა. ვწერდი გერმანულად გერმანულ ქალთა ჟურნალებისა და ფილმებისთვის, როგორც სცენარისტი. ამას გარდა, ბერლინში რუსულს ეკანსავალი დაქტორ რაკოვის კომერციულ და უცხო ენების სასწავლებელში. როგორც ცალკე ნიჭი, გერმანიაში გამოვეცი რომანი „ნინა“. სიბერეში იგი დასნეულდა და ლოგინად ჩაჯარდა. გრიგოლ რომატიძე მუდღის თვითონ უწლიდა გარდაცვალებამდე.“

სწორედ ამ მძიმე და უსიხარულო წლებში მის ცხოვრებაში გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, გიტა შტრახვიტიცი. ეს იყო სასწაული. გრიგოლ რომატიძემ ენეგვიამ გაიცოც მსატყარი ქალი, სავარაუდოდ, ალბათ, რომელიმე მის გამოყენებაზე, მოიხიბლა მისი ნახატებით, რომლებიც თავის ცხოვრებაში შეაფასა კიდევ ერთ წერილით: „მისი „თავისებური სტილი“ თავიდან მერყეობდა: როგორც მანერა,

სინამდვილე შეაცუროს ზმანების ნაცვლად. თუ ერთი ფრანგი ავტორის გამოთქმას მივმართავთ როლქს შესახებ, შემდეგში გამოირკვევა სინამდვილე, სახელდობრ: მანერა, რომ ზმანება შეაცუროს სინამდვილის ნაცვლად. მისი ნახატები ნათელია. მისი ზედა წინ კი არაა მიმართული, არამედ უკან: მეტაფიზიკური, აქედანაა მისი ვიზიონარობა, რომელიც მე, მრავალ საიდუმლოს მცოდნეს, მაკვირვებს.“

ამ დროს მწერალი 81 წლისა იყო, გიტა კი — 31-ისა. წლებს ხელი არ მუშაობდა, რომ მათ შორის საოცარ სიყვარულს ეფეტთა. მარტოსულმა გრიგოლმა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ლეთისგან გიტას სახით საჩუქარი მიიღო: „ჩემი სიყვარული ისე დიდია, რომ მან შეძლო ასაკობრივი განსხვავების დაძვრვა. მით უფრო, რომ ჩემში სიყვარული არაჩვეულებრივი ბუნებისაა.“

როგორ წარმართა ეს სიყვარული?  
ხელით გვაქვს გიტასადმი მიწერილი გრიგოლ რომატიძის პირადი წერილით, რომლებიც პირველად იხა ორჯონიკიძემ გამოაქვეყნა კრებულში „ლიტერატურის მატალია“. წერილთა ახლები გიტას მეგობარ ქალს, მანუკარ ვანდა პოლესს, შეეცვარიათ დაცულ გრიგოლ რომატიძის არქივიდან გადაღული და შემდეგ გადაუცია დავით მაღრაძისთვის (წერილთა თარგმანს ქართველ მრეწველს). გრიგოლ რომატიძე გიტას სწერდა 1961-62 წლებში. ამ ბარათების მიხედვით, კარგად ჩანს, როგორ იზრდებოდა ეს სიყვარული, რას განიცდიდა მწერალი: „შუნა სიყვარულის ძალამ გამახალგაზრდავდა. ამ ძალის მადლით ჩემი სამომხ წერიული დემრესია თითქმის გაარაზრდა. მენი სიყვარული წყალობით განვიცდი არსებობის სიხარულს და მადლს და შემოქმედებით აღმაფრენას.“

როგორც აღვნიშნე, ჩვენ მხოლოდ გრიგოლ რომატიძის წერილები გვაქვს, მაგრამ მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის ბარათები, რომელთაც ახალგაზრდა მსატყარი ქალი სწერდა მწერალს. თანაც, საუღლისხმოა, რომ გრიგოლ რომატიძეს ხშირად აქვს ჩართული ციტატები გიტას წერილებიდანაც.

წერილია ციკლი გრძელდება 1961 წლის 27 აპრილიდან 1962 წლის 17 ნოემბრამდე. საუღლისხმოა, რომ პოლონური ბარათი მწერლობა სიკვდილამდე ორი დღით ადრე დაწერა (გარდაიცვალა 19 ნოემბერს). ამ ბოლო წერილის მიხედვით, გრიგოლ რომატიძე თავისი ბედნიერების მწვერულზე იდგა, მან და გიტამ ერთად ცხოვრება და დაქორწინება გადაწყვიტეს. ამ დღეებში მწერალმა, დის თხოვნით, სურათიც გადაიღო, რომელზეც ძალიან ვახალგაზრდად ვეუბლი ჩანდა. ამას თვითონ გიტას სიყვარულით ხსნიდა: ეს იმიტომ მოხდა, რომ სურათის გადაღებისას შეუნებ ვიჭირებო.

როგორია შეყვარებული გრიგოლ რომატიძე?  
საოცრად ახალგაზრდად ვეუბლია ეს წერილები. შეიძლება გოეთეს უკანასკნელი სიყვარული გავგახსენდეს, რომდესაც 74 წლის, ხანდაზმულ ვაიარულ გვიგისს 19 წლის ულიკა ფონ ლევეცკოვი თავდავიწყებით შეუყვარდა, თუმცა გოეთეს პირადი წერილები არ დაუწერია. სხვათა შორის, ეს „ბარათები“ შეავსო გერმანულმა მწერალმა რობერტ ვალზერმა, რომელმაც დაწერა რომანი „შეყვარებული გოეთე“, რომელშიც ეს წერილები „გამოიგონა“ [ქარ-



თოულად მაია მირიანაშვილი თარგმნა).

გრიგოლ რობაქიძე ამ წერილებში გიტას მიმართავდა, როგორც მზეს, ლეთიურ მეგობარს, ენგაფს, წყაროს, სეა-როსთავოს, შეუღარველს, მისტიკურ მუღუღს, ღვთიურ სატრფოსა და დას. ამ წერილებში კარგად ჩანს პლატონის სიყვარულის ფილოსოფია, აგრეთვე ისიც, როგორც ერთი სულიერ მფლობარეობაში იყო პოეტიკ, რა სტკიოდა, რა უხაროდა.

ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ გიტა აღურთოვანებულელი ყოფილა გრიგოლის გერმანულ ენაზე დაწერილი ლექსებით: „რომ ჩემს ლექსებს თქვენს გულში ხელმოყრედ დაბადება ხვდათ ნილად — უმაღლესი ბედნიერება, რომელიც შეიძლება რგებდა იდგმზე ლექსს თქვენს სამყაროში, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ვამახარა ამაწ“.

გიტას რამდენიმე სტოლან საქართველოს შესახებ, კერძოდ ის, რომ წმინდა გიორგი მარტოეულობდა, და მისი ხატი ურუქება გრიგოლისთვის. ამით აღტაცებულ გრიგოლს კი მოსთვის მიუწერია: „მწერთ: „რამდენიმე დღის წინათ, როდესაც საღებავებს ვყოფდებოდი, ღია ბარათი შევაბრძინე; მან უფებ თქვენს თავი ვამახარა — ხომ არის წმ. გიორგი თქვენი სამშობლოს მფარველი? — ამიტომაც გიგზავნით“. საოცარია დეტალების ცოდნა ჩემს შესახებ. ვმადლობთ. ვარ გულაჩუქებულა“. და ბოლოს: „ამან შემძრა საულის სიღრმევე“. ამიერიდან თქვენც ჩემი სამშობლოს მფარველი კალთის ქვეშ გიგულებთ. სულიერად მოათესსავე თქვენი გრიგოლ რობაქიძე“. ერთი წერილიდან ვიგებთ, რომ გიტას 12 წელი ადრე დაესაბრძინა, რომ შეგვედგინა გრიგოლს, რომელმაც ეს სიზმარი ხილვას შეადარა.

წერილებიდან ჩანს, რომ გიტას არა მხოლოდ ლექსები, გრიგოლ რობაქიძის რომანებიც მოსწონდა, მათ შორის „გრაალის მცველნი“, რომლის შესახებ წერდა: „ეს სიგნი ჩემი შინაგანი მუხედრა იყო თქვენთან, რომელიც შემდგომ ღრმა განცდად გადაიქცა. ბავშვობასა და სიყმატის ლექში ნაწინა ყველა სურათი უცებონ რეალობით ათვისო. განა ეს ღრმა შინაგანი ნათესავის მცვენობა არ იყო?“.

რობაქიძეს გაუხარდა, როცა გაიგო, რომ გიტას სიმბოლო იყო თასი, მის მარჯვენა ხელში ჩახატული ყოფილა ფორიანი თასი. გრიგოლს მარჯვენაზე კი მზე იყო გამოსახული. იგი წერდა: „როცა ხელს გართთვით — ჩემი მზის ხაზით“ ვეხები თქვენს „ფილას“. ამით ჩვენი შინაგანი ერთობა სამუდამოდ დადასტურებულა“.

